ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 თებერვალი **შაბათი** 2013
№032 (13 948) ფასი 80 თეთრი

# შევებათ ლობუშებს

## დღეს ვაკეში, მიხეილ მესხზე, 15:00

## საქართველო VS პორტუგალია



13

ბორჯღალოსნები პორტუგალიელთა დასახვედრად გულისყურით ემზადებიან

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ლილოს ხელოვანი

# ალექსანდრე ჩივაძე



8-9

ძიუდო

11

## პარიზმა დიდი მუზარადი მოირგო

ქართველებს საფრანგეთში სერიოზული გამოცდა ელით

11

ჩოგბურთი. ეილათი (ისრაელი)

## მესამე მარცხი ფედერაციის თასზე

ევროფეხბურთი

4-7

# გაამწვავებს ბაიერნი შალკეს კრიზისს?

მნიშვნელოვანი ტური გერმანიაში:
შტუტგარტი-ვერდერი
დორტმუნდი (დ)-ჰამბურგი
დორტმუნდი (მ)-ლევერკუზენი



## იები ზებერი ქალბატონისთვის

ლიდერთა ტური იტალიაში

იუვენტუსი-ფიორენტინა
ლაციო-ნაპოლი

10

ბაიერნისა და შალკეს შეხვედრებში მუდამ უშელავათო ბრძოლაა



ბურთით ვიქტორ სანიკიძე

## ვიქტორი ნახევარფინალში, მანუ ფინალში

საკალათბურთო ევროპაში თასების დროა. იტალიის თასის მეოთხედფინალში **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ" „რეჯო ემილია" 82:73 დაამარცხა და ნახევარფინალში „დინამო სასარის" დაუპირისპირდება (მატჩი დღეს გაიმართება).

თურქეთის თასის ნახევარფინალში კი **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ" „ბანვითს" სძლია - 81:68. ფინალში, რომელიც 10 თებერვალს გაიმართება, „გალათასარაის" მეტოქე „ფენერბაჰჩე" იქნება.

სანიკიძემ „რეჯო ემილიასთან" მატჩში 19 წუთში 5 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მარკოიშვილმა 3 წუთი ითამაშა და ბურთი 2-ჯერ მოხსნა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური თემა

# გია ისიანი: როგორი სახელმწიფო კლუბები გვჭირდება?

**ბოლო დროს ფეხბურთის განვითარების რამდენიმე პროექტი შემოგვთავაზეს. გორის "დილას" მენეჯერის, გია ისიანის ვარიანტი სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ლაპარაკობს სახელმწიფო კლუბების მომავალზე და როგორ შეიძლება ისინი ბიზნესისთვის საინტერესო გახდნენ, პროექტის განხორციელებას კი 2-3 წელიწადში (2013-2016 წლებში) რეალურად მიიჩნევს. გია ისიანი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და თბილისის "დინამოში", თანაც, კარგად იცნობს თანამედროვე ფეხბურთსა და უეფას ლიცენზირების მოთხოვნებს.**



გია ისიანი

## სახელმწიფო კლუბები უნდა არსებობდნენ

შესაძლოა, სახელმწიფო გუნდების არსებობა კერძო გუნდების ინტერესებს არ პასუხობს, რადგან უეფას ტურნირებში მოსახვედრად დიდი კონკურენციაა. ეს კერძო კლუბების ფინანსურ რისკებზე დიდ გავლენას ახდენს. საქართველოში კერძო კლუბებისთვის ერთ-ერთი შემოსავალი ხომ ევროტურნირებში მონაწილეობაა.

გასაგებია კერძო კლუბების პოზიციაც, რომ მათი გადახდილი გადასახადებიდან ფინანსდება მათივე კონკურენტი სახელმწიფო კლუბები. თუმცა, ბიუჯეტში გადასახადი ასეთებსაც შეაქვთ.

ან რა არის ცუდი იმაში, ორი სახელმწიფო კლუბი, „დილა" და „ზუგდიდი" რომ მოხვდა საუკეთესო ექვსეულში? კერძო კლუბებს ევროსაგზურების მოპოვებაში კონკურენტები გაუჩნდათ.

აზრი, რომ სახელმწიფო არ უნდა აფინანსებდეს კლუბებს – არასწორია! სპეკულირება, რომ უეფა სახელმწიფოს მიერ კლუბების დაფინანსებას ეწინააღმდგება, სრული სიცრუეა, არის მხოლოდ უეფას რეკომენდაცია.

*„ჩვენ მივესალმებით ფეხბურთში ნებისმიერ ინვესტიციას, იქნება ეს სახელმწიფო ორგანოების თუ საჯარო ან კერძო ორგანიზაციების"* – ასეთია უეფას რეკომენდაცია.

## რა არის ცუდი დილას წარმატებაში?

გორში საფეხბურთო ბუმი მას შემდეგ დაიწყო, რაც სახელმწიფომ კლუბს ხელი მოჰკიდა. შედეგად, კლუბი საქართველოს თასის მფლობელი გახდა და ევროპის ლიგის პლეი ოფში გავიდა.

გორის „დილა" დღეს შემდგარი გუნდია: ჰყავს მაღალი დონის ფეხბურთელები, გამართულია ინფრასტრუქტურა, სტადიონი, ჰყავს ერთგული ფანკლუბი, აქვს საფეხბურთო სკოლა (გორში 245–250-ის ნაცვლად, ახლა 500-მდე ბავშვი ვარჯიშობს)... სახელმწიფოს ინვესტიციამ მოგვცა ის, რომ 2013 წლის მაისიდან გორის "დილას" ტექნიკური სპონსორი ეყოლება!

თუ ამას დავამატებთ მეტ პროფესიონალიზმსა და ფინანსებს, მაღალი დონის პროფესიონალურ კლუბს მივიღებთ. "დილას" ცოტა აკლია საიმისოდ, რომ ქართველი თუ უცხოელი ბიზნესწრეების ინვესტირების ობიექტი გახდეს.

გორის "დილას" თამაშებს 3-4 ათასი მაყურებელი ესწრება, რაც კიდევ ერთი კარგი პირობაა მარკეტინგული თვალსაზრისით და მიმზიდველია ინვესტორისათვის. "დილას" ფეხბურთელებს ეროვნულ ნაკრებში სისტემატიურად იწვევდნენ, რაც ფინანსურად მომგებიან კლუბად გადააქცევს...

## წარუმატებლობის მიზეზები, ანუ გადამზადების ცენტრებზე

ამის მიუხედავად, მეშინია, მალე "დილა" ისევ ძველი დილემის წინაშე არ აღმოჩნდეს. იმიტომ, რომ წლებია, ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე საუბარი საუბრადვე რჩება, მწვავედ დგას ბავშვთა ფეხბურთის, კლუბის განვითარების, რეგიონებში ადგილობრივების აღზრდის პრობლემები.

ამას სახელმწიფოს მხრიდან არაპროგრესირებადი წინაპირობა განაპირობებს. რეგიონებში ფეხბურთის განვითარების პროგრამა ხანმოკლეა და ფეხბურთელებთან მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტები ფორმდება, ვინაიდან, კლუბს არ აქვს უფრო გრძელვადიანი დაფინანსების გარანტია და ყოველი წლის დასაწყისში ახალი ბიუჯეტის მოლოდინშია. ხშირ შემთხვევაში, ეს ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის თუ გამგებლის პირად შეხედულებაზეა დამოკიდებული.

აქედან გამომდინარეობს სამწუხარო რეალობაა - სახელმწიფო ერთი წლის განმავლობაში ინვესტიციას დებს ფეხბურთელში. როდესაც ის უკეთეს დონეზე სათამაშოდ მოემზადება, სწორედ მაშინ უმთავრდება კონტრაქტი და თავისუფალი აგენტის სტატუსით ავტომატურად გადადის კერძო კლუბში. ვინც ძლიერი კლუბების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, უბრუნდება სახელმწიფო გუნდებს, რომლებიც ფეხბურთელების გადამზადების ცენტრს ემსგავსება - ეს ხდება სახელმწიფოს ხარჯზე და ფაქტია, რომ ერთწლიანი პროგრამა არ მუშაობს.

რეგიონებში მაყურებლის ინტერესი დიდია მაშინ, თუ მოასწრებს ამ თუ იმ ფეხბურთელის გაცნობას და მის შეყვარებას. დღეს კი, ხშირ შემთხვევაში, მაყურებლები ფეხბურთელს სახეზეც ვერ ცნობს.

ასეთ პირობებში სახელმწიფოს ინვესტიცია აზრს კარგავს, ვინაიდან ერთი წლის შემდეგ, რეგიონის კლუბი ახალ ფეხბურთელს ანალოგიურად დაკარგავს, თავად ვერ ძლიერდება და ერთ ადგილს ტკეპნის. ეს ერთერთი მიზეზია, ასეთი კლუბები წასულ ფეხბურთელებში კომპენსაციას ვერ, ან ძალიან მწირად რომ იღებენ.

## გამოსავალი გარანტიებია

თუმცა როგორ უნდა გახდნენ დაფინანსებაზე მყოფი კლუბები ინვესტიციისთვის მიმზიდველი? ეს კითხვა იქნება სულ, თუ პროფესიულ კლუბებად არ ჩამოყალიბდებიან და მათი განვითარების პროგრამა არ ამუშავდება.

სახელმწიფოს მხრიდან კლუბების დაფინანსება ათწლეულები ვერ გაგრძელდება. პროექტის მთავარი ამოცანაა - შეიქმნას პლატფორმა, რათა უკვე აწყობილ კლუბებს ღირსეული ბიზნეს-პარტნიორები გამოუჩნდნენ.

მანამდე კი სახელმწიფოს გუნდები არ უნდა იყვნენ გაურკვეველ მდგომარეობაში. გამოსავალი მინიმუმ, 2-3 წლიანი გარანტირებული საბიუჯეტო დაფინანსება იქნებოდა. აწყობილი ინფრასტრუქტურა და სტაბილურად მზარდი კლუბი კი მიმზიდველი გახდება. სახელმწიფო სწორ რელსზე დააყენებს ფეხბურთის განვითარებას რეგიონებში და ისინი გარკვეული ვადის შემდეგ განვითარებას დამოუკიდებლად გააგრძელებენ.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია, შეიქმნას რეგიონების საფეხბურთო კლუბების მრავალწლიანი განვითარების გეგმები და სახელმწიფო სუბსიდია მის შესრულებას მოხმარდეს.

...სახელმწიფო კლუბებს ფეხბურთელის შესანარჩუნებლად მეტი ბერკეტები უნდა ჰქონდეთ: ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, უნდა დაიწეროს ფეხბურთელის სატრანსფერო თანხა იმ შემთხვევისთვის, თუ მას კონტრაქტის პერიოდში სხვა კლუბში გადასვლა მოუნდება. შესაბამისად, სატრანსფერო თანხა მთლიანად კლუბის ანგარიშზე ჩაირიცხება. 2-3 წლიანი კონტრაქტი კი გუნდებს საშუალებებს მისცემს, სატრანსფერო თუ შიდა პოლიტიკა თავად მართონ.

რეგიონებში კლუბების მხრიდან მეტად უნდა მოწესრიგდეს ურთიერთობა მედიასთან(ტელევიზია, პრესა), გაცილებით მეტი დრო უნდა დაეთმოს სპორტულ გადაცემებს, მოსახლეობამ მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოს ადგილობრივი კლუბების შესახებ, როგორც სატრანსფერო, ასევე კლუბის შიდა სხვა სიახლებით. ამისათვის კლუბებს კარგად გამართული ვებ-გვერდიც სჭირდებათ!!!

## რა შედეგებს მივიღებთ?

ასეთი მიდგომებით, საქმე გვექნება პროფესიულად გამართულ ორგანიზაციასთან, და არა ერთწლიან, არაპერსპექტიულ გუნდთან, რომელმაც არ იცის, ერთი წლის შემდეგ რა იქნება, არ აქვს განვითარების პროგრამა, მიზანი, ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა, ინფრასტრუქტურა და საერთოდ, არ აქვს მისთვის მორგებული სტრატეგია.

პროექტის გამართული მოქმედება დღევანდელ წამგებიან გუნდს გადააქცევს მომგებიანად, პარალელურად, რეგიონებიდან ახალგაზრდა ფეხბურთელთა მიგრაცია შეწყდება, ჩემპიონატი უფრო კონკურენტუნარიანი გახდება, ჩვენი ეროვნული ნაკრებები კი შევსებას რეგიონებიდანაც მიიღებენ.

**მერაბ მამულაშვილი**



დილას წარმატებულმა ასპარეზობამ გორში მაყურებელი დააბრუნა ფოტო: fcdila.ge

ზესტაფონი



ზესტაფონის პოტენციური ახალწვეული პაპე

# მორიგი აფრიკელი სინჯებზე

## ლოსანოს კარგი შანსი

"ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბი ახალ ლეგიონერს აკვირდება. თურქულ შეკრებაზე მყოფ ფეროელებს სენეგალელი საყრდენი **პაპე აბდულაიე დიაკიტე** შეუერთდა. იგი 20 წლისაა და ბოლო პერიოდში სლოვაკური "ტრენჩინის" წევრი იყო, რომლის შემადგენლობაშიც 8 ოფიციალური მატჩი ჩაატარა. საქართველოს მოქმედი ჩემპიონის თავკაცი **კახა კაჭარავა** მის თაობაზე გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს.

რაც შეეხება "ზესტაფონში" სინჯებზე მყოფ კიდევ ორ უცხოელს – როგორც ანთალიიდან კლუბის პრესსამსახურის უფროსმა **სერგო ფუტკარაძემ** გვაცნობა, სამწვრთნელო შტაბს 31 წლის ესპანელი ცენტრალური მცველი **ორიოლ ლოსანო ფარანი** მოსწონს და დიდი ალბათობით, მას "ზესტაფონი" კონტრაქტს გაუფორმებს. რაც შეეხება 29 წლის სერბ მარცხენა მცველ **ივიცა მილუტინოვიჩს**, მის შანსებზე საუბარი დღევანდელი საკონტროლო მატჩის შემდეგ უფრო იქნება შესაძლებელი.

დღეს თბილისის დროით 17 საათზე "ზესტაფონისა" და პოლონური "ლეხიას" სპარინგი დაიწყება. ცნობისთვის, პოლონეთის 16-გუნდიან ექსტრაკლასში "ლეხია" მე-6 ადგილზეა და ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვის. გდანსკურ კლუბს ჰყავს ბრაზილიელი, ესპანელი, ბოსნიელი, ლიტველი, სომეხი და კონგოელი ლეგიონერები. სხვათა შორის, "ლეხიას" ღირსებას იცავს 29 წლის ესპანელი ნახევარმცველი **ანდრეუ გერაუ**, რომელმაც შარშან ნახევარი სეზონი თბილისის "დინამოში" გაატარა.

გაირკვა "ზესტაფონის" ბოლო სპარინგ-პარტნიორის ვინაობაც – 12 თებერვალს ფეროელები ბელარუსულ ჟოდინოს "ტორპედოს" გაეჯიბრებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი



# ეს უკვე დაინტერესებაა...

ცნობილია, რომ 2013 წლის აპრილში თბილისი ფუტსალში უეფას თასის ოთხთა ფინალს უმასპინძლებს. სახეობაში ყველაზე პრესტიჟული საკლუბო გათამაშების მატჩები 26-28 აპრილს გაიმართება და მონაწილეობას მიიღებენ: თბილისის „იბერია სტარი", წინა გათამაშების გამარჯვებული „ბარსელონა", მოსკოვის „დინამო" და ალმაატის „კაირათი".

საქართველიოს ჩემპიონისა და უეფას ოთხთა ფინალის მონაწილე "იბერია სტარის" წარმატებებმა განაპირობა სწორედ ის ფაქტი, რომ კლუბის მიმართ ბიზნესსა და მაყურებელს ინტერესი გაუჩნდა.

მაგალითი? ამიერიდან შესაძლოა გუნდის ახალი ტექნიკური სპონსორი „სალერი" გახდეს. ამის შესახებ ჰოლდინგ „იბერია ბიზნეს ჯგუფის" ხელმძღვანელმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა** განაცხადა, რომლის ჰოლდინგიც ერთი თვის წინ საქართველოში გერმანული სპორტული ეკიპირების მწარმოებელი კომპანიის ექსკლუზიური წარმომადგენელი გახდა. ხეჩიკაშვილის თქმით, "იბერია სტარის" პრეზიდენტთან, **ვახო წერეთელთან** სამუშაო შეხვედრა უკვე ჰქონდა.

კლუბის მენეჯერი ამბობს, რომ აქამდე კლუბის ტექნიკური სპონსორები იყვნენ "უმბრო" და "კელმე", სპონსორი კი დაარსების დღიდან კომპანია "სამგორია.

მიუხედავად იმისა, რომ "სალერი" საქართველოში ოფიციალურად არც ისე დიდი ხნის წინათ დაფუძნდა, ის უკვე საკმაოდ ბევრი ორგანიზაციის თუ კლუბის პარტნიორი გახდა: "ლევან ჟორდანიას" ფონდთან" და საფეხბურთო სკოლა "საბურთალოსთან" ერთად, დეკემბერში "სალერის" თასის გათამაშება ჩაატარა, გახდა "ზენდელას თასისა" და პირველი ლიგის სპონსორი.

კომპანიის წარმომადგენლობის პრეზენტაციაზე ითქვა, რომ ფუტსალის ასოციაციასთან მოლაპარაკება ამ სახეობის ეროვნული ნაკრების ტექნიკურ სპონსორობის თაობაზეც მიმდინარეობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდი

# ბოლო სპარინგი თურქეთამდე


ელგუჯა ქომეთიანი

"ზუგდიდმა" საკონტროლო მატჩი თანაქალაქელ "ლაზიკასთან" გამართა და 2:1 გაიმარჯვა. "ზუგდიდის" შემადგენლობიდან გოლები **ლაშა კუკავამ** და **ირაკლი ქირიამ** გაიტანეს, ხოლო "ლაზიკადან" თავი **ცოტნე სამუშიამ** გამოიჩინა.

ხვალ კი "ზუგდიდი" ანთალიაში მიემგზავრება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** შეკრებისთვის შემდეგი ფეხბურთელები შეარჩია:

მეკარეები: **ლაშა ძაგანია, არჩილ მაქაცარია;**

მცველები: **ნიკოლოზ აფაქიძე, დავით გამეზარდაშვილი, ლევან აკობია, როინ ონიანი, მაკარ აქუბარდია, ილია გამრეკლიძე, რომეო კანკია, გიორგი ქვარცხავა, ნიკა ხუხია, ზურაბ მალანია;**

ნახევარმცველები: **ლუკა გუგუჩია, ზვიად სიხარულია, შოთა ლომია, ლევან წურწუმია, ვალიკო ტყემალაძე, გიორგი ხუბუა, ლევან ქანთარია, აკაკი ფარჯიკია, ნიკა შონია;**

თავდამსხმელები: **ირაკლი ქობალია, ლაშა კუკავა, გიორგი გაბედავა, ირაკლი ეხვაია.**

*"ჩვენ დღეს დავასრულეთ ადგილზე შეკრება, რამაც გარკვეული წარმოდგენა მოგვცა ფეხბურთელების ფიზიკური მომზადების მხრივ. იცით, რომ სრულფასოვან შეკრებას თურქეთში გავივლით და ოპტიმალური შემადგენლობის სრულ სურათს, სწორედ ეს შეკრება მოგვცემს. რაც შეეხება ბოლო თამაშს – "ლაზიკას" არაერთი თამაში მინახავს მეორე ლიგის პირველ წრეში და კარგად შეკრული გუნდია, ვიცოდი ფეხბურთელთა შესაძლებლობები, მაგრამ დღეს კიდევ დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ პირველი ლიგის საგზურისთვის ღირსეულად იბრძოლონ. აქედან გამომდინარე, არ იქნება გასაკვირი, "ლაზიკას" 3-4 ახალგაზრდა ფეხბურთელი "ზუგდიდის" შემადგენლობაში მოხვდეს", - განაცხადა ელგუჯა ქომეთიანმა.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიონი

# ბოლნისში ახალ სტადიონს ააშენებენ

## სიონმა თურქეთში პირველად ისპარინგა

ბოლნისის "სიონი" 6 თებერვალს ანთალიაში გაემგზავრა და ბელექში ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "ატლანტისში" დაბინავდა.

გუნდის პრესატაშის **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, ბოლნისელები საუცხოო პირობებში ემზადებიან, მაგრამ საკმაოდ არამდგრადი ამინდი დახვდათ, დარს ავდარი ენაცვლება. მიუხედავად ამისა, გუნდი დაგეგმილი გრაფიკით ვარჯიშობს: მთავარი მწვრთნელი **არმაზ ჯელაძე** ფეხბურთელებს დღეში ორჯერ ტვირთავს, პლუს თეორია და ტრენაჟორებში ვარჯიში.

*"სანამ გუნდი თურქეთში ემზადება, მანამდე ბოლნისის გამგეობის გადაწყვეტილებით, "თამაზ სტეფანიას" სტადიონის განახლება დაიწყო: ალებულია საფარი და მალე ახალი დაიგება, განახლდება გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები.*

*ამავე დროს, ბოლნისის ყოფილი ტექნიკუმის ტერიტორიაზე სტანდარტული ხელოვნურსაფრიანი მოედანი მოეწყობა, ხოლო გამგეობისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ქალაქში ახალი, თანამედროვე სტადიონი აშენდება - სასურველი ტერიტორიის შერჩევა ახლა მიმდინარეობს.*

*და ბოლოს: "მადნეულისა" და "სალერის" ერთობლივი გადაწყვეტილებით, ამიერიდან გუნდის ძირითად და დუბლშემადგენლობებს გერმანული კომპანია "სალერი" შემოსავს"* – ამბობს ჭიპაშვილი.

"სიონმა" პირველი საკონტროლო თამაში გუშინ ყაზახურ "ირტიშთან" ჩაატარა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს წამოსული წვიმისა და სეტყვის გამო, გუნდები მეორე ნახევარში მოედანზე აღარ გასულან – ამ დროისთვის ანგარიში 0:0 იყო.

**"სიონი" – "ირტიში" 0:0 (მატჩი ჩაიშალა)**

**"სიონი": ბობლიაშვილი – უგრეხელიძე, სვანიძე, საპირი, ელიავა - ნემსაძე, ჰაიდუჩეკი - ბიბილეიშვილი, ცხადაია, ლექვთაძე - მიკუჩაძე**

ბოლნისელები კიდევ სამ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ: 11 თებერვალს მოსკოვის "ტორპედოს" დაუპირისპირდებიან, 12-ში – სოფიის "ლოკომოტივს", 17-ში - კიევის "არსენალს". არ არის გამორიცხული, კიდევ ერთი სპარინგი 14 თებერვალსაც შედგეს, მეტოქის ვინაობა კი ამჟამად ზუსტდება.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა

# სანახაობა თავსხმა წვიმაში

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა "დილამ" მეოთხე ტესტმატჩი ჩაატარა და ჩეხური "მლადა ბოლესლავი" 3:2 დაამარცხა. შეხვედრა თავსხმა წვიმის თანხლებით გაიმართა, მაგრამ როგორც ანგარიშიდან ხედავთ, ცუდმა ამინდმა თამაშის სანახაობრივ მხარეზე გავლენა ვერ მოახდინა. მატჩს "ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია**, კლუბის სპორტული დირექტორი **მიხეილ ხუციშვილი** და მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **კახა გოგიჩაიშვილი** დაესწრნენ. იქვე იყვნენ თბილისის "დინამოს" წარმომადგენლები ც – მთავარი მწვრთნელი **დუშან უჰრინი** ასისტენტით და გუნდის უფროსი **გია ჯიშკარიანი.**

მატჩის პირველი ტაიმი ჩეხებმა მოიგეს, "დილას" თამაში კი შესვენებისას განხორციელებულმა შეცვლებმა გამოაცოცხლა. "ბოლესლავის" კარში გოლები **ბაჩანა არაბულმა, ნიკოლოზ ჯიშკარიანმა** და **დავით კვირკველიამ** გაიტანეს. ვალდას ივანაუსკასის გუნდი 3:1 დაწინაურდა, შეხვედრის ბოლო გოლი კი მეტოქემ 86-ე წუთზე გაიტანა.

"დილამ" ჩეხეთის 2011 წლის თასის მფლობელთან ამ შემადგენლობით ითამაშა: **იქსტენსი, ალადაშვილი (75. გოგინაშვილი), კვახაძე, თომაშვილი, კვირკველია, გვალია, არზიანი (55. ლობე), რამოსი, გორელიშვილი (75. ლომიძე), მოდებაძე (55. ჯიშკარიანი), ილურიძე (55. არაბული).**

შეკრების ბოლო ამხანაგურ შეხვედრას "დილა" 11 თებერვალს სერბულ "რადნიჩკისთან" გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპარტაკი

# მარცხი პირველ ანთალიურ გამოცდაში


კონსტანტინე ხიზანეიშვილ

ცხინვალის "სპარტაკმა" ანთალიაში გუშინ პირველი ტესტ-მატჩი გამართა. შიდაქართლელები ავსტრიულ პირველ ლიგაში (რიგით მეორე ლიგა) მოასპარეზე ლინცის "ბლაუ ვაისს" გაეჯიბრნენ და 1:2 დამარცხდნენ.

**ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი მე-13 წუთზე გატანილი გოლით დაწინაურდა - **თორნიკე თუხარელის** ფლანგური გარღვევისას საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს **კონსტანტინე ხიზანეიშვილმა**, რომელმაც მიმდინარე სეზონი თბილისის "დინამოს" დუბლებში დაიწყო, ავსტრიელთა კარში მიუჩინა ადგილი და ანგარიშიც ასე გაიხსნა. მეორე ავსტრიელებმა ორივე ბოძებული საგოლე შანსი გამოიყენეს და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულეს.

სპარტაკი: **ნადირაძე, ჭაფოძე, თვალავაძე, ქურდაძე, ხიზანეიშვილი, თუხარელი, კილასონია, ბურძენაძე, შონია, ლემონჯავა, მეტრეველი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ზუხბაია, ნარიმანიძე, კაბისოვი, ხადარცევი, ხუბეჟოვი, დარჩიევი, კაკაშვილი, მაქაცარია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ბექვაიას რუსული შანსი

**გიგა ბექვაია**, რომელიც ბოლო პერიოდში გორის "დილაში" ასპარეზობდა, რუსული "ნეფტეხიმიკის" შემადგენლობაში ვარჯიშობს. მან ამ კლუბის მიერ გამართულ საკონტროლო მატჩშიც მიიღო მონაწილეობა – რუმინულ "კოსტულენთან" შეხვედრაში, რომელიც "ნეფტეხიმიკმა" 4:2 მოიგო, ქართველმა ნახევარმცველმა მოედანზე პირველი ტაიმი გაატარა.

"ნეფტეხიმიკი" რუსეთის პირველი დივიზიონის (რანგით მეორე ლიგა) ბინადარია, სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა და პრემიერლიგაში ალზევების შანსი აქვს. ყაზანის "რუბანს" **საბა კვირკველია** სწორედ იქ ჰყავდა განათხოვრებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 1000 კვირის წვრილმანი

დავით თავართქილაძე

## მატადორი და მხატვარი

საფეხბურთო მილეთმა ყბად იღო **მათე ვაწაძის** ჩაუქობა ალბანეთთან ამხანაგურ შეხვედრაში. რომ არ დაშავებულიყო **ლევან მჭედლიძე**, ვინ იცის, როდის შეუშვებდა მოედანზე ვაწაძეს **თემურ ქეცბაია**. ფეხბურთში ყისმათსა და მოულოდნელობის ფაქტორს ცეცხლის ფასი ადევს.

ფასზე თუ მიდგა საქმე, ყველაზე ძვირი თავდამსხმელი ღირს, ყველაზე მეტ ფულს სწორედ ამ ხელობაში იხდიან. ვაწაძესაც ძვირიანი პროფესია აქვს, ის მეგოლე თავდამსხმელია და ამ ყველაფერს შეძლება უნდა.

3-4 წელი იქნება, რაც ვაწაძის ნიჭში თითქმის ყველა დარწმუნდა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში მას სულ რალაც ექვსი მატჩი აქვს ჩატარებული. რისი და ვისი ბრალი უნდა იყოს ეს?

ერთხელ იყო, ვაწაძემ ჩვეულად რომ გაიბრწყინა ეროვნულ ჩემპიონატში და მოხდენილი გოლები შეაგდო, მაშინ ვაწაძე "მატადორად" მოვიხსენიეთ და ზოგმა ეს გადაჭარბებაში ჩამოგვართვა.

რას ვიზამთ, როცა საკუთარ ნააზრევს აწვდი მკითხველს, ჟურნალისტიკა ვერ არის აბსოლუტურად ზუსტი პროფესია. უცხოურ პრესაში მატადორი ხშირად ყოფილა საქებარი სიტყვა მეგოლე თავდამსხმელებისთვის და ეს გაცვეთილი, მაგრამ გემრიელი მეტაფორა აქაც გამოვიყენეთ. მატადორი კლავს, მატადორი ამარცხებს, ბოლო დარტყმა მატადორს ეკუთვნის - ვაწაძეც ხშირად ყოფილა მატადორის როლში.

ალბანეთამდე ოდენ ხუთი კეპი - აქ საფეხბურთო გემოვნების ამბავი უფრო უნდა იყოს, ვიდრე სხვა რამეები.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრების სასტარტოში ითამაშა **ლევან ყენიამ.** განზე წასული ბურთი ისე შემოატრიალა, რომ საგოლე გადაცემით დააჯილდოვა ვაწაძე - ეს მხოლოდ ნიჭიერების ხვედრია, ასეთი ეპიზოდი შემთხვევითობა ვერ იქნება.

**თორნიკე ოქრიაშვილმა** ერთხელაც დაამტკიცა, რომ არაორდინალური ფეხბურთელია. მეორე გოლი მან მოიგონა და **უჩა ლობჟანიძემ** უცნაური დარტყმით დააგვირგვინა. საქართველომ მოიგო!

ეს გამარჯვება ძალიან საჭირო იყო თემურ ქეცბაიასთვისაც. მწვრთნელსაც სჭირდება თავდაჯერებულობა ისეთ მეტოქესთან მატჩის წინ, როგორიც საფრანგეთის ნაკრებია.

ალბანეთი-საქართველოს შემდეგ ვინც უყურა საფრანგეთი-გერმანიის შეხვედრას, ერთიდან მეორე პლანეტაზე გადაინაცვლა. ეს ის შემთხვევაა, რომელიც ძალაუნებურად დაგაფიქრებს, ოქრიაშვილი გერმანიაში რომ დაბადებულიყო, განა **ტომას მიულერზე** ნაკლები იქნებოდა, ან ვაწაძე საფრანგეთში რომ დაბადებულიყო, რატომ ვერ იქნებოდა **ბენზემაზე** მეტი...

და ალბანეთმა რაღა უნდა თქვას? ისეთ მინდორზე უმასპინძლა საქართველოს, თავი ვერტყვიჭალაში გეგონებოდათ. არადა, ალბანეთი ნატოს წევრია და ევროკავშირს უმიზნებს, ტაქსის მძღოლები კი იტალიურადაც ლაპარაკობენ.

ახლახან ერთი ჩემი ნაცნობის სვეტი დაიპოსტა ფეისბუქზე. პატივცემული ავტორი წერს, რომ საქართველოში ნამდვილი ცხოვრება 2003 წლიდან დაიწყო, მანამდე კი მუქთახორები ვიყავით. ეს სვეტი ალბანეთთან მატჩის წინ წავიკითხე და **ენვერ ხოჯა** გამახსენდა. რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში მომიწია ყოფნამ და იქაური ქართველი ემიგრანტებისგან გამიგონია, ჩვენ და ალბანელები აქ ერთ კასტაში გავდივართო. მსგავსება ალბათ იმან გამოიწვია, რომ ჩვენც გვყავდა ჩვენი ხოჯა.

მუქთახორობის კი რა მოგახსენოთ, გზები 2003 წლამდეც გაჰყავდათ და ქალაქებიც შენდებოდა, გვყავდა „დინამო“ და ქართველ ფეხბურთელებს მთელ დუნიაზე ჰქონდათ სახელი დაგდებული, ამ ყველაფერს კი შრომა სჭირდებოდა.

ალბანეთმა ნატოში შეგვასწრო, თორემ ფეხბურთს ქართველები უკეთესად თამაშობენ, ტირანას ოღრო-ჩოღროზეც გამოჩნდა, რომ მატადორიცა გვყავს და ერთი-ორი მხატვარიც.



მათე ვაწაძე


ლევან ყენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტურის წინ

# შოტლანდიელების თეატრი

## 9 თებერვალი

**ტოტენჰემი-ნიუკასლი 16:45**

**ტრავმა:** სანდრო, ჰადლსტოუნი, კაბული, დეფო – გოსლინგი, ბენ არფა, ვუკჩიჩი, რ. ტეილორი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=3-0 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 125 თამაში: +54=27-44 (213-186)

**ჩელსი-უიგანი 19:00**

**ტრავმა:** რომეუ, ლუისი, ჩეხი, მოზესი, მიკელი – მიაიჩი, უოტსონი, კრუსატი, ალკარასი, რამისი, ბოისი, პოლიტი, კონე

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +13=2-1 (38-10)

**ნორვიჩი-ფულჰემი 19:00**

**ტრავმა:** რადი – სიდუელი, დიარა, ფრეი, რიჩარდსონი, ბერბატოვი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=3-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 9 თამაში: +0=2-7 (4-21)

**სტოკი-რედინგი 19:00**

**ტრავმა:** უილსონი – მაკარტი, რობერტსი, ჰანტი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +5=8-13 (22-36)

**სანდერლენდი-არსენალი 19:00**

**ტრავმა:** კუელიარი, როუზი, კატერმოული, ბრაუნი – ფაბიანსკი, ჟერვინიო, გიბსი, კოკლენი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 133 თამაში: +45=38-50 (187-208)

**სუონსი-ქუინზ პარკი 19:00**

**ტრავმა:** აგუსტინი, ტეილორი, ვორმი – რაიტ-ფილიპსი, ბოსინგვა, ჯონსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 10 თამაში: +2=4-4 (9-13)

**საუთჰემპტონი-სიტი 21:30**

**ტრავმა:** დო პრადო, ფონტე – რიჩარდსი, ნასტასიჩი, გუიდეტი, რაზაკი, კომპანი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 54 თამაში: +20=16-18 (72-69)

## 10 თებერვალი

**ასტონ ვილა-ვესტ ჰემი 17:30**

**ტრავმა:** დელფი, ოლბრაიტონი, ჰერდი, გარდნერი, დანი – კოლინსი, მაკარტნი, პოტსი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=3-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 89 თამაში: +31=27-31 (141-144)

**იუნაიტედი-ევერტონი 20:00**

**ტრავმა:** იანგი, დ. ფლეტჩერი – ჰიბერტი, კოულმენი

**ბოლო 6 მატჩი**

+5=1-0 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 165 თამაში: +74=40-51 (259-226)

## 11 თებერვალი

**ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი 00:00**

**ტრავმა:** კელი, აისადი, ფლენაგანი – ოდემვინგე, გერა, მულუმბუ, ტორნი

**დისკვალიფიკაცია:** - პოპოვი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 108 თამაში: +50=30-28 (164-120)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 25 | 20 | 2 | 3 | 60-31 | 62 |
| 2. სიტი | 25 | 15 | 8 | 2 | 47-21 | 53 |
| 3. ჩელსი | 25 | 13 | 7 | 5 | 51-27 | 46 |
| 4. ტოტენჰემი | 25 | 13 | 6 | 6 | 42-29 | 45 |
| 5. ევერტონი | 25 | 10 | 12 | 3 | 40-30 | 42 |
| 6. არსენალი | 25 | 11 | 8 | 6 | 49-29 | 41 |
| 7. ლივერპული | 25 | 9 | 9 | 7 | 44-32 | 36 |
| 8. სუონსი | 25 | 8 | 10 | 7 | 34-28 | 34 |
| 9. ვესტ ბრომვ. | 25 | 10 | 4 | 11 | 34-35 | 34 |
| 10. სტოკ სიტი | 25 | 6 | 12 | 7 | 24-30 | 30 |
| 11. ვესტ ჰემი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-36 | 30 |
| 12. სანდერლენდი | 25 | 7 | 8 | 10 | 28-33 | 29 |
| 13. ფულჰემი | 25 | 7 | 7 | 11 | 36-42 | 28 |
| 14. ნორვიჩი | 25 | 6 | 10 | 9 | 25-40 | 28 |
| 15. ნიუკასლი | 25 | 7 | 6 | 12 | 33-44 | 27 |
| 16. საუთჰემპტონი | 25 | 5 | 9 | 11 | 33-44 | 24 |
| 17. რედინგი | 25 | 5 | 8 | 12 | 32-46 | 23 |
| 18. უიგანი | 25 | 5 | 6 | 14 | 29-47 | 21 |
| 19. ასტონ ვილა | 25 | 4 | 9 | 12 | 23-49 | 21 |
| 20. ქუინზ პარკი | 25 | 2 | 11 | 12 | 18-37 | 17 |

**ბომბარდირები:** 18 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი), 13 - მიჩუ (სუონსი)



ალექს ფერგიუსონს დევიდ მოიესთან შარშანდელი ანგარიშები აქვს გასასწორებელი

### ლიდერების მისია

ტურს ჩემპიონთა ლიგის საგზურის შარშანდელი პრეტენდენტები „ტოტენჰემი" და „ნიუკასლი" გახსნიან. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ლონდონელები წელს ამ მიზანთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე შარშან იყვნენ, ტაინსაიდელებს კი საქმე ლამის გასავარდნად დაუდგათ. თუკი ცხრილიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ფავორიტი მასპინძელია, მაგრამ გასული ტურის შემდეგ, როდესაც „კაჭკაჭებმა" „ჩელსი" ყველა კომპონენტში დაჩაგრეს, ასე ხელაღებით რაიმეს მტკიცება უკვე ძალიან ძნელია. გასათვალისწინებელია „დეზების" პრობლემები თავდასხმაში. გამორიცხულია **ჯერმეინ დეფოს** თამაში, **ემანუელ ადებაიორი** კი გადაღლილია და „უაით ჰართ ლეინზე" მისი ხილვა საეჭვოა.

„ჩელსი" დიდი ხანია, კრიზისშია ჩაფლული, მაგრამ საუკეთესო ფორმაში არც უშუალო კონკურენტები არიან, რისი წყალობითაც „ლურჯები" მესამე ადგილის შენარჩუნებას ახერხებენ. მეორე მხრივ ლონდონელები უკვე 13 ქულით ჩამორჩნენ „მანჩესტერ იუნაიტედს", რადგან უკანასკნელი ქულებს პრაქტიკულად არ კარგავს. ასე რომ, **რაფა ბენიტესს** ისღა დარჩენია, როგორმე სტატუს-კვო შეინარჩუნოს. „უიგანს" უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს, მაგრამ **რობერტო მარტინესის** გუნდი არ არის ის მეტოქე, ვისი დამარცხებაც შეუძლებელია. თანაც, გაითვალისწინეთ, რომ სტუმარს ლამის ნახევარი გუნდი აკლია.

„არსენალს" ურთულესი დაპირისპირება ელოდება სანდერლენდის „სტედიუმ ოფ ლაითსზე". **მარტინ ონილის** გუნდის ასპარეზობა ბოლო ხანს იოლი საპროგნოზოა. თუკი მის შედეგებს თვალს გადაავლებთ, აღმოაჩენთ, რომ ზუსტად იმ გუნდებთან იღებს ქულებს, ვისთანაც ამას ელის კიდეც გულშემატკივარი. „არსენალს" კი პირიქით, როდის გაუვარდება თოფი, ძნელი სათქმელია. კვირიდან კვირამდე კი არა, მას შეუძლია აუტსაიდერივით ითამაშოს პირველ ტაიმში და ჩემპიონივით მეორეში. **არსენ ვენგერს** სანაკრებო თამაშების შემდეგ პრობლემები მოემატა. გუნდს ტრავმირებულები დაუბრუნდნენ ფრანგები **ლორან კოშელნი** და **ბაკარი სანია.**

„საუთჰემპტონი" მოქმედ ჩემპიონ „მანჩესტერ სიტის" დახვდება. მართალია, „წმინდანების" ხელმძღვანელებმა თვის დასაწყისში ცოტა უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს, როცა **ნაიჯელ ედკინსი** პოსტიდან დაითხოვეს, მაგრამ გუნდი მეტოქეთათვის არც **მაურისიო პოჩეტინიოს** ხელში ქცეულა სათამაშოდ. ამის დასტურია ბოლო თამაშები „იუნაიტედსა" და „ევერტონთან". ლიდერებს მასთან გასამკლავებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. დაძაბული თამაში ელის მოქმედ ჩემპიონსაც. „სიტის" შეცდომის უფლება უკვე აღარ დარჩა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონის გვირგვინთან გამოთხოვება ვადაზე ადრე მოუწევს. ბუკმეიკერები წარმატებას, ცხადია, უფრო „ქალაქელებისგან" ელიან.

### სერიები ბრიტანიაზე

ნორვიჩის „კეროუ როუდს" „ფულჰემი" ესტუმრება. აღნიშნული წყვილის დაპირისპირება უქმეებზე ალბათ ყველაზე ნაკლებ ინტერესს იწვევს, რადგან ერთიცა და მეორეც ძალიან ცუდ ფორმაშია. „ფულჰემს" მოგების შემთხვევაში ერთ-ერთი უკანასკნელი შანსი მიეცემა, რომ ევროპაში გამსვლელი ადგილებისთვის იბრძოლოს. ჩვენი პროგნოზით, მასპინძელი ბოლოს და ბოლოს გაარღვევს ჩაკეტილ წრეს და გამარჯვებას იზეიმებს.

„რედინგი" ბოლო ერთი თვის განმავლობაში სასწაულებს აკეთებს. ამ პერიოდში პირიქით დაემართა „სტოკ სიტის". **ტონი პულისის** გუნდის „გადაულახავი" დაცვა უკვე აღარ არის გადაულახავი. შესაბამისად, ისინი ნელ-ნელა უკან იხევენ. იმ არენაზე, სადაც მიმდინარე სეზონში მასპინძლები ერთადერთხელ დამარცხდნენ, „რედინგს" უნდა გაუჭირდეს ქულის აღება. ჩვენი პროგნოზით, მეტოქეები თავიანთ სერიებს შეწყვეტენ.

ევროპული ტოტალიზატორები „სუონსის" „ქუინზ პარკთან" დაპირისპირებაში აშკარა ფავორიტად ასახელებენ. ჩვენი აზრით, მათი არჩევანი ლოგიკურია, რადგან „გედები" აშკარა აღმავლობის გზას თუ არ ადგანან, მათზე არც ის ითქმის, ცუდ ფორმაში არიანო. უელსელთა ბანაკში იდეალური განწყობაა. კლუბი მთავარ მწვრთნელ **მიკაელ ლაუდრუპს** შრომას უფასებს და მასთან ხელშეკრულების გაგრძელებას აპირებს. წამყვანი ფეხბურთელები ერთმანეთის მიყოლებით აწერენ ხელს ახალ კონტრაქტებს. აი, „ქუინზ პარკში" კი პირიქით, თავი ძალიან სტკივათ.

### ვილას შანსი და აღრენილი იუნაიტედი

„ასტონ ვილას" ჩემპიონატში გამარჯვება უკვე 8 მატჩია არ ღირსებია, მაგრამ წინა ტურში ბირმინგემელებმა კარგად ითამაშეს, გასვლაზე „ევერტონს" ქულა დასცინცლეს. იმედია, ისინი ამჯერად შინ კიდევ უფრო კარგად ითამაშებენ. ჩვენი პროგნოზი: **პოლ ლამბერტის** გუნდს შეუძლია 3 ქულის აღება.

„ევერტონი" „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩადის სათამაშოდ. „ოლდ ტრეფორდზე" მერსისაიდელთა წარმატება წესიდან გამონაკლისად შეგვიძლია ჩავთვალოთ. სწორედ ასეთი გამონაკლისი მოხდა შარშან, როცა „ეშმაკებმა" 2-ბურთიანი ფორა გაანიავეს და თანაქალაქელ „სიტის" ცხრილში პირველი ადგილი დაუთმეს. სერ **ალექს ფერგიუსონსა** და მის რაზმს ეს წყენა ცუდად ეხსომებათ, რაც სტუმართა შანსებზე შესაბამისად უნდა აისახოს. ჩვენი პროგნოზი: „იუნაიტედი" გაიმარჯვებს.

პრემიერლიგა

# ფინანსური პრობლემების აღმოსაფხვრელად



პრემიერლიგის აღმასრულებელი დირექტორი რიჩარდ სკუდემორი

ინგლისის პრემიერლიგა მომდევნო სეზონიდან კლუბების უმკაცრეს ფინანსურ კონტროლს შეუდგება. ჩემპიონატის იმ მონაწილეებს, რომლებიც ლიგის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ, შესაძლოა, ქულებიც კი დააკლდეთ. ყველაზე მკაცრი სანქცია გათვალისწინებულია მათთვის, ვისი ფინანსური ზარალიც სამი წლის განმავლობაში 105 მილიონ ფუნტს გადააჭარბებს. ამასთან, კლუბების მიერ კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავალი არ დაითვლება. გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ტელევიზიებიდან და ტრანსფერებიდან მიღებული თანხები. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ეს წესი დანერგილი რომ ყოფილიყო, მხოლოდ სამი პრემიერლიგელი დაარღვევდა მას. ესენი არიან: „ჩელსი", „მანჩესტერ სიტი" და „ლივერპული". აღნიშნული წესის შემოღებას მხარი 20-დან 13-მა კლუბმა დაუჭირა, „რედინგმა" თავი შეიკავა, ხოლო „ფულჰემი", „მანჩესტერ სიტი", „ვესტ ბრომვიჩი", „საუთჰემპტონი", „სუონსი" და „ასტონ ვილა" წინააღმდეგ წავიდნენ. *„ახალი კანონი მესაკუთრეებს არ უკრძალავს კლუბის განვითარებაში დიდი თანხების დაბანდებას, მაგრამ ყოველწლიურად ასობით მილიონს უკვე ველარავინ დახარჯავს. ეს ნაბიჯი საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ჩვენი წევრების გაკოტრება. სწორედ ზედმეტი ხარჯები გახდა „პორტსმუთისა" და „ლიდსის" კრახის მიზეზი. თავისუფალ ფულს ამიერიდან კლუბები თავიანთი აკადემიების განვითარებას მოახმარენ,"* – განაცხადა **რიჩარდ სკუდემორმა** BBC-ისთან ინტერვიუში.

ამბები

### კერიკი იუნაიტედში რჩება

„მანჩესტერ იუნაიტედის" 31 წლის საყრდენი ნახევარმცველი **მაიკლ კერიკი** მიმდინარე სეზონში გუნდის ერთ-ერთ ლიდერად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ჩემპიონატმა 25 ტური მოილია და აქედან 24-ჯერ ის ძირითადში იყო. ვეტერანს კლუბმა უკვე შესთავაზა ხელშეკრულების გაგრძელება ორი წლით. ამჟამად მოქმედ კონტრაქტს ვადა 2014 წლის ივნისის ბოლოს გასდის. „იუნაიტედი" მას ხელფასს, კვირაში 80 ათას ფუნტს, სრულად შეუნარჩუნებს.

### ნიუკასლის განაცხადი შეივსო

„ნიუკასლმა" ევროპის ლიგის საგაზაფხულო ეტაპისთვის განაცხადს სამი ფეხბურთელი დაამატა. ესენი არიან **მუსა სისოკო, მაპუ იანგა-მბივა** და **მასადიო აიდარა**. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ტურნირის პლეი ოფში „კაჭკაჭები" ხარკოვის „მეტალისტს" დაუპირისპირდებიან. წყვილი გამარჯვებულს 15 და 21 თებერვალს გასამართ შეხვედრებში გამოავლენს. სულ ტაინსაიდელთა განაცხადში 35 ფეხბურთელია.

### ტერი და ფერდინანდი წარსულია

„ტელეგრაფისთვის" მიცემულ ინტერვიუში ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** განაცხადა, რომ **რიო ფერდინანდისა** და **ჯონ ტერის** მიწვევას არ გეგმავს. 65 წლის სპეციალისტის თქმით: *„ინგლისს წლების განმავლობაში ჰყავდა ცენტრალური მცველების წყვილი, ვისითაც ყველა კმაყოფილი იყო. ისინი ნაკრებს განსხვავებული მიზეზების გამო ჩამოშორდნენ და ახლა იმას ვცდილობთ, რომ მათი შემცვლელები მოვნახოთ. სმოლინგისა და კეჰილის თამაშით კმაყოფილი ვარ. იქამდე კი ამ პოზიციაზე კარგად ითამაშეს იაგიელკამ და ლესკოტმა. მე არ ვაპირებ, ვიმსჯელო ფეხბურთელებზე, რომლებიც არ მყავს".*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ლუკას მოურა

# მინდა ჩემი კვალი დავტოვო

**როდესაც გაირკვა, რომ „პარი სენ ჟერმენმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ აჯობა და ლუკას მოურა „სან პაულუსგან“ 40 მილიონ ევროდ შეიძინა, საფრანგეთში მის გამოჩენას ყველა მოუთმენლად ელოდა. რა თქმა უნდა, 20 წლის ფეხბურთელისგან ძალიან ბევრს ელიან, მაგრამ მიუხედავად დიდი ზეწოლისა, ლუკასი საკმაოდ მშვიდად არის და საკუთარ მომავალზე ტკბილეულობის მაღაზიაში მოხვედრილი ბავშვის ენთუზიაზმით საუბრობს. „პარი სენ ჟერმენის“ ახალწვეულს ლიგა 1-ის ოფიციალური საიტი გაესაუბრა...**

„მე ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ისეთ დიდ კლუბში თამაში, როგორიც „პარი სენ ჟერმენია“, ყოველთვის მსურდა. აქ მოხვედრა ჩემი კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად არის. ფეხბურთელებს უკვე დავუახლოვდი და ახლოს გავიცანი, რაშიც ბრაზილიელები ძალიან მეხმარებიან“.

მზიანი სან პაულუს შემდეგ, სხვა ქვეყანაში და უცხო გარემოში მოხვედრა იოლი არ უნდა ყოფილიყო...

„ყველაზე რთული მაინც კლიმატურ პირობებთან შეგუებაა. ბრაზილიაში ასეთი ცივი ამინდები არასდროს არის, ამიტომ გარკვეულწილად თამაში გამიჭირდა. ცივ ამინდში სეირნობა პრობლემა არ არის, აი, ფეხბურთის თამაში სულ სხვა რამ გახლავთ. სახლთან ახლოს ბრაზილიური რესტორანი აღმოვაჩინე და იქ ძალიან ხშირად, ლამის ყოველდღე დავდივარ, რადგან მშობლიური საკვები ძალიან მენატრება. თავიდან ვფიქრობდი, რომ ფრანგულ სამზარეულოს ვერ შევეგუებოდი, მაგრამ ნელ-ნელა ვეჩვევი და რაღაცები უკვე მომწონს კიდეც“.

პარიზში შესაძლოა ცივა, სამაგიეროდ 20 წლის ფეხბურთელს ძალიან თბილი დახვედრა მოუწყვეს, რამაც ლუკასი გააოცა:

„არასდროს დამავიწყდება ის დღე, როდესაც „პარკ დე პრენსზე“ პირველად გამოვედი. ძალიან ემოციური და ამაღელვებელი მომენტი იყო. ნამდვილად არ ველოდი, რომ გულშემატკივრები ჩემი სახელის სკანდირებას დაიწყებდნენ. თითქოს ოცნება ამისრულდა და ზღაპარში მოვხვდი. გულშემატკივართა მხარდაჭერა ძალიან მეხმარება და მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მათ თავი შევაყვარო და ყველას დავუმტკიცო, რომ პსჟ არ შემცდარა, როდესაც მე შემიძინა“.

ლუკასმა საკუთარი ტექნიკის და სისწრაფის ჩვენება უკვე მოასწრო, მაგრამ გარდა ამისა, რამდენიმე ეპიზოდში, ახალგაზრდა ბრაზილიელმა უკან დაიხია, დაცვას დაეხმარა და ზოგიერთ მომენტში მშვენიერი ვარდნაც შეასრულა. ბრაზილიელი ფეხბურთელისგან ასეთ ქმედებას, გავრცელებული სტერეოტიპების გამო, ცოტა თუ ელოდა.

„მე უბრალოდ ასე ვთამაშობ. „სან პაულუშიც“ და ბრაზილიის ნაკრებშიც, როდესაც საჭიროა, უკანაც ვიხევ და დაცვას ვეხმარები. დანებება არ მჩვევია: თუ ბურთს დავკარგავ, ვიბრძვი იმისთვის, რომ უკან დავიბრუნო. ყველა მოთამაშე ვალდებულია, რომ გუნდს დაეხმაროს. შესაძლოა, ის საოცარი ატმოსფერო, რომელიც გუნდში და სტადიონზეა, დამატებით მოტივაციას მძენს. ყოველთვის ვცდილობ, რომ გუნდისთვის ბოლომდე დავიხარჯო“.

„აიაჩოსთან“ მშვენიერი დებიუტის შემდეგ, ლუკასმა „ბორდოსთან“ შეხვედრაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** საგოლე პასი გაუკეთა და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაატანინა.

„ჩემი პირველი საგოლე გადაცემა „ბორდოსთან“ გავაკეთე, თანაც გოლი იბრას გავატანინე, რომელიც საოცარი ფეხბურთელია – ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია“.

ჯერჯერობით, **კარლო ანჩელოტი**, ახალწვეულს მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებს, თუმცა დიდად არ ზღუდავს და ცენტრისკენ შეწევას არ უშლის. ლუკასის თქმით, მას ეს როლი ძალიან მოსწონს:

– „ყველაზე უკეთ თავს მაშინ ვგრძნობ, როდესაც მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობ და ამავე დროს, ცენტრისკენ შეწევაც შემიძლია, იმისთვის რომ ბურთი ფორვარდებთან ან შეტევაში ჩართულ მცველებთან გავათამაშო. მარჯვენა ფლანგზე თამაშს უფრო მიჩვეული ვარ, მაგრამ თუ მწვრთნელი მოისურვებს, რომ მარცხნივ, ან ცენტრში, ან თუნდაც ფორვარდის პოზიციაზე გამამწესოს, პრობლემა არ იქნება, უბრალოდ, მარჯვნივ თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ“.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ლუკასი ლიგა 1-ში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, მაგრამ რეალურად, ადაპტაციის პროცესი არც ისე იოლი ყოფილა...

„აქ განსხვავებული მოედნებია. ხშირი წვიმის და მოკლედ შეჭრილი ბალახის გამო, ბურთი უფრო სწრაფად დაგორავს და ტემპიც უფრო მაღალია. ბრაზილიაში ცხელა, ბალახიც უფრო გრძელია და ამიტომ თამაშიც შედარებით ნელ ტემპში მიმდინარეობს. საფრანგეთში გაცილებით სწრაფად უნდა ვიფიქრო და არც ის დავივიწყო, რომ ჩემი პასი აქ უფრო ძლიერი გამოდის“

ისევ ლუკას მოურა: „ასეთ სიტუაციაში, შორიდან დარტყმა კარგი გამოსავალია, რადგან ბურთი უფრო სწრაფად მოძრაობს და ამის გამო მეკარეებსაც პრობლემები ექმნებათ. პირადად მე შორიდან ხშირად ვურტყამ და მიმაჩნია, რომ ეს კომპონენტი ჩემი ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. შორეულ დარტყმებზე ბევრს ვმუშაობ, როგორც ვარჯიშის დროს, ასევე ვარჯიშების შემდეგაც. საერთოდ, ბევრს ვშრომობ, მუშაობა არ მეზარება და იმედი მაქვს, რომ მალე გოლების გატანასაც დავიწყებ“.


ლუკას მოურას პარიზული კარიერა წარმატებით დაიწყო

სულ რამდენიმე დღეში, ლუკას მოურას ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი ელის. „პარი სენ ჟერმენი“ „ვალენსიას“ დაუპირისპირდება და 1/4-ფინალში გასვლას ეცდება...

„ჩემპიონთა ლიგაში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. მსოფლიოს მასშტაბით, ეს არის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი, რომელსაც ბრაზილიაშიც ყველა თვალს ადევნებს. ჩემს დებიუტს მოუთმენლად ველი და იმედი მაქვს, რომ თავს კარგად წარმოვაჩენ“.

ლუკას მოურამდე, „პარი სენ ჟერმენში“ ბევრ ბრაზილიელ ვარსკვლავს უთამაშია. ახალგაზრდა ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ **რაის, ლეონარდოს** და **რონალდინიოს** გვერდით, კლუბის დიდების დარბაზში ისიც მოხვდება:

„როგორც უკვე ვთქვი, აქ ძალიან ბედნიერი ვარ. პსჟ დიდი კლუბია და აქ, წლების განმავლობაში, დიდებულ ბრაზილიელ ფეხბურთელებს უთამაშიათ. მეც მსურს, რომ მათ მსგავსად, კლუბის ისტორიაში ჩემი კვალი დავტოვო. მინდა, ტიტულები მოვიგო და გულშემატკივარი გავახარო. როდესაც მოედანზე გავალ, თავს ბოლომდე გადავდებ და კლუბის წარმატებისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ვიმედოვნებ, რომ სეზონის ბოლოს, ყველა ერთად ვიზეიმებთ“.

**ტატო ბაციკაძე**

სტატისტიკა

## მანჩესტერის სკოლის აღიარება

### 1937 წლის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს“ კლუბის აღზრდილის გარეშე არ უასპარეზია

სტატისტიკოსებმა გამოაქვეყნეს შოკისმომგვრელი ინფორმაცია - 1937 წლიდან მოყოლებული „მანჩესტერ იუნაიტედის“ პირველი გუნდის ყოველ თამაშში კლუბის სულ მცირე ერთი აღზრდილი მაინც თამაშობდა.

ეს ისეთი სტატისტიკაა, რომლითაც ევროპის 2-3 ტოპ კლუბი თუ დაიკვეხნის და კიდევ ერთხელ ადასტურებს „იუნაიტედის“ სკოლის გამართულ მუშაობას.

1937 წლის მერე „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 3 623 მატჩი ითამაშა და ყველაში ჰყავდა კლუბის აღზრდილი.

კლუბის ისტორიკოსებმა **ტონი პარკმა** და **სტივ ჰობინმა** გამოიკვლიეს, ბოლო მატჩი როცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღზრდილი არ მონაწილეობდა 1937 წლის 23 ოქტომბერს გაიმართა, მაშინ „იუნაიტედმა“ „შეფილდ უენსდეი“ 1:0 დაამარცხა.

აქვე „დეილი მეილმა“ „იუნაიტედის“ ათი საუკეთესო აღზრდილი ჩამოთვალა: **დანკან ედვარდსი, ბობი ჩარლტონი, ჯორჯ ბესტი, დენის ვაიოლეტი, ნობი სტაილსი, ნორმან უაითსაიდი, ბრაიან კიდი, დევიდ ბექჰემი, რაიან გიგზი, პოლ სქოულზი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის წინ

**სანაკრებო პაუზის გამო ბუნდესლიგის 21-ე ტურში პარასკევის მატჩი არ ყოფილა - 7 შეხვედრა დღეს გაიმართება, 2 კი - ხვალ. შაბათის თამაშებიდან ორი განსაკუთრებით საინტერესოა: დორტმუნდის „ბორუსია“ „ჰამბურგს“ მასპინძლობს, მიუნხენის „ბაიერნი“ კი - „შალკეს“. კვირას კი ისეთი გუნდები გამოვლენ ასპარეზზე, რომლებიც ან ევროპალიგის საგზურებისთვის იბრძვიან, ანაც - გადარჩენისთვის.**

### 9 თებერვალი

**ბორუსია (დ)-ჰამბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბადელი (ჰამბურგი)
**ტრავმა:** ოვომოიელა - ლამი, მანსიენი, ბადელი, ილიჩევიჩი, სალა

**ბოლო 6 მატჩი**
+4=1-1 | +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 91 თამაში: +32=27-32, (160:164)

**ბორუსია (მ)-ლევერკუზენი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** იანჩკე - თოპრაქი
**ტრავმა:** მლაპა - ბელარაბი

**ბოლო 6 მატჩი**
+2=3-1 | +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 61 თამაში: +15=24-22, (89:112)

**შტუტგარტი-ვერდერი 18:30**

**ტრავმა:** აუდელი, ბა, კაკაუ, ჰემლაინი - ვოლფი, ბარგფრედე, ფიულკრუგი

**ბოლო 6 მატჩი**
+2=0-4 | +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 93 თამაში: +33=29-31, (148:158)

**ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პოკონიოლი (ჰანოვერი)
**ტრავმა:** რადლინგერი, ჩერუნდოლო, ეგიმანი, ფელიპე, ანდრეასენი, ფრანკა, შტინდლი - თესკერი, რუდი, სალიჰოვიჩი, ვუკჩევიჩი, შიპლოკი

**ბოლო 6 მატჩი**
+2=0-4 | +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 9 თამაში: +2=2-5, (10:18)

**ფიურტი-ვოლფსბურგი 18:30**

**ტრავმა:** ნდოიე, ჰეფელე, შმიდტგალი, ტირალა - ჰასანი, პილარი, ჰელმესი

**ბოლო 6 მატჩი**
+1=1-4 | +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 1 თამაში: +0=1-0, (1-1:)

**აინტრახტი-ნიურნბერგი 18:30**

**ტრავმა:** ამედიკი - შტეფანი, მარკოს ანტონიო, გებჰარტი, ჰლუშეკი

**ბოლო 6 მატჩი**
+4=0-2 | +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 53 თამაში: +22=17-14, (82:65)

**ბაიერნი-შალკე 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფუხსი (შალკე)
**ტრავმა:** ბადშტუბერი, რაფინია, შაჩირი - კ. პაპადოპულოსი, აფელაი, მორიტცი, ჰუნტელაარი, მარიკა

**ბოლო 6 მატჩი**
+4=2-0 | +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 85 თამაში: +42=25-18, (172:97)

### 10 თებერვალი

**აუგსბურგი-მაინცი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბონსე (აფრიკის თასზეა) - ნ. მიულერი
**ტრავმა:** იენტცში, რაინჰარდტი, ვერჰეგი, ოტლი, პეტრჟელა - ბუნგერტი, ჩუპო-მოტინგი

**ბოლო 6 მატჩი**
+1=4-1 | +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 3 თამაში: +2=0-1, (3:3)

**ფრაიბურგი-ფორტუნა 20:30**

**ტრავმა:** მუიჯა, ფრაისი, სანტინი - ბრუნო სუარესი, ბოლი, გარბუშევსკი, რაფაელი, ვორონინი

**ბოლო 6 მატჩი**
+2=3-1 | +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 5 თამაში: +0=3-2, (3:5)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 20 | 16 | 3 | 1 | 51-7 | 51 |
| 2. ბორუსია (დ) | 20 | 11 | 6 | 3 | 46-22 | 39 |
| 3. ლევერკუზენი | 20 | 11 | 4 | 5 | 38-26 | 37 |
| 4. აინტრახტი | 20 | 11 | 3 | 6 | 38-31 | 36 |
| 5. მაინცი | 20 | 9 | 3 | 8 | 27-24 | 30 |
| 6. შალკე | 20 | 8 | 5 | 7 | 33-31 | 29 |
| 7. ბორუსია (მ) | 20 | 7 | 8 | 5 | 28-29 | 29 |
| 8. ფრაიბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 25-20 | 28 |
| 9. ჰამბურგი | 20 | 8 | 4 | 8 | 22-26 | 28 |
| 10. ჰანოვერი | 20 | 8 | 2 | 10 | 38-39 | 26 |
| 11. ვერდერი | 20 | 7 | 4 | 9 | 32-37 | 25 |
| 12. შტუტგარტი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-35 | 25 |
| 13. ფორტუნა | 20 | 6 | 6 | 8 | 26-28 | 24 |
| 14. ნიურნბერგი | 20 | 6 | 6 | 8 | 20-27 | 24 |
| 15. ვოლფსბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-30 | 23 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 20 | 4 | 4 | 12 | 26-44 | 16 |
| 17. აუგსბურგი | 20 | 2 | 8 | 10 | 16-32 | 14 |
| 18. ფიურტი | 20 | 2 | 6 | 12 | 13-34 | 12 |

**ბომბარდირები:** 14 – მანჯუკიჩი (ბაიერნი); 13 – კისლინგი (ლევერკუზენი), ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 12 – მაიერი (აინტრახტი); 11 – თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი).



მარკო როისმა და კომპანიამ მეორე წრე სამი მოგებით და 11 გოლით დაიწყეს. იქნება გაგრძელება ჰამბურგთან?

# რა შანსი აქვს შალკეს მიუნხენში?

## დორტმუნდს შახტარამდე ჰამბურგი ელის

„დორტმუნდს“ განსაკუთრებით სწრაფი გოლების გატანა ეხერხება - „ბორუსიამ“ საწყის 15 წუთში 9 გოლის გატანა შეძლო, რაც ბუნდესლიგის რეკორდია. „ჰამბურგი“ კი ცხრილში სტაბილურად ტკეპნის ერთ ადგილს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ტორსტენ ფინკის** გუნდი ევროპალიგის საგზურს ვერ მოიპოვებს. ჰამბურგელთა მეკარე **რენე ადლერმა** თქვა, თუ ევროპალიგის საგზურის მოპოვება გვინდა, შედეგები უნდა გამოვასწოროთო, მაგრამ ჩრდილოგერმანელები ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. აქვე გეტყვით, რომ „ჰამბურგს“ „დორტმუნდთან“ წამყვანი საყრდენი ნახევარმცველი **ბადელი** დისკვალიფიცირებული ჰყავს.

### დორტმუნდი ჰამბურგსაც გადაუვლის?

მე-20 ტურის შემდეგ მეორე ადგილზე „დორტმუნდია“, რომელიც ლიდერ „ბაიერნს“ 12 ქულით და 20 გოლით ჩამორჩება. მიუნხენური გრანდისთვის ეს ძალიან დიდი უპირატესობაა, თუმცა დორტმუნდელებმა მეორე წრე ომახიანად დაიწყეს (11 გოლი სამ თამაშში 2013 წელს), რითაც ბავარიელებს მესიჯი გაუგზავნეს, ფრთხილად იყავითო. **იურგენ კლოპის** გუნდი ზამთრის შესვენების შემდეგ მართლაც იმდენად კარგ ფორმაშია, რომ შეგვიძლია ვიფიქროთ: თუ „ბაიერნს“ ფეხი დაუცდება, „ბორუსია“ ამ შანსს გამოიყენებს და მიუახლოვდება.

დღეს „ბორუსია“ არეულ-დარეულ, არაპროგნოზირებად „ჰამბურგს“ მასპინძლობს და ამ კონკრეტული შეხვედრისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მომავალ კვირაში კლოპის გუნდს ჩემპიონთა ლიგაში ძალიან მნიშვნელოვანი ჯახი ელის - დორტმუნდელები ოთხშაბათს, ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის მერვედფინალის პირველ რაუნდში „შახტარს“ დონეცკში სტუმრობენ...

### ბობიჩი: ვერდერთან ცეცხლი უნდა დავანთოთ!

„შტუტგარტმა“ ბუნდესლიგაში ზედიზედ 4 თამაში წააგო და შვაბენლანდური კლუბის ხელმძღვანელები სერიოზულად დაფიქრდნენ, მოიქცნენ თუ არა სწორად, მთავარ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** ახალი კონტრაქტი რომ გაუფორმეს. *„ასე გაგრძელება არ შეიძლება,* - განგაშის ზარებს შემოჰკრა შვაბთა კაპიტანმა **სერდარ ტასკიმ**, - *უკვე დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ამჟამინდელი ტენდენციით გასავარდნ ზონას მივუახლოვდებით.“* მოკლედ, „შტუტგარტი“ კრიზისშია და მენეჯერი **ფრედი ბობიჩი** იმედოვნებს, რომ გუნდი ამ კრიზისს თავს „ვერდერთან“ მატჩით დააღწევს.

*„ვერდერთან“ ცეცხლი უნდა დავანთოთ. ამ შეხვედრის მოგება უბრალოდ აუცილებელია,“* - ამბობს ბობიჩი „შტუტგარტისთვის“ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი მატჩის წინ. „ვერდერმა“ წინა ტურში „ჰანოვერის“ დამარცხებით (2:0) ხასიათი გამოიკეთა. იმ შეხვედრაში „ბაიერნიდან“ არენდით აყვანილმა **ნილს პეტერსენმა** დუბლი შეასრულა, თავდაჯერება მოემატა და ახლა „შტუტგარტის“ კარის დალაშქვრას გეგმავს.

### დერბი დასავლეთში: გლადბახი ლევერკუზენის წინააღმდეგ

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ წინა ტურამდე ცხრა ოფიციალური მატჩი (ბუნდესლიგაში შვიდი) არ ჰქონდა წაგებული და ეს სერია მაინცდამაინც „ლევერკუზენთან“ პრინციპული დერბის წინ შეწყვიტა - მე-20 ტურში **ლუსიენ ფავრის** ფორმაში შესული გუნდი ნიურნბერგში 1:2 დამარცხდა. თუმცა ცუდ ხასიათზე არიან ლევერკუზენელებიც: „ბაიერმა“ საკუთარ მოედანზე „დორტმუნდთან“ 2:3 წააგო და მეორე ადგილთან ერთად, მიუნხენის „ბაიერნის“ ნომერ პირველი მდევრის სტატუსიც დაკარგა. თუმცა მატჩის შემდეგ ლევერკუზენელთა სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** ფეხბურთელები დაიცვა, ჩემპიონობაზე ისედაც არ ვფიქრობდით, ჩვენი მიზანი საუკეთესო ოთხეულში მოხვედრააო - „ლევერკუზენს“ ჩემპიონთა ლიგაში გასვლა უნდა. ფიოლერს მხარი გენერალურმა მენეჯერმა **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერმაც** აუბა - ფინანსური და, გნებავთ, სპორტული თვალსაზრისით, „ბაიერნს“ და „დორტმუნდს“ კონკურენციას ვერ გავუწევთო. ერთი სიტყვით, „ლევერკუზენი“ ძველებურად უამბიციო, მუდამ კაპიტულირებულ კლუბად რჩება და პირდაპირ ვთქვათ, ახიც იქნება, „გლადბახმა“ რომ დასაჯოს. აქვე დავამატოთ: ორივე გუნდს წამყვანი ცენტრალური ჰყავს დისკვალიფიცირებული: „გლადბახს“ **იანჩკე**, „ლევერკუზენს“ - **თოფრაქი**.

### ჰანოვერი წნეხის ქვეშ, ჰოფე რისკზე მიდის

ბრემენში განცდილი მარცხის შემდეგ ჰანოვერელები ბედნიერები არიან იმით, რომ ისევ საკუთარ მოედანზე თამაშობენ, რადგან **მირკო სლომკას** გუნდი ამ სეზონში სტუმრად ძალიან ცუდად გამოიყურება, საკუთარ კედლებში კი ერთ-ერთი საუკეთესოა. *„ფაქტობრივად ყოველი გასვლითი შეხვედრის შემდეგ და, შესაბამისად, ყოველი საშინაო მატჩის წინ წნეხის ქვეშ ვართ ხოლმე მოქცეულები და ეს ცუდია,“* - აცხადებს „ჰანოვერის“ მენეჯერი **იორგ შმადტკე**. სამაგიეროდ, „ჰანოვერი“ ახლა „ჰოფენჰაიმის“ სახით ისეთ გუნდს მასპინძლობს, რომელიც სტუმრად არაფრად ვარგა (1/1/7). თუმცა ჰანოვერელები მთლად მშვიდად არ უნდა იყვნენ, რადგან „ჰოფემ“ წინა ტურში 9-მატჩიანი მოუგებელი სერია იმ „ფრაიბურგთან“ დაამთავრა (2:1), რომლის კარში გოლების გატანა ძალიან ძნელია. ამ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვოდათ „სოფლელების“ ახალწვეულებს - მეკარე **გომეშს**, მცველ **აბრაამსა** და თავდამსხმელ **დე კამარგოს**.

### ფიურტი: შალკეს შემდეგ ვოლფსბურგიც?

„ფიურტმა“ წინა ტურში სერიოზული სენსაცია მოახდინა: „შალკეს“ გელზენკირხენში მოუგო (2:1). გამარჯვების გოლი ახალწვეულმა თავდამსხმელმა **ჯურჯიჩმა** 92-ე წუთზე გაიტანა, მატჩის შემდეგ კი თქვა - იმედი მაქვს, რომ ეს გოლი „ფიურტისთვის“ გარდამტეხი იქნება და მეორე ბუნდესლიგაში არ დავქვეითდებითო. დღეს ფიურტელები მიმდინარე სეზონის პირველ საშინაო გამარჯვებას გეგმავენ, მათი მეტოქე კი „ვოლფსბურგია“, რომელსაც ორმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და ბოლო დროს უნიათობა დაეტყო როგორც შეტევაში (**პერიშიჩი** და **ვიერინია** ვერაფერს ახერხებენ), ისე დაცვაშიც, სადაც ხან **ნალდო** ცდება, ხან **კიაერი** და ხანაც **მადლუნგი**.

### აინტრახტი სწორ გზაზეა, ნიურნბერგიც...

„აინტრახტს“ რეგრესი არ დაეწყო. ჰამბურგში 2:0-ის შემდეგ ფრანკფურტელებმა მოწინავე ოთხეულში პოზიციები გაიმყარეს და მეხუთეადგილოსან „მაინცს“ 6 ქულით უსწრებენ. „ჰამბურგში“ განსაკუთრებით კარგად გარემარბმა **აიგნერმა** (ორი საგოლე პასი) და ახალმა თავდამსხმელმა **ლაკიჩმა** (დუბლი შეასრულა) ითამაშეს. *„გაოცებული ვარ,* - აღნიშნა „აინტრახტის“ თავკაცმა **არმინ ფეემ** იმ თამაშის შემდეგ, - *ოთხდღიანი ვარჯიშების შემდეგ აიგნერმა და ლაკიჩმა ერთმანეთს ძალიან კარგად გაუგეს და იმედია, ასე გააგრძელებენ.“* ფრანკფურტელები დღეს „ნიურნბერგს“ მასპინძლობენ, რომელმაც წინა ტურში „გლადბახი“ 2:1 დაამარცხა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „აინტრახტის“ დარად, „ნიურნბერგიც“ სწორ გზაზე დგას.

### გაამძაფრებს ბაიერნი შალკეს კრიზისს?

„ბაიერნისა“ და „შალკეს“ დაპირისპირებები ყოველთვის ძალიან საინტერესოა და სწორედ ამიტომ, ამჯერადაც ტურის ცენტრალურ შეხვედრად შეირაცხა, თუმცა ბავარიული გრანდი აშკარა ფავორიტია. არა მარტო იმიტომ, რომ „ბაიერნი“ შესანიშნავ სეზონს ატარებს და 2013 წელს ყველა მატჩი მოიგო, არამედ იმის გამოც, რომ „შალკე“ კრიზისშია. თავად განსაჯეთ: გელზენკირხენელებმა ბოლო 9 თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. კრიზისის პიკს კი წინა ტურში მიაღწიეს, როცა საკუთარ კედლებში აუტსაიდერ „ფიურტთან“ 1:2 წააგეს.

ბავარიელთა თავკაც **იუპ ჰაინკესს** კვლავ არ აქვს ძირითადი შემადგენლობის შეცვლის მიზეზი და მიუხედავად იმისა, რომ **არიენ რობენს** და **მარიო გომესს** ეს არ სიამოვნებთ, ძირითად შემადგენლობაში ალბათ დღესაც ვერ მოხვდებიან. რეკორდმაისტერის მეკარე **მანუელ ნოიერი** კი ყურადღების ცენტრში მოექცევა - ის ხომ „შალკეში“ გაიზარდა და ვარსკვლავადაც სწორედ „შალკეში“ ჩამოყალიბდა.

სპორტულ პრობლემებთან ერთად, „შალკეს“ მრავალგზის გაკრიტიკებულ მწვრთნელ **იენს კელერს** საკადრო პრობლემებიც მიეძალა - **ჰუნტელაარი** ტრავმირებულია, **ფუხსი** კი - დისკვალიფიცირებული. ამასთან, **მატიპი** და **უჩიდა** აშკარად ცუდ ფორმაში არიან. თუმცა აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ „შალკეს“ უმძიმეს სიტუაციებში სჩვევია სენსაციების მოხდენა.

### მაინცი აუგსბურგში, ფორტუნა - ფრაიბურგში

ცხრილის ბოლო სამეულიდან ყველაზე კარგ ფორმაში „აუგსბურგია“, რომელმაც მეორე წრის სამ მატჩში ხუთ ქულას მოუყარა თავი. შესაბამისად, აუგსბურგელებს გადარჩენის იმედის ნაპერწკალი გაუღვივდათ. **მარკუს ვაინცირლის** გუნდის მეტოქე ამ ტურში „მაინცია“ - გუნდი, რომელიც მეხუთე ადგილზეა და ევროპაში მოხვედრა უნდა. ტურს „ფრაიბურგისა“ და „ფორტუნას“ მატჩი დაასრულებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




ბაიერნის მეკარე მანუელ ნოიერი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ითამაშებს. შალკეს გოლეადორი კლაას-იან ჰუნტელაარი ტრავმირებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIII ტურის წინ

# დიეგო ლოპესი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

## ლევანტეს ბოლო შანსი, ბარსა ჩავის გარეშე, ბრძოლები მზის ქვეშ ადგილისთვის



წინა ტურში კრიშტიანო რონალდომ ენით აუწერელი ჩაიდინა - ბურთი საკუთარ კარში გაიტანა

ლა ლიგის 23-ე ტური დღეს ბალეარის კუნძულებზე იხსნება, სადაც „მალიორკას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე გრეგორიო მანსანოს ხელახალი (მე-3!) დებიუტი აქვს. მანსანოს დავალებაა, გადაარჩინოს თითქმის წყალწაღებული „მალიორკა", ამისთვის კი, პირველ რიგში, სულ რაღაც 4 ქულით მეტის პატრონი „ოსასუნას" ძლევაა საჭირო. გალისიურ ვიგოს „ბარსელონასთან" ქულის ამღები და ცოტა ხნის წინ გამართული „ვალენსია" ეწვევა, „სელტას" სატკივარი კი გასავარდნი ზონისთვის თავის დაღწევაა. ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია ვალენსიაში, სადაც „ლევანტემ" უნდა დაამტკიცოს, რომ საევროპო ამბიციები სერიოზული აქვს, მეტოქე მკაცრი გამოცდისთვის შესაფერისი ჰყავს - „მალაგა". მარცხის შემთხვევაში „გომბეშოების" მატარებელი ჩაივლის. ბოლოადგილოსანი „დეპორტივო" წინა ტურში „რეალის" მძლეველ „გრანადას" მასპინძლობს. იმავდროულად „რეალი" ტურის ცენტრალურ მატჩში „სევილიას" უმასპინძლებს...

### ვარანით თუ ვარანის გარეშე

ანდალუსიელთა სტუმრობა განსაკუთრებით ერთი რეალელისთვის არის მნიშვნელოვანი - **დიეგო ლოპესი** ორიოდ კვირის წინათ „სევილიას" გოლკიპერი იყო, ახლა კი „სამეფო კლუბის" კარი უნდა დაიცვას ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ. დიეგო ლოპესის ტრანსფერი **იკერ კასილიასის** ტრავმას უკავშირდება, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ მოედანს აპრილში დაუბრუნდება. 31 წლის დიეგო ლოპესი 3,5 მილიონი ევრო დაუჯდა „რეალს". „მარკას" ინფორმაციით, **ჟოზე მოურინიო** სწორედ ლოპესს დააყენებს კარში და არა **ანტონიო ადანს**, რომელიც ცოტა ხნის წინათ, რატომღაც, კასილიასზე მაღალი კლასის გოლკიპერად მიაჩნდა.

ესპანური მედიის ცნობით, პორტუგალიელ **პეპეს** აქვს შანსი, ამ თამაშში მონაწილეობა მიიღოს, თუმცა ეს შანსი არ არის დიდი. წესით, დაცვის ცენტრში **სერხიო რამოსის** და **რაფაელ ვარანის** დუეტი პორტუგალიელმა მწვრთნელმა არ უნდა დაშალოს. სხვათა შორის, რაფაელ ვარანს მიკროტრავმა ჰქონდა, რის გამოც ახალგაზრდა მცველმა საფრანგეთის ნაკრების რიგებში ვერ ითამაშა. მოურინიოს **მესუთ იოზილი** უბრუნდება, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა. იოზილი ძალიან აკლდა „რეალს" „გრანადასთან" მატჩში და თურქული წარმოშობის გამთამაშებელი საფრანგეთთან მატჩში საუკეთესო იყო.

„სევილიამ" **ივან რაკიტიჩის** წითელი ბარათი გააპროტესტა ფედერაციაში და შესაძლოა, საჩივარი დაუკმაყოფილონ. **უნაი ემერის სისინიოს, დიეგო პეროტისა** და **პიოტრ ტროხოვსკის** იმედი არ უნდა ჰქონდეს, ეს ტრიო ტრავმირებულია.

* „რეალმა" მოიგო ბოლო 4 მატჩიდან მხოლოდ 1 ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაში. მოკლედ, ჟოზე მოურინიოს გუნდი საშინელ ფორმაშია.

* „გრანადასთან" მარცხი „რეალისთვის" სეზონში მე-5 იყო.

* „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სამეფო კლუბს" 22 ტურია, არ წაუგია.

* „სევილიამ" ბოლო 5 მატჩიდან 3 მოიგო ყველა შეჯიბრებაში.

* ანდალუსიელებმა „რეალთან" ბოლო 8 დაპირისპირებიდან 7 წააგეს.

* ხოსე ანტონიო რეიესი 2006/07 წლების სეზონში „რეალში" თამაშობდა: 30 თამაში, 6 გოლი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** *დ. ლოპესი - ესიენი, ს. რამოსი, ვარანი, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - კალეხონი, იოზილი, რონალდო - იგუაინი.*

**სევილია:** *ბეტო - კოკე, ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მადურო, მედელი, კონდობია - ხესუს ნავასი, ნეგრედო, რეიესი.*

### ჩავის გარეშე

კვირას „ბარსელონა" უჩვეულო დროს თამაშობს - ესპანური დროით შუადღეს. გათამაშების ლიდერი „ხეტაფეს" მასპინძლობს. **ტიტო ვილანოვას** გუნდის ყველაზე დიდი დანაკარგები თავად ვილანოვა და **ჩავია**. ტიტო მარტის ბოლომდე ნიუ იორკში იმკურნალებს და გუნდს **ჟორდი როურა** გაუძღვება. ჩავი კი „ბარსას" კიდევ ერთი კვირა დააკლდება.

როგორც წესი, სანაკრებო პაუზის შემდეგ „ბარსელონას" არ უჭირს მეტოქეებთან გამკლავება და წესით, არც ახლა უნდა გაუჭირდეს, მით უმეტეს, მეტოქეს საკადრო პრობლემები გაცილებით სერიოზული აქვს. თუმცა შესაძლოა, გუნდის ლიდერმა **პედრო ლეონმა** თამაში შეძლოს „კამპ ნოუზე".

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** *ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ფაბრეგასი, ბუსკეტსი, ტ. ალკანტარა - პედრო, მესი, ვილია.*

**ხეტაფე:** *კოდინა - მ. ტორესი, ლოპო, ალექსისი, ესკუდერო - ხ. ტორესი, ბორხა - პედრო ლეონი, ბარადა, გავილანი - კოლუნგა.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**9 თებერვალი**

**მალიორკა-ოსასუნა 19:00**

**ტრავმა:** ბიგასი, ავატე, ჟ. ვიქტორი - სისი, ანანი, რიესგო, ტიმორი, ომვუ

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 29 თამაში: +8=11-10, (32-33)

**სელტა-ვალენსია 21:00**

**ტრავმა:** მალიო, ლიორკა - მატიო, პარეხო

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 27 თამაში: +4=11-12, (22-37)

**ლევანტე-მალაგა 23:00**

**ტრავმა:** ბალესტეროსი - ბაპტიშტა (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 8 თამაში: +3=0-5, (8-8)

**დეპორტივო-გრანადა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** კამუნიასი, აგილარი (დეპ)

**ტრავმა:** დომინგესი, აიტამი, აიოსე, ვალერონი (?), მარჩენა, ლაურე - ბენიტესი (?), ფ. რიკო

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 1 თამაში: +0=1-0, (1-1)

**რეალი-სევილია 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** რაკიტიჩი (სევ)

**ტრავმა:** კასილიასი, პეპე, ვარანი (?) - პეროტი, ტროხოვსკი, სისინიო

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 37 თამაში: +24=3-10, (87-51)

**10 თებერვალი**

**ბარსელონა-ხეტაფე 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** მიგელ მოია, რაფა ლოპესი (ხეტ)

**ტრავმა:** ს. რობერტო, ჩავი - როდრიგესი, ლაფიტა, პედრო ლეონი (?), მანე

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 19 თამაში: +13=3-3, (36-18)

**სარაგოსა-სოსიედადი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** აბრაამი, ხოსე მარი (სარ)

**ტრავმა:** ალამო, რომარიკი, ობრადოვიჩი, ლოოვენსი, სუკულინი - ზურუტუზა, გონსალესი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 34 თამაში: +13=9-12, (46-44)

**ბილბაო-ესპანიოლი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბაენა (ესპ)

**ტრავმა:** ეკიზა, გალარეტა, კასტილიო, პერესი, ლოპესი, ფ. ლორენტე - გომესი, ვაკასო

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 39 თამაში: +10=14-15, (47-57)

**ვალეკანო-ატლეტიკო 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ტიტო - დ. კოშტა

**ტრავმა:** ლაბაკა, როდრი, მარტინესი - ფალკაო (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 13 თამაში: +3=3-7, (13-20)

**11 თებერვალი**

**ბეტისი-ვალიადოლიდი 00:30**

**დისკვალიფიკაცია:** კანიასი (ბეტ)

**ტრავმა:** მარტინესი, ლოპესი, იგიებორი, ვილარჩაო - ბალენსიაგა, ებერტი, პერესი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 27 თამაში: +16=5-6, (44-19)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 22 | 19 | 2 | 1 | 72-25 | 59 |
| 2. ატლეტიკო | 22 | 16 | 2 | 4 | 43-21 | 50 |
| 3. რეალი | 22 | 13 | 4 | 5 | 54-21 | 43 |
| 4. მალაგა | 22 | 10 | 6 | 6 | 34-20 | 36 |
| 5. ბეტისი | 22 | 11 | 2 | 9 | 31-34 | 35 |
| 6. ვალენსია | 22 | 10 | 4 | 8 | 31-35 | 34 |
| 7. ვალეკანო | 22 | 11 | 1 | 10 | 31-38 | 34 |
| 8. სოსიედადი | 22 | 9 | 6 | 7 | 35-28 | 33 |
| 9. ლევანტე | 22 | 10 | 3 | 9 | 28-33 | 33 |
| 10. ვალიადოლიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 32-29 | 29 |
| 11. სევილია | 22 | 8 | 5 | 9 | 29-30 | 29 |
| 12. ხეტაფე | 22 | 8 | 5 | 9 | 28-36 | 29 |
| 13. ბილბაო | 22 | 7 | 5 | 10 | 29-42 | 26 |
| 14. ესპანიოლი | 22 | 6 | 7 | 9 | 26-34 | 25 |
| 15. სარაგოსა | 22 | 7 | 3 | 12 | 22-31 | 24 |
| 16. გრანადა | 22 | 6 | 5 | 11 | 19-32 | 23 |
| 17. ოსასუნა | 22 | 5 | 6 | 11 | 18-26 | 21 |
| 18. სელტა | 22 | 5 | 5 | 12 | 21-27 | 20 |
| 19. მალიორკა | 22 | 4 | 5 | 13 | 22-42 | 17 |
| 20. დეპორტივო | 22 | 3 | 7 | 12 | 27-48 | 16 |

**ბომბარდირები:** 34 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი).

საფრანგეთი. ლიგა 1. XXIV ტურის წინ



ლისანდრო „ლილს" თითქმის ყოველთვის უტანს, მაგრამ ამჯერად შესაძლოა ვერ ითამაშოს

# ოლიმპიკების ბოლო შანსი

**ჩემპიონატის ლიდერმა გუშინ ითამაშა, რადგან სამშაბათს პარიზელებს ჩემპიონთა ლიგაში, „ვალენსიასთან" დაპირისპირება ელით. კარლო ანჩელოტის გუნდის მეტოქე „ბასტია" იყო. გაამართლა თუ არა პსჟ-მ ფავორიტის სტატუსი, ამის ნახვა მე-15 გვერდზე შეგიძლიათ...**

**8 თებერვალი**

**პსჟ-ბასტია**

*შედეგი იხილეთ მე-15 გვერდზე*

**9 თებერვალი**

| | |
|---|---|
| სტ. ეტიენი-მონპელიე | 20:00 |
| აიაჩო-ბორდო | 23:00 |
| ნანსი-რეიმსი | 23:00 |
| ტრუა-სოშო | 23:00 |
| ნიცა-ლორიანი | 23:00 |
| ვალანსიენი-ბრესტი | 23:00 |

**10 თებერვალი**

| | |
|---|---|
| ევიანი-მარსელი | 17:00 |
| რენი-ტულუზი | 20:00 |
| ლიონი-ლილი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 23 | 14 | 6 | 3 | 42-12 | 48 |
| 2. ლიონი | 23 | 13 | 6 | 4 | 38-21 | 45 |
| 3. მარსელი | 23 | 13 | 3 | 7 | 30-28 | 42 |
| 4. ბორდო | 23 | 9 | 11 | 3 | 26-15 | 38 |
| 5. ნიცა | 23 | 10 | 8 | 5 | 35-27 | 38 |
| 6. სტ. ეტიენი | 23 | 10 | 7 | 6 | 32-17 | 37 |
| 7. რენი | 23 | 11 | 4 | 8 | 35-30 | 37 |
| 8. მონპელიე | 23 | 10 | 5 | 8 | 38-28 | 35 |
| 9. ლორიანი | 23 | 9 | 8 | 6 | 38-37 | 35 |
| 10. ლილი | 23 | 7 | 10 | 6 | 27-24 | 31 |
| 11. ტულუზა | 23 | 8 | 7 | 8 | 30-28 | 31 |
| 12. ვალანსიენი | 23 | 8 | 6 | 9 | 32-34 | 30 |
| 13. ბასტია | 23 | 7 | 5 | 11 | 28-47 | 26 |
| 14. აიაჩო | 23 | 6 | 9 | 8 | 26-32 | 25 |
| 15. ბრესტი | 23 | 7 | 3 | 13 | 23-33 | 24 |
| 16. ევიანი | 23 | 5 | 7 | 11 | 23-35 | 22 |
| 17. სოშო | 23 | 6 | 4 | 13 | 22-34 | 22 |
| 18. რეიმსი | 23 | 4 | 8 | 11 | 19-27 | 20 |
| 19. ნანსი | 23 | 3 | 9 | 11 | 21-38 | 18 |
| 20. ტრუა | 23 | 3 | 8 | 12 | 26-44 | 17 |

**შენიშვნა:** „აიაჩოს" – 2 ქულა

**შენიშვნა:** წუხანდელი მატჩის შედეგი ცხრილში ასახული არ არის

**ბომბარდირები:** 20 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 10 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 9 – ალესანდრინი (რენი), ალიადიერი (ლორიანი), ბენ ბასატი (ბრესტი/ტულუზი), ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია).

ტურის ყველაზე გამორჩეული მატჩი, როგორც ყოველთვის, კვირას, თბილისის დროით შუაღამისას გაიმართება. „სტად ჟერლანზე" სათამაშოდ ჩადის „ლილი", რომელსაც ერთი თვის წინ ალმავლობის პერიოდი ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ აშკარად ჩავარდნა აქვს და უკვე ოთხი მატჩია არ მოუგია. ამის გამო, **რუდი გარსიას** გუნდი მე-10 ადგილამდე ჩამოქვეითდა და იმავე „ლიონს" 14 ქულით ჩამორჩება.

„ლიონმა" წინა ტურში „აიაჩოსთან" წააგო და ერთპიროვნული ლიდერობა პსჟ-ს გადააბარა. „ოლიმპიკს" ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვს, თორემ ჩემპიონობის შანსი მკვეთრად შეუმცირდება. მასპინძლებს **დეიან ლოვრენი** არ ეყოლებათ, რომელიც „აიაჩოსთან" გააძევეს, გარდა ამისა, საეჭვოა **ლისანდრო ლოპესის** თამაში, რომელმაც „ლილს" ბოლო 6 შეხვედრაში (ჩემპიონატსა და თასზე) 5 გოლი გაუტანა – არგენტინელს წვივის კუნთი აწუხებს. რუდი გარსიას **ფრანკ ბერიას** და **რიო მავუბას** იმედი არ უნდა ჰქონდეს, სამაგიეროდ აფრიკის თასიდან დაბრუნდნენ **სალომონ კალუ** და **რაიან მენდესი**. „ლილმა" ლიონში ბოლოს 2005 წელს მოიგო და მას შემდეგ ჩატარებულ 7 შეხვედრაში 4-ჯერ დამარცხდა, სამჯერ კი შინ ქულა წაიღო. ამ გუნდების შეხვედრებში უგოლო ფრე ბოლოს 2003 წელს დაფიქსირდა, ასე რომ, გოლებს ახლაც უნდა ველოდოთ.

ძალიან მოუკლო „მარსელმა", რომელმაც 2013 წლის დადგომის შემდეგ, ჩემპიონატში ჩატარებულ 4 შეხვედრაში მხოლოდ 4 ქულა აიღო. 23-ე ტურში, **ელი ბოპის** გუნდი „ნანსისთან", თანაც საკუთარ მოედანზე, დამარცხდა, რაც ამ სეზონის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად უნდა შევაფასოთ. სხვათა შორის, „მარსელმა" ამ სეზონში „ტრუასთანაც" წააგო – რომ არა აუტსაიდერებთან დაკარგული 6 ქულა, „ოლიმპიკი" ახლა ლიგა 1-ის თანალიდერი იქნებოდა.

პროვანსელთა მომდევნო მეტოქე „ევიანი" გახლავთ, რომელსაც შინ ზუსტად იმდენი ქულა აქვს მოგროვებული (11), რამდენიც სტუმრად. „მარსელი" კი ამ ჩემპიონატში გასვლაზე უკეთ გამოიყურება (შინ – 20 ქულა, სტუმრად – 22) და სტუმრად მოგროვებული ქულების მიხედვით მხოლოდ „პარი სენ ჟერმენს" (24) ჩამორჩება. სტუმართა რიგებში დებიუტი უნდა ჰქონდეს **ალექსის რომაოს**, რომელიც გუნდში „ლორიანიდან" იანვარში გადავიდა, მაგრამ აფრიკის თასზე იმყოფებოდა, საიდანაც ტოგოს ნაკრების გამოვარდნის შემდეგ დაბრუნდა. 29 წლის ნახევარმცველმა **ჯოი ბარტონის** ადგილი უნდა დაიკავოს – ინგლისელი „ნანსისთან" გააძევეს და მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს.

„მარსელს" „ევიანთან" სტუმრად სულ ერთი თამაში აქვს ჩატარებული. ეს შეხვედრა შარშან შედგა და ის მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა (2:0). იმ შეხვედრაში ორივე გოლი ყოფილმა „ოლიმპიკელმა" **ჟერომ ლერუამ** გაიტანა, რომელმაც ცოტა ხნის წინ კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

კარგ ფორმაში მყოფი „სენტ ეტიენი", რომელმაც ზედიზედ სამი მატჩი მოიგო, საკუთარ მოედანზე „მონპელიეს" მასპინძლობს. საფრანგეთის მოქმედ ჩემპიონს, სენტ ეტიენში ისტორიის განმავლობაში სულ ერთხელ (1995 წელს) აქვს მოგებული (2 ფრე და 11 წაგება). მომდევნო 17 წლის განმავლობაში, ეს გუნდები „ჟოფრუა გიშარზე" ერთმანეთს სულ 4-ჯერ შეხვდნენ, რადგან ამ პერიოდში, ორივე გუნდი ლიგა 1-სა და ლიგა 2-ს შორის მოგზაურობდა, თუმცა ქვედა დივიზიონში ერთადერთხელაც არ ყოფილან.

**რენე ჟირარს** აფრიკის თასიდან **იუნეს ბელჰანდა** და **აბდელჰამიდ ელ კაუტარი** დაუბრუნდნენ, სამაგიეროდ ლაზარეთში გადაინაცვლეს **ჟორის მარვომ** და **სულეიმან კამარამ**. გაძლიერდა „სენტ ეტიენიც", რომელსაც აფრიკიდან **მაქსალენ გრადელი** (კოტ დივუარი) და **ფაუზი გულამი** (ალჟირი) დაუბრუნდნენ.

ბოლო ოთხ ტურში მოპოვებული სამი გამარჯვების შემდეგ, მეოთხე ადგილზე გადასული „ბორდო" კორსიკას ეწვევა, სადაც 4-მატჩიანი წაუგებელი სერიის მქონე „აიაჩოს" შეხვდება. მართალია, კორსიკელები შინ კარგად თამაშობენ, მაგრამ ბოლო პერიოდში „მარსელის" უსუსურობის გამო, **გიომ ჟიოს** გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი გაუჩნდა, რაც ჟირონდელებს მოტივაციას გაუორმაგებს.

დიდ ინტერესს იწვევს „ნიცას" თამაში, რომელსაც „ბორდოს" მსგავსად ასევე 38 ქულა აქვს. ზღვისპირელებმა ბოლო ტურში „ბრესტთან" კი მოიგეს, მაგრამ ტრავმის გამო **დარიო ცვიტანიჩი** დაკარგეს, რომელიც საკუთარ გუნდს „ლორიანთან" ვერ დაეხმარება. მართალია, ბოლო შეხვედრებში **კლოდ პუელის** გუნდიდან გოლების გატანა სხვა ფეხბურთელებმაც დაიწყეს, მაგრამ არგენტინელის გამოკლება მაინც ძალიან დიდი, შეიძლება ითქვას, აუნაზღაურებელი დანაკლისია.

**ტატო ბაციკაძე**

ლეგენდარული ჩივაძე

# ფეხბურთი შემოქმედი კაცის საქმეა

ეროვნული ბიბლიოთეკა




**გუშინ რედაქციაში ალექსანდრე ჩივაძე გვსტუმრობდა, თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი, უეფას თასების მფლობელთა თასის ამწევი, ლეგენდარული ფეხბურთელი...**
**ალექსანდრე ჩივაძე ორჯერ იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, მაშინ ჩვენი ეროვნული გუნდი სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდა, სულ სხვა პლეადა იყო და მწვრთნელიც სულ სხვა, სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნიდა გუნდში...**
**ჩივაძეს განსაკუთრებული იუმორი აქვს და იცის ფეხბურთელებთან ურთიერთობა. ერთხელ უმცროსმა მიშა მესხმა მითხრა, ჟურნალისტები ასე მწარედ რატომ აკრიტიკებთ ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ჩივაძეს, მან ხომ დიდი ფეხბურთი, პირველ რიგში, დიდი საფეხბურთო ინტელექტის ხარჯზე ითამაშაო...**
**ჩივაძეზე საუბარი მართლაც დიდხანს შეიძლება, ოღონდაც ამჯერად ის ლაპარაკობს სხვადასხვა საინტერესო თემაზე...**

- მახსოვს, 1979 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების შეკრებაზე რომ ჩავედი, ვარჯიშები მანეჟში გვიწევდა ხელოვნურ საფარზე. გუნდს კონსტანტინე ბესკოვი თავკაცობდა, რომლის თანაშემწეები სულ რაღაცას იწერდნენ და ინიშნავდნენ, თურმე ფეხბურთელების მონაცემებს აჯამებდნენ და მერე ამის ანალიზს აკეთებდნენ. ბურთის ჩაჭრა, ზუსტი გადაცემა ტექნიკური წუნი, კარში დარტყმა - ყველაფერს ითვლიდნენ. მერე ამ ყველაფერს მსოფლიოს სახელგანთქმული ფეხბურთელების მაჩვენებლებთან ადარებდნენ. ბესკოვმა თავისთან მიხმო და მკითხა, შენ სულ ასე თამაშობ, იცი რა მაჩვენებლები გაქვს? შენს გუნდში თუ ამას არ აკეთებენ, ეს კარგი არ არისო. რა თქმა უნდა, დავინტერესდი საკუთარი მაჩვენებლებით და აღმოჩნდა, რომ წუნი ათი პროცენტი მქონდა, აქტიურობის მაჩვენებელი ძალიან მაღალი, ბურთთან სათამაშო დროის დიდ ნაწილს ვატარებდი. როცა ეს ყველაფერი ფეხბურთელმა იცის, მოედანზე გასვლისას ძალაუნებურად აქცევს ამას ყურადღებას, თამაშის დროს სულ ამაზე ვერ იფიქრებ, თუმცა როცა იცი, რომ შენს ყველა მოქმედებას ინიშნავენ და ითვლიან, ამით კიდევ უფრო მეტ კონტროლს უწევ საკუთარ თავს. მე სულ იმის მომხრე ვიყავი და ვარ, რომ მცველი აქტიური იყოს, სამწუხაროდ, ბევრ მცველს არ შეუძლია ცენტრის იქით გადასვლა, შენ თვითონ უნდა იყო ისეთი, რომ ეს მოახერხო.

**- როგორ ფიქრობთ, დღეს ქართული გუნდების მწვრთნელები აწარმოებენ ფეხბურთელებზე ასეთ დაკვირვებასა და ანალიზს?**

- მწვრთნელმა თვითონ უნდა იცოდეს, ეს საჭიროა თუ არა. დღეს ისეთი დროა, რომ ნებისმიერ გუნდზე მოიპოვებ ინფორმაციას. მძღოლი მანქანას რომ მართავს სიჩქარეთა მექანიკური გადამცემი კოლოფით, დამწყები მძღოლი ამ ყველაფერს აკვირდება, მწვრთნელმაც უნდა იცოდეს, რა დროს რა უნდა გააკეთოს, დააკვირდეს ფეხბურთელს და მიხვდეს, რა პოზიცია შეურჩიოს. თბილისის „დინამოში“ 1973 წელს მივედი გასინჯვაზე, ორი წელიწადი დუბლებში მომიწია ყოფნამ. მანამდე ჩემთვის არავის უთქვამს, რომ აუცილებელია მუცლის მაგარი პრესი და ძალა არა მხოლოდ ფეხში, არამედ ხელშიც. მანამდე, ასე ვთქვათ, ველურად ვიზრდებოდი, მწვრთნელები სწორად თამაშს და კარგად მოქცევას გვასწავლიდნენ. ხურცილავა, ძოძუაშვილი, ქელიძე, ასათიანი, ნოდია, მაჩაიძე... „დინამოში“ ასეთი ფეხბურთელები დამხვდნენ და მათგან დარიგებას ვილებდი. ერთხელ, გივი ჩოხელმა მიმიყვანა ტანვარჯიშულ ღერძთან და მხოლოდ ორჯერ ავიზიდე. ნოდარ ახალკაცმა ორი კვირა მომცა გამოსასწორებლად და ღამეები არ მეძინა, ძალაზე ვვარჯიშობდი. ხურცილავა ბუნებრივად ჯანიანი გახლდათ, ფეხბურთელების უმეტესობას კი ეს ასე არ ჰქონდა. ახალკაცი გუცაევსა და ყიფიანს ვიქტორ სანეევთან აგზავნიდა სავარჯიშოდ, რათა ფეხბურთელებს საკუთარ თავზე ემუშავათ და ფიზიკური კონდიციები უკეთესი ჰქონოდათ. მწვრთნელი დიდი ფაქტორია, ოღონდაც ფეხბურთელმაც უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე. ყიფიანი 1974 წელს უჟგოროდში გაუშვეს ფეხის სამკურნალოდ, ამ ქალაქიდან კი შესაძლებელი იყო 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციების ყურება და ყიფიანმა რომ უყურა კრუიფსა და სხვა დიდებულ ფეხბურთელებს, მერე სულ სხვანაირად მიუდგა ფეხბურთს...

> მხოლოდ ლიცენზია საქმეს არ შველის, მწვრთნელი მოაზროვნე ადამიანი უნდა იყოს.

> შემოქმედ ფეხბურთელს ბურთის ართმევას ასწავლი, მაგრამ ისეთ მოთამაშეს, რომელიც ბურთს ემალება, წინ თამაშს უკვე ველარ ასწავლი.

> საქართველოში ქინქლაძე, ნემსაძე, ჯამარაული და არველაძეები რომ თამაშობდნენ, მაშინაც ცოტა მაყურებელი დადიოდა ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე.

**- ფარმაკოლოგიის, მედიცინის როლი თანამედროვე ფეხბურთში - საინტერესოა თქვენი აზრი ამ საკითხზე? ლეგენდები დადიოდა ვალერი ლობანოვსკის მეთოდებზე...**

- ფარმაკოლოგია უმაღლეს დონეზე უნდა იყოს, ეს აუცილებელია, ოღონდაც ფუნდამენტი თვითონ ფეხბურთელში უნდა იყოს, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდის ექიმის კვალიფიკაციას, ზედმეტობა ფარმაკოლოგიაში დაუშვებელია. სამჯერადი ვარჯიშების აუცილებლობასაც ვერ ვხედავ. რაც შეეხება ლობანოვსკის, 1980 წელს რომ მივედი ნაკრების შეკრებაზე, ის ხელოვნურ საფარზე გვავარჯიშებდა, ასეთი მოედანი გასწავლის სწორად აზროვნებას, ერთი შეხებით თამაშს, კარგად ჩანს ფეხბურთელის შესაძლებლობები, ცუდ მინდორზე კი ჯერ უნდა მოათვინიერო ბურთი, რასაც დრო მიაქვს და პოზიციაც იკარგება. სხვათა შორის, იმავე 1980 წელს გავხდი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი.

**- იმ პერიოდში, როცა ფეხბურთელი იყავით, რომელ ცენტრალურ მცველს გამოარჩევდით, ყველაზე უფრო ვისი თამაში მოგწონდათ?**

- მაშინ ასეთი რამდენიმე იყო, შირეა და კოლოვატი იტალიის ნაკრებში, კარლ-ჰაინც ფიორსტერი და შტილიკე გერმანიაში, პეცაი ავსტრიაში, პასარელა არგენტინაში...

**- მცველების ერთ ხაზზე თამაში - ამ ტაქტიკურ განლაგებას თქვენი ფეხბურთელობის დროსაც მიმართავდნენ...**

- მე და შოთა ხინჩაგაშვილი ვთამაშობდით ასე, ეს ტაქტიკურად განათლებული ფეხბურთელების საქმეა, უმაღლესი პილოტაჟი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მე და ხიდიატულინიც ასე ვამაგრებდით დაცვის ცენტრს, ბოროვსკი და ბალტაჩა კი ამაზე უარს ამბობდნენ, მათ თავდამსხმელზე პერსონალურად თამაში ერჩივნათ. საინტერესო ვარიანტია სამი მცველით თამაშიც, ანუ 3-5-2 სქემა. ალბათ გახსოვთ, ბერტი ფოგტსის მწვრთნელობისას ასე რომ თამაშობდა გერმანიის ნაკრები, 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. მათიას ზამერის ფაქტორმა მაშინ დიდი როლი ითამაშა. საქართველოს ჩემპიონატში კი ხანდახან ისე ხდება, რომ ერთი თავდამსხმელის წინააღმდეგ ოთხი მცველი თამაშობს და ამ გუნდის მწვრთნელი მშვიდად უყურებს თამაშს. მხოლოდ ლიცენზია საქმეს არ შველის, მწვრთნელი მოაზროვნე ადამიანი უნდა იყოს.

**- ბატონო საშა, მოდით ის პერიოდი გავიხსენოთ, პირველად რომ ჩაიბარეთ საქართველოს ეროვნული ნაკრები. მაშინ როგორ ცდილობდით დაცვის აწყობას?**

- იმ ნაკრებით მეტს მივაღწევდით, მაშინდელ ნიჭიერ ფეხბურთელებს მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ. მაშინაც 3-5-2 განლაგებას ვიყენებდით. ზაზა რევიშვილი „დინამოს“ ძირითადში ვერ ხვდებოდა, მაგრამ ნაკრებში ვიძახებდი, მარჯვენა ფლანგს ვაბარებდი, აქტიური იყო, სულ ბურთს ითხოვდა. ფეხბურთელი რომ მიიღებს ბურთს, მინიმუმ ორი თანაგუნდელი უნდა იხსნებოდეს. რასაც „ბარსელონა“ თამაშობს, ფეხბურთში ამაზე მეტს ვერაფერს ვერ მოიგონებ, ერთი-ორი შეხება, მთელი გუნდის ერთიანი აზროვნება... მოაზროვნე ფეხბურთელი მართლაც დეფიციტია.

**- გუნდში ძალიან მნიშვნელოვანია საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაც. მაშინდელ ნაკრებში როგორ იყო ამ მხრივ ვითარება?**

- საყრდენი ნახევარმცველი იგივეა, რაც მოთამაშე - მწვრთნელი, რომელმაც უნდა მართოს ყველაფერი. ნემსაძე-ჯამარაული-ქინქლაძე: სასწაული რგოლი იყო. ბულგარეთთან შინ თამაშის წინ ჯამარაულს ტრავმა ჰქონდა და მის [illegible] მოძახებას არ ვაპირებდი. ჯამარაული ჩვენთან, ვეტერანებთან თამაშითაც ცდილობდა ფორმაში შესვლას. ვაკვირდებოდი მას და გადავწყვიტე, მაინც გამეყვანა ის მოედანზე ბულგარეთთან. ვუთხარი, რამდენსაც შეძლებ, იმდენი ხანი ითამაშე, თუ ოცი წუთის მერე მოითხოვ შეცვლას, არ არის პრობლემა-მეთქი. ჯამარაული ისეთი ფეხბურთელი იყო, რომელიც სულ ბურთს ითხოვდა. შემოქმედ ფეხბურთელს ბურთის ართმევას ასწავლი, მაგრამ ისეთ მოთამაშეს, რომელიც ბურთს ემალება, წინ თამაშს უკვე ველარ ასწავლი.

**- იმ ნაკრების ფეხბურთელების გამოუცდელობა ახსენეთ, თუმცა, როცა ნაკრები პირველად ჩაიბარეთ, არც თქვენ იყავით გამოცდილი მწვრთნელი...**

- ბესკოვთან, ლობანოვსკისთან და ახალკაცთან მქონდა ნამუშევარი და კონსპექტებს ვადგენდი. 1987 წელს, როცა თბილისის „დინამოში“ მწვრთნელად გერმან ზონინი დაგვინიშნეს და მისი ვარჯიშები ვნახეთ, ყველაფერი ნათელი იყო... ბაქოს „ნეფთჩისთან“ გვაქვს თამაში და დილმის ბაზაზე ვართ შეკრებაზე, წყნარი საათია, მაგრამ ბაზაზე ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი მოვიდა და გაგვაღვიძეს, გაალვიძეს. ზონინიც, რომელიც ახალი დანიშნული იყო „დინამოს“ მწვრთნელად. მაშინ მამის სახელით მიმართავდნენ და ზონინმაც ჯუმბერ ილიჩის ნაცვლად პატიაშვილს უთხრა: "იზვინიტე ჯამბულ!" ამის შემდეგ პატიაშვილი ჩემსკენ წამოვიდა და მითხრა, ჩემი მმართველობის დროს საქართველოს შესაძლოა მოაკლდეს პური, ხორცი ან შაქარი, მაგრამ „დინამო“ უმაღლესი ლიგიდან არ უნდა გავარდეს. ასეთი საუბრის შემდეგ მე, სულაქველიძე, გაბელია და შენგელია ზონინის ოთახში შევედით, ვუთხარით, ვარჯიშზე ყველაფერი ისევ თქვენ იქნებით, ოღონდ ყველაფერი ჩვენი შეხედულებისამებრ უნდა გაკეთდეს-თქო. დაველაპარაკე ფეხბურთელებსაც, გუნდში ფაქტობრივად საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. უმაღლეს ლიგაში დავრჩით, უეფას თასზე კი სამი ეტაპი ვითამაშეთ, კინაღამ ბრემენის „ვერდერი“ გამოვაგდეთ.





თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

> რასაც „ბარსელონა“ თამაშობს, ფეხბურთში ამაზე მეტს ვერაფერს მოიგონებ.






ნაკრებში ჩემს მწვრთნელობას რაც შეეხება, რომ ეცლიათ, მართლაც კარგი გუნდი ჩამოყალიბდებოდა, ჩემით წავედი, ზეწოლა იყო მასმედიიდან, იყო სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც.

**- ნაკრების ახლანდელ მდგომარეობაზე რას იტყოდით? ფაქტია, ბევრს არ მოსწონს ის სათამაშო სტილი, რაც თემურ ქეცბაიას აქვს არჩეული...**

- ნაკრების დონეზე თამაში სულ სხვა არის, სულ სხვა თვისებებია საჭირო, ფეხბურთელი შინაგანად უნდა იყოს ლიდერი, თავდაჯერებულობა უნდა ჰქონდეს, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები კი მოედანზე ჩუმად არიან. საქართველოს ნაკრებში ბოლოს შოთა არველაძე იყო ისეთი ლიდერი, თანაგუნდელებს მოედანზე რომ ესაუბრებოდა, მაგრამ ის ხომ ფორვარდი იყო და ამ პოზიციიდან ლიდერობა რთულია. როცა გუნდი მოედანზეა, ფეხბურთელი უნდა ყვიროდეს...

**- ალბათ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელების პლეადა მოვიდეს, მნიშვნელოვან წარმატებებს რომ მიაღწევს...**

- თბილისის „დინამოს“ ისტორიაში ორჯერ იყო ასეთი თაობა - 1964 და 1981 წლების გუნდს ვგულისხმობ. მათ შორის იყო წყვეტა, არადა, ნიჭიერი ფეხბურთელები მაშინაც იყვნენ „დინამოში“: ძოძუაშვილი, ხურცილავა, ასათიანი, ნოდია... მაგრამ ნოდარ ახალკაცამდე მწვრთნელი არ გამოჩნდა. ნიჭიერი პლეადა პლუს მწვრთნელი - წარმატება ასე მოდის.

**- საქართველოს ამ ნაკრებშიც არიან ნიჭიერი ფეხბურთელები...**

- ყენია, ანანიძე, ოქრიაშვილი... კლასიკური ცენტრფორვარდი დავინახე ვაწაძეში და ძალიან გამიხარდა. კარგია, რომ გიორგი ქანტურია „ალანიაში“ გადავიდა. რუსეთში ისეთი ფეხბურთია, ნიჭიერი მოთამაშე ძალაუნებურად მოექცევა გუნდურ სქემაში. ფეხბურთში სწორედ ინდივიდუალისტები წყვეტენ ყველაფერს, ამიტომაც ნიჭიერ ფეხბურთელს მოფერება და გუნდურ სქემაში მოქცევა სჭირდება.

**- ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად შარშან დაინიშნეთ, ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ ისევ მწვრთნელობას დაუბრუნდით. მანამდე არ გქონიათ შემოთავაზებები?**

- როცა ბადრი პატარკაციშვილი იყო „დინამოს“ პრეზიდენტი, მაშინ მთავაზობდნენ მწვრთნელობას, მაგრამ იმ დროს ნაკრებში უკვე ვმუშაობდი მთავარ მწვრთნელად და „დინამოს“ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი.

> ნაკრებში ჩემს მწვრთნელობას რაც შეეხება, რომ ეცლიათ, მართლაც კარგი გუნდი ჩამოყალიბდებოდა, ჩემით წავედი, ზეწოლა იყო მასმედიიდან, იყო სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც.

**- ფეხბურთელობის დროს რომელი უცხოური კლუბებიდან გქონდათ შემოთავაზება?**

- რომელ ძლიერ გუნდებსაც ვეთამაშეთ ევროსარბიელზე, ყველა იმ კლუბიდან იყო ინტერესი. 32 წლის ვიყავი, ფეხბურთის თამაშს თავი რომ დავანებე, მაშინ საბერძნეთიდან იყო მოწვევა, მაგრამ უარი ვთქვი, გადაღლილი ვიყავი, თუ სხვა ფეხბურთელები თამაშის მერე დასასვენებლად სახლში მიდიოდნენ, მე, როგორც კაპიტანს, ზემდგომ ინსტანციებში მიბარებდნენ და ფაქტობრივად, პატაკს იბარებდნენ.

**- საქართველოს სტადიონებზე ძალიან ცოტა ხალხი დადის ფეხბურთის საყურებლად...**

- კარგი ფეხბურთელები რომ გამოჩნდებიან, ხალხიც მივა სტადიონზე. თუმცა, მხოლოდ ამაში არ უნდა იყოს საქმე, საქართველოში ქინქლაძე, ნემსაძე, ჯამარაული და არველაძეები რომ თამაშობდნენ, მაშინაც ცოტა მაყურებელი დადიოდა ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე. ხალხის სტადიონზე მიყვანას შესაბამისი სოციალური ფონიც სჭირდება, დღეს საქართველოში ხალხს უჭირს, კაცს ოჯახი ჰყავს შესანახი და არ ეფეხბურთება.

**- როცა თქვენ თამაშობდით ფეხბურთს, ყველაზე უფრო ვის სანახავად დადიოდა ხალხი საბჭოთა კავშირის სტადიონებზე?**

- ბლოხინი, ბესონოვი, ბურიაკი, გავრილოვი, ჩერენკოვი, დასაევი, ხიდიატულინი, ოგანესიანი... ფეხბურთი შემოქმედმა კაცმა უნდა ითამაშოს. BBC- ის ვერსიით, ათ საუკეთესო გოლში მოხვდა ჩემ მიერ „ვესტ ჰემის“ კარში შეგდებული ბურთი, „ლივერპულთან“ სტუმრად 1:2 რომ წავაგეთ, იქ გატანილი ჩემი გოლიც დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება...

დავით თავართქილაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია. სერია A. XXIV ტურის წინ

**დღევანდელი მატჩებიც საკმარისია იმისთვის, რომ ვთქვათ: XXIV ტური ბევრ საინტერესოს გვპირდება. „იუვენტუსი“ „ფიორენტინას“ უმასპინძლებს, „ლაციოს“ კი „ნაპოლი“ ესტუმრება - ეს იმას ნიშნავს, რომ ცხრილის ზედა ნაწილში ბევრი რამე შეიცვლება...**



ლიდერს „ფიორენტინა“ ესტუმრება

# დიდი ძვრების მოლოდინში

## და ლიდერთა ჯახები

### 9 თებერვალი

**იუვენტუსი-ფიორენტინა 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბონუჩი - აკვილანი, მილიაჩო.

**ტრავმა:** კიელინი, პეპე, ბენდტნერი - ფერნანდესი, კამპორეზე, როსი, აგაცი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 34 თამაში: +17=13-4, (55-35)

**ლაციო-ნაპოლი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ჯემაილი (ნაპოლი).

**ტრავმა:** ედერსონი, კლოზე, ბროკი (ლაციო).

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 25 თამაში: +12=6-7, (41-28)

### 10 თებერვალი

**პარმა-ჯენოა 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** როზი, მარკიონი (პარმა).

**ტრავმა:** გალოპა, სანტაკროჩე, მირანტე - იანკოვიჩი, ვარგასი, ფლორო ფლორესი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 13 თამაში: +4=6-3, (19-15)

**ატალანტა-კატანია 18.00**

**ტრავმა:** კაპელი, ჩიგარინი, ბელინი, ლუკინი, ფერი, მარილუნგო - შაკა.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 15 თამაში: +3=7-5, (12-15)

**ბოლონია-სიენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პაჩი, ვიტიელო, ტერცი.

**ტრავმა:** ნატალი - პოცი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +2=0-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 11 თამაში: +3=5-3, (11-12)

**კალიარი-მილანი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ნაინგოლანი, აველარი - მონტოლივო.

**ტრავმა:** ნენე - მექსე, დე შილიო, ბონერა, ამბროზინი, დე იონგი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 29 თამაში: +2=8-19, (22-48)

**პალერმო-პესკარა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მიკოლი (პალერმო).

**ტრავმა:** ერნანდესი, მანტოვანი - ვივესი, ტონი.

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +2=0-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 3 თამაში: +2=0-1, (4-2)

**სამპდორია-რომა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი, პანაიოტისი (რომა).

**ტრავმა:** პალომბო - ბალცარეტი, დესტრო.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 31 თამაში: +7=10-14, (14-31)

**უდინეზე-ტორინო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლაცარი, დანილო (უდინეზე).

**ტრავმა:** ბრკიჩი, ბადუ - ოგბონა, დიოპი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +3=3-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +8=5-4, (18-14)

**ინტერი-კიევო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** გუარინი, კივუ.

**ტრავმა:** კასტელაცი, სამუელი, კივუ, მუდინგაი - სარდო, დრამე, სტოიანი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 21 თამაში: +13=5-3, (38-22)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 23 | 16 | 4 | 3 | 48-16 | 52 |
| 2. ნაპოლი | 23 | 15 | 4 | 4 | 45-20 | 49 |
| 3. ლაციო | 23 | 13 | 4 | 6 | 33-24 | 43 |
| 4. მილანი | 23 | 12 | 4 | 7 | 41-29 | 40 |
| 5. ინტერი | 23 | 12 | 4 | 7 | 36-28 | 40 |
| 6. ფიორენტინა | 23 | 11 | 6 | 6 | 41-27 | 39 |
| 7. კატანია | 23 | 10 | 5 | 8 | 31-30 | 35 |
| 8. რომა | 23 | 10 | 4 | 9 | 48-42 | 34 |
| 9. უდინეზე | 23 | 8 | 9 | 6 | 34-33 | 33 |
| 10. პარმა | 23 | 8 | 7 | 8 | 30-31 | 31 |
| 11. ტორინო | 23 | 6 | 11 | 6 | 27-26 | 28 |
| 12. კიევო | 23 | 8 | 4 | 11 | 24-36 | 28 |
| 13. ატალანტა | 23 | 8 | 4 | 11 | 21-33 | 26 |
| 14. ბოლონია | 23 | 7 | 4 | 12 | 32-33 | 25 |
| 15. სამპდორია | 23 | 7 | 5 | 11 | 28-29 | 25 |
| 16. კალიარი | 23 | 6 | 6 | 11 | 25-40 | 24 |
| 17. ჯენოა | 23 | 5 | 6 | 12 | 25-36 | 21 |
| 18. პესკარა | 23 | 6 | 2 | 15 | 19-48 | 20 |
| 19. პალერმო | 23 | 3 | 8 | 12 | 20-37 | 17 |
| 20. სიენა | 23 | 6 | 5 | 12 | 23-33 | 17 |

***შენიშვნა:*** *სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 15 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), პაცინი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია); 9 - ჰამშიკი (ნაპოლი), იოვეტიჩი (ფიორენტინა); 8 - მილიტო (ინტერი), ერნანესი (ლაციო), საუ (კალიარი), ტოტი (რომა), დენისი (ატალანტა).

### კონტეს პრობლემები

**ანტონიო კონტეს** კვლავაც პრობლემები აქვს დაცვის ხაზში, სადაც ისევ უნდა დაიხმაროს ნომინალური ნახევარმცველი **ლუკა მარონე**. ამასთან, მარცხენა ფრთაზე უნდა გაისარჯოს მემარჯვენე **მარტინ კასერესი**. ამ ფონზე კიდევ უფრო გაუმართლებელი ჩანს „იუვეს“ მწვრთნელთა მხრიდან **ლუსიოს** სრული იგნორირება და შემდეგ მისი გუნდიდან გაშვება. დღეს, ბრაზილიელი მცველი ტურინულ გრანდს ნამდვილად გამოადგებოდა.

**კლაუდიო მარკიზიო** ახალი გამოჯანმრთელებულია და ალბათ თადარიგში იქნება, მის ადგილს კი შუა ხაზში **პოლ პოგბა** დაიკავებს. მართალია, **კვადვო ასამოამ** აფრიკის ეროვნებათა თასზე ასპარეზობა დაასრულა, მაგრამ ჯერ ტურინში არ დაბრუნებულა და შესაბამისად, ფლორენციელებთან ჯახს გამოტოვებს. შეტევის წინა ხაზზე **მირკო ვუჩინიჩს** და **ალესანდრო მატრის** ვიხილავთ, **ნიკოლას ანელკა** კი ალბათ მეორე ტაიმში გამოჩნდება მინდორზე.

ფლორენციელებს კრიზისი აქვთ და რთული დროების დასაძლევად ტურინში წარმატების მიღწევა კარგი სტიმული იქნებოდა. ფრე წარმატებად ჩაითვლება, რაზეც **ვინჩენცო მონტელას** სიტყვები მეტყველებს: *„ურთულესი მატჩი გველის და იმედია, ტურინიდან ხელმოცარულნი არ დავბრუნდებით. „იუვე“ შეგვიტევს, თუმცა არც ჩვენ ჩავდგებით დაცვაში. იქნება თუ არა ფრე მისაღები შედეგი? - თავის მოტყუებას არ ვაპირებ, დიახ, იქნება“.*

„იუვენტუსის“ და „ფიორენტინას“ დაპირისპირება ტრადიციულად პრინციპულ ხასიათს ატარებს, გულშემატკივართა შორის კი განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა, რაც **რობერტო ბაჯო** ფლორენციიდან ტურინში გადაბარგდა, ეს კი შორეულ 1990 წელს მოხდა. მოკლედ, „იუვეს“ ახალ არენაზე ჩამოცხება...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - მარონე, ბარცალი, კასერესი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, პოგბა, დე ჩელიე - ვუჩინიჩი, მატრი.

**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო - რონკალია, გონსალო, სავიჩი - კუადრადო, რომულო, პისარო, ბორხა ვალერო, პასკუალი - იოვეტიჩი, ტონი,

### კლოზეს გარეშე

არანაკლებ საინტერესო მატჩი გაიმართა რომში, სადაც „ლაციო“ „ნაპოლის“ უმასპინძლებს. ერთმანეთს სატურნირო ცხრილში მეორე და მესამე ადგილზე მყოფი გუნდები ხვდებიან და როგორც ასეთ დროს ამბობენ, სასწორზე ექვსი ქულა დევს.

რომაელებს **მიროსლავ კლოზე** ჰყავთ დაშავებული და ერთადერთ გამოკვეთილ ფორვარდად **სერჯო ფლოკარი** ეყოლებათ. განაცხადში იქნება **ლუის საა**, რომელმაც შესაძლოა სადებიუტო შეხვედრა გამართოს „ბიანკოჩელესტეს“ შემადგენლობაში. „არწივებს“ მიჯრით ორი მატჩი აქვთ წაგებული და კიდევ ერთი წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაძლოა სამეულშიც დაკარგონ ადგილი. **ვლადიმირ პეტკოვიჩი** შეგირდებს ამხნევებს და ბრძოლისკენ მოუწოდებს.

**ვალტერ მაცარი** ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება პრინციპულ პაექრობას. **მარეკ ჰამშიკი, გორან პანდევი, ედინსონ კავანი** სრულ მზადყოფნაში არიან და თუ საჭირო გახდა, **ლორენცო ინსინიეც** ჩაერთვება თამაშში. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება და დაველოდოთ ამ საინტერესო პაექრობას.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - კონკო, ბიავა, დიასი, რადუ - კანდრევა, გონსალესი, ლედესმა, ერნანესი, მაური - ფლოკარი.

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანკტისი - გამბერინი, კანავარო, ბრიტოსი - მაჯო, ბერამი, ინლერი, ცუნიგა - ჰამშიკი - პანდევი, კავანი.

### კალიარი-მილანი ტურინში

„კალიარიმ“ ვერაფრით მოაგვარა სტადიონის პრობლემა და პერიოდულად ნეიტრალურ მოედანზე უწევს საშინაო მატჩების ჩატარება. ამ მიზეზით, სარდინიელებმა რამდენჯერმე ქალაქ ტრიესტეს არენით ისარგებლეს, ერთხელ პარმას „ენიო ტარდინი“ გამოიყენეს, ამჯერედ კი მეტოქეს ტურინში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „უმასპინძლებენ“. არადა, „კალიარის“ თვით „მილანი“ სტუმრობს, რომელიც აღმავლობის გზას ადგას.

მოკლედ, „როსონერის“ აშკარად გაუმართლა - მილანელებს გაცილებით მოკლე გზის გავლა მოუწევთ, ვიდრე სარდინიელებს და **მასიმილიანო ალეგრის** გუნდს ამ მხრივაც ექნება უპირატესობა. „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, „მილანი“ ტრადიციული 4-3-3 ტაქტიკით გაირჯება, შეტევაში კი ახალგაზრდული ტრიო იმოქმედებს **მბიაე ნიანგის, სტეფან ელ შაარავის** და **მარიო ბალოტელის** შემადგენლობით. სუპერ-მარიო ყურადღების ცენტრში რჩება და ვნახოთ, რას გააწყობს სარდინიელთა წინააღმდეგ.

**ლაშა ნიკლაური**

---

● აფრიკის თასი

## პიტროიპა ფინალში ითამაშებს

განასთან 1/2-ფინალურ შეხვედრაში გაძევებული **ჯონათან პიტროიპა**, აფრიკის თასის ფინალში ითამაშებს. ბურკინა ფასოს ნაკრების ხელმძღვანელობამ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციაში აპელაცია შეიტანა და „რენის“ ფეხბურთელის წითელი ბარათის გაუქმება მოითხოვა. საბოლოოდ, აპელაცია დაკმაყოფილდა, რაც **პოლ პუტის** ნაკრებისთვის მშვენიერი ამბავია – პიტროიპას გარეშე, ბურკინა ფასო ნიგერიასთან უიმედო აუტსაიდერი იქნებოდა.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩში ტრავმა მიიღო გუნდის კიდევ ერთმა ლიდერმა, „ლორიანის“ ნახევარმცველმა **ალენ ტრაორემ**, რომელიც იმ მომენტისთვის ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი იყო. ტრაორეს დაზიანება იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ მან აფრიკა მეორე დღესვე დატოვა. მიუხედავად ტრავმისა, ნაკრების ფინალში გასვლის შემდეგ, 24 წლის ნახევარმცველმა კლუბისგან ნებართვა აიღო და სამხრეთ აფრიკაში დაბრუნდა, რათა ფინალურ შეხვედრას თვალი სათადარიგო სკამიდან მიადევნოს და თანაგუნდელებს მხარი დაუჭიროს.

**ტატო ბაციკაძე**

---

● ამბები

## მუნტარი გამოჯანმრთელდა, ბონერა დაშავდა

„მილანმა“ სანაკრებო პაუზით ისარგებლა და იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ეროვნულ გუნდებში არ გამოიძახეს, ამხანაგური მატჩი გამართა. მსოფლიო ფეხბურთის გრანდი სამოყვარულო გუნდ „სანტ ანჯელო ლოდიჯანოს“ ეპაექრა და როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. თუმცა, ამ შეხვედრის შედეგზე მეტად, ორი მოკლე ცნობაა საინტერესო...

მოყვარულთა წინააღმდეგ, **სალი მუნტარიმ** ითამაშა, რომელმაც ჯერ კიდევ გასულ სეზონში მიიღო უმძიმესი ტრავმა და მას შემდეგ მკურნალობდა. მოკლედ, „როსონერის“ 28 წლის მუნტარი დაუბრუნდა, მაგრამ სამაგიეროდ, **დანიელე ბონერა** დაუშავდა. 31 წლის მცველმა მყესი დაიზიანა და წინასწარი პროგნოზით, მინიმუმ ორი კვირა ლაზარეთში მოუწევს ყოფნა.

## იკარდის დილემა: არგენტინა თუ იტალია?

„პესკარას“ კარში გატანილი ოთხი გოლის შემდეგ, **მაური იკარდის** მიმართ ცხოველი ინტერესია. 19 წლის ტალანტით იტალიური ფეხბურთის გრანდები დაინტერესდნენ და რაც კიდევ უფრო საინტერესოა, მას ვერც ნაკრებები იყოფენ. დიახ, იკარდი დილემის წინაშეა და ან არგენტინაზე უნდა შეაჩეროს არჩევანი, ანაც იტალიაზე.

**ჩეზარე პრანდელიმ** უკვე გამოთქვა მზადყოფნა, რომ იკარდი „სკუადრა აძურაში“ გამოიძახოს, რასაც მყისვე გამოეხმაურა არგენტინელთა თავკაცი **ალეხანდრო საბელია**, რომელიც ევროპაშია და მაუროსთან პირისპირ საუბარს აპირებს. საბელიამ უკვე განაცხადა, რომ იკარდის გამოძახება სურს, არჩევანი კი თავად ფეხბურთელზეა. მაუროს იტალიელი ჟურნალისტები ვერ დაუკავშირდნენ, მაგრამ კომენტარი ფეხბურთელის პირადმა აგენტმა **აბიან მორენომ** გააკეთა:

*„მაურო მხოლოდ „სამპდორიაზეა“ კონცენტრირებული და გარკვეული პერიოდი ასეც იქნება. დრო სჭირდება იმისთვის, რომ ყველაფერი კარგად აწონოს და არჩევანი გააკეთოს. ის არგენტინაში დაიბადა, არგენტინელია, მაგრამ თავის სამშობლოდ იტალიასაც მიიჩნევს. მოკლედ, არჩევანი უნდა გააკეთოს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს“.*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. პარიზის ტურნირი




# პარიზი მართლაც დიდია

დღეს და ხვალ პარიზის „ბერსის" დარბაზი ძიუდოისტთა სეზონის პირველ მნიშვნელოვან ტურნირს - „დიდ მუზარადს" უმასპინძლებს, რომელიც, ტრადიციულად და მოლოდინისამებრ, უძლიერესი შემადგენლობისაა - მასში 61 ქვეყნის ნაკრები გამოდის! დაგვეთანხმებით, ამ ტურნირს სამართლიანად ადარებენ მსოფლიოს პირველობას. ვაჟთა ტურნირში 54 გუნდი იქნება, ქალებში - 41 (მონაწილეთა უმეტესობა ორივეში იასპარეზებს და საერთო რაოდენობიდან გამომდინარე ეს სხვაობაც ამითაა გამოწვეული).ტურნირში 431 ძიუდოისტი იასპარეზებს. აქედან ვაჟებში 276 ჭიდაობს, ქალებში - 155.

ჩვენი ნაკრები პარიზში თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით გამოდის: **ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **ტრისტან ფეიქრიშვილი, თორნიკე თათარაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **დავით ლორიაშვილი, ლაშა გურული** (ორივე - 100), **ადამ ოქრუაშვილი, გიორგი ზაქარიაძე** (+100). ამ შემადგენლობას ლიდერთაგან მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) და თბილისის ტურნირის მესამე პრიზიორი **ლაშა ტაველური** (90) აკლია - პირველმა ოპერაციის შემდგომ ჯერაც ვერ აღიდგინა ოპტიმალური ფორმა და, მწვრთნელ **ირაკლი უზნაძის** აზრით, ამ ეტაპზე მისი სატურნირო დატვირთვა გარკვეულ რისკს შეიცავდა, რის გამოცარ გარისკა, მეორისთვის კი საფრანგეთის ვიზის გაფორმება ვერ მოესწრო. რაც შეეხება თბილისის ტურნირის კიდევ ერთ ბრინჯაოს მედალოსან **პაატა მერებაშვილს** (60), მისთვის ამჯერად ნაკრებში კვოტა აღარ დარჩა, რაკი მწვრთნელებმა ამ წონაში დიდ სპორტში მიბრუნებული შუკვანის გამოცდა გადაწყვიტეს. სავარაუდოდ, პარიზულ შეჯიბრებას გამოკლებული ზემოდასახელებული ეს სამეული 23-24 თებერვალს დიუსელდორფის „დიდ პრიზზე" იჭიდავებს.

პარიზული შეჯიბრება სახელობითი სიითაც უძლიერესია. ცხადია, მასპინძლები ოპტიმალური შემადგენლობით გამოდიან, მათი ლიდერი კი კვლავაც ბეჭდაუდებელი **ტედი რინერია** (+100), გულშემატკივრებმა სიყვარულით „კეთილი დათვი" რომ შეარქვეს. თუმცა ვეჭვობთ, რინერიმ მშობლიურ ტურნირს ერთი კაშკაშა ვარსკვლავი მაინც დააკლო - არ ჭიდაობს გერმანელი მძიმეწონოსანი **ანდრეას ტოლცერი,** რომელმაც, ვფიქრობთ, პარიზში ჩასვლას თავი სწორედ რინერის გამო აარიდა, მასთან მორიგი წაგება რომ არ ეწვნია. შეგახსენებთ, რომ ისინი 7-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ფრანგმა 6-ჯერ იმარჯვა, გერმანელმა კი ის ერთადერთი მოგება 2006 წელს მიითვალა იმხანად 17 წლის რინერთან. ტოლცერის წაგებულთა შორის მსოფლიოს პირველობის ორი ფინალია - 2010 და 2011 წლებში. თანაც ორივე შეხვედრაში რინერიმ დამაჯერებლად იმარჯვა, მეტოქისთვის იოტისოდენა შანსიც რომ არ მიუცია ისე. განსაკუთრებით - მეორე ფინალში, პარიზში. ამ სტატისტიკიდან გამომდინარე, გასაგებია, წინასწარ განწირულ გერმანელს თავი რომ აერიდებინა საფრანგეთში ჩასვლისთვის.

ცხადია, პარიზში ლიდერი გუნდების უმეტესობა უძლიერესი ფალავნებითაა ჩასული, თუმცა ჰოლანდიელებს მხოლოდ ერთი შემადგენლობა ჰყავთ და იმასაც აკლია ევროპის ვიცე და მსოფლიოს ჩემპიონი **ხიიომ ელმონტი** (81) - ის უკვე 31 წლისაა და იქნებ აღარც აგრძელებს კარიერას. უკრაინას არ ჰყავს ჩვენი თანამემამულე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** (60), **პეტერ ზაიზენბახერი** ამჟამადაც ასვენებს აზერბაიჯანელთა ძირითად გუნდს და არც **ეციო გამბას** მიჰყავს ოლიმპიურ ჩემპიონთა სამეული რუსეთიდან - **არსენ გალსტიანი** (60), **მანსურ ისაევი** (73) და **ტაგირ ხაიბულაევი** (100). სხვათა შორის რუსები ქალთა ტურნირში საერთოდ არ გამოდიან. სამხრეთ კორეელებს არ ჰყავთ მსოფლიოს ბოლო ორი პირველობისა და ლონდონის ოლიმპიადის მიჯრით მომგები **ჯაე-ბუმ კიმი** (81). თაობათა ცვლის პროცესში მყოფ იაპონელთა გუნდში სადღეისოდ ლიდერობა ცოტა პირობითი თემაა და პარიზში ფრიად გადახალისებული ნაკრები ჩაიყვანეს, თუმცა მათ შორისაა მსოფლიოს ჩემპიონი **ჯუნპეი მორიშიტა** (66). ამდენი დანაკლისის მიუხედავად, ტურნირი მაინც უძლიერესი შემადგენლობისაა.



ახალი წესებით, „დიდ მუზარადსა" და „დიდ პრიზზე" მასპინძელს ოთხი მონაწილის გამოყვანის უფლება ეძლევა, სხვებს - მხოლოდ ორისა. ცხადია, ეს მასპინძელს რეიტინგში გვარიან უპირატესობას მისცემდა, თუმცა ამის თავიდან ასაცილებლად სიაში მხოლოდ ორი საუკეთესოს შედეგი შევა, რათა ყველა ქვეყანას 2-2 ფალავანის ქულები დაუფიქსირდეს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩვენი ტურნირიდან უკვე დაიწყო ქულების ახალი სისტემით ათვლა. პარიზში გამარჯვებული 500 ქულას მიიღებს, ვერცხლის მედალოსანი - 300-ს, ბრინჯაოს პრიზიორი - 200 ქულას და ასე შემდეგ. მედალოსნები დაკავებული ადგილების მიხედვით ასეთ პრემიებს მიიღებენ - 5 000, 3 000 და 1 500 დოლარი.

**ირაკლი თავაძე**

**სამძიმარი**

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან ხელბურთელს და დამსახურებულ მწვრთნელს ჯანსულ ბაგრატიონს ძმის

**გიორგი ბაგრატიონის**

გარდაცვალების გამო.

ჭადრაკი

# საგზურებისთვის ბრძოლა გამწვავდა

თვრამეტი წლის მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატი, როგორც გაუწყეთ, საკვალიფიკაციო შეჯიბრებაცაა, რადგან ჩემპიონები თანატოლთა შორის მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან, ვერცხლის მედალოსნები კი ევროპელ თანატოლებს გაუწევენ მეტოქეობას.

საგზურებისთვის ბრძოლა მეტ სიმძაფრეს ჰმატებს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე ტურნირს, სადაც გუშინ მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. გოგონებში მორიგი გამარჯვება იზეიმეს ნატო იმნაძემ და ნანი უნაფქოშვილმა, რომლებმაც, შესაბამისად, ანა კუჭავა და ადა ქაქუთია დაამარცხეს და 5,5-5,5 ქულით დაწინაურდნენ.



ნანი უნაფქოშვილი

მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: თეკლა მაჭარაშვილი — ანა შამათავა 0:1, დეა გოგიშვილი — ნინო ხომერიკი 1:0, მარიამ ჭოლაძე — თათია კოხრეიძე 1:0.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: შამათავა (5) — იმნაძე (5,5), უნაფქოშვილი (5,5) — გოგიშვილი (4,5), კუჭავა (5) — ჭოლაძე (4,5).

ვაჟებს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავთ — ალექსანდრე ებრალიძე. გუშინ მან შავი ფიგურებით ლეონტი ხუბუნაიას აჯობა და 6 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. 5,5-5,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (დაუზავდა ირაკლი ბერაძეს), შალვა ნადირაშვილი (ნიკა ლვამბერია დაამარცხა) და ირაკლი ბერაძე იყოფენ. 5 ქულა აქვს გიგლა ბენიძეს (თემურ ოთხოზორიას სძლია). 4,5-4,5 ქულას მოუყარეს თავი ნოე თუთისანმა (ნიკოლოზ პეტრიაშვილს გააჩერებინა საათი), ირაკლი კელეპტრიშვილმა (ნინო ჯალალონიას მოუგო) და გიორგი სიბაშვილმა (ანტონ ნადირაძეს აჯობა). მეწინავენი მე-8 ტურში ასე დაწყვილდნენ: ებრალიძე — ქუმსიაშვილი, ბერაძე — ნადირაშვილი, ბენიძე — თუთისანი, კელეპტრიშვილი — სიბაშვილი.

**ვაჟა დანელია**

# სხვაობა ქულამდე გაიზარდა

ქართველი დიდოსტატი **ლუკა პაიჭაძე** ბულგარეთის 35-ე ღია ჩემპიონატში ექვსი ტურის შემდეგ 5 ქულით მეწინავეთა შორის იყო და ლიდერთა კვარტეტს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა. გუშინ შავი ფიგურებით მასპინძელ ფიდეს ოსტატ ვალერი ლილოვს უწევდა მეტოქეობას, რომელსაც რეიტინგში 187 პუნქტით (!) უსწრებს. ჩვენებურმა ბულგარელის დამარცხება ვერ შეძლო — მხოლოდ ყაიმს გამორჩა. ამ წაფორხილებით იგი ერთპიროვნულ ლიდერ ალექსანდრ ფიერს (ბრაზილია), რომელმაც რუმინელი ვლად-კრისტიან იანუ დაამარცხა, ქულით ჩამორჩება.

წარმატებით ითამაშა ჩერნოგორიელმა ნიკოლა ჯუკიჩმა — შავი ფიგურებით აქსელ რომბალდონის (იტალია) გააჩერებინა საათი. ტურნირის რეიტინგფავორიტმა ივან ჩეპარინოვმა (ბულგარეთი) ვასილის ბანისს (საბერძნეთი) სძლია. დაზავდნენ: მილენ ვასილევი (ბულგარეთი) — ბართლომეი ჰებერლია (პოლონეთი), გრიგორ გრიგოროვი (ბულგარეთი) — ვასილ სპასოვი (ბულგარეთი), ივაილ ენჩევი (ბულარეთი) — დანიილ დვირნი (იტალია), ანგელო დამია (იტალია) - შოთა აზალაძე, სალომე ხაყომია - ნიკოს სტამოელასი (საბერძნეთი).

შვიდი ტურის შემდეგ: ფიერი-6,5, ვასილევი, ჰებერლია, ჯუკიჩი-6-6, ოც მოჭადრაკეს, მათ შორის - პაიჭაძეს, 5.5-5.5 ქულა აქვს. აზალაძემ და ხაყომიამ 4.5-4.5 ქულა მოაგროვეს და დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, პაიჭაძე კი მლადენ გოჩევს (ბულგარეთი) გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

# შანსი დაკარგეს

რუსეთის დედაქალაქში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ქალთა მოსკოვის ღია პირველობა, რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელიც მონაწილეობს. **ნინო ბაციაშვილი,** რომელიც რეიტინგით მეორეა ტურნირზე და კარგი სტარტიც აიღო, გუშინ მეორედ დამარცხდა: შავი ფიგურებით 36-ე სვლაზე მარია კომიაგინას დანებდა. სამაგიეროდ, რუსეთის ქალთა ნაკრების ყოფილ წევრ მარია რომანკოს ვერ აჩერებენ: ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება იზეიმა — ამჯერად ბელარუსი ლანიტა სტეცკო შეიწირა. 6-6 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებსაც რუსები — ევგენია ოვოდი, ლიდია ტომნიკოვა და ვიქტორია ტარასოვა იყოფენ, რომლებმაც მე-7 ტურში, შესაბამისად, თანამემამულეებს — ალინა ბივოლს, ოლგა ილიუშინას და სვეტლანა შულაკოვას აჯობეს.

**ანა გავაშელმა** გუშინ რუს დარია გრიგორიევას მოუგო და, ბაციაშვილის მსგავსად, 4,5 ქულას მოუყარა თავი. ჩვენებურებმა საპრიზო სამეულში გასვლის შანსი დაკარგეს.

დღეს ბოლოსწინა — მერვე ტურის პარტიები გაიმართება. ლიდერები ასე დაწყვილდნენ: ოვოდი-რომანკო, ტომნიკოვა-ტარასოვა, ბოდნარუკი-კომიაგინა, სტეცკო-ჩაროჩკინა, ფომინიხი-კლიჩკოვა...



სანდუგაჩ შაიდულინა (რუსეთი)-ნინო ბაციაშვილი, პოლინა შევალიოვა (რუსეთი)-ანა გავაშელი.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# საქართველო ჯგუფის ბოლოში

ეილათში (ისრაელი) ფედერაციის თასზე გუშინ ჯგუფური ტურნირი რვა ქვეყნის ჩოგბურთელმა ქალებმა დაასრულეს. **A ჯგუფში** საქართველოს ნაკრები მესამე ტურშიც მშრალი ანგარიშით დამარცხდა ავსტრიასთან: **მაკა ჩახნაშვილმა** (რეიტინგით 400-ე) სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია პატრისია მეირ-ეჩლეიტნერს (166) - 2:6, 1:6. ივონე მეუსბურგერმა (147), ასევე, აშკარად აჯობა **სოფიო შაფათავას** (300) - 6:3, 6:2. ჩახნაშვილი-შაფათავას დუეტმა მელანი კლაფნერსა და ნიკოლე როტმანს პირველი ხელი კი მოუგო - 6:2, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი სეტი დათმო ერთნაირი ანგარიშით - 4:6, 4:6. საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

გუშინვე A ჯგუფში ხორვატიამ ბელარუსი დაჯაბნა - 3:0 (ანა კონიუჰი-ალექსანდრა სასნოვიჩი - 6:7, 6:4, 6:2, დონა ვეკიჩი - ილონა კრემენი - 6:1, 7:6, დარია ჯურაკი/ტერეზა მრდეზა - ალექსანდრა სასნოვიჩი/ლიძია მაროზოვა - 7:6, 6:3).

მეორე ტურის შეხვედრები გამართეს B და D ჯგუფების წარმომადგენლებმა. **B ჯგუფში** დაწინაურდა უნგრეთის ნაკრები, რომელმაც ბოსნია-ჰერცეგოვინასაც 3:0 მოუგო (გრეტა არნი — დეა ჰერდზელასი 6:3, 6:2, ტიმეა ბაბოში — ელენა სიმიჩი 6:0, 7:6; ტიმეა ბაბოში/კატალინ მაროში — დეა ჰერდზელასი/ანიტა ჰუსარისი 7:5, 6:4). მეორე პაექრობაშიც წარმატებას მიაღწია დიდი ბრიტანეთის ნაკრებმა, რომელმაც სტარტზე ბოსნიელების დამარცხების (3:0) შემდეგ გუშინ პორტუგალიელებს აჯობა 2:1 (ლაურა რობსონი — მარგარიდა მოურა 6:2, 6:1, ჰიტა ვატსონი — მიშელე ლარჩერ დე ბრიტო 1:6, 4:6. საგულისხმოა, რომ ვატსონი რეიტინგით მსოფლიო რეიტინგით 41-ეა, დე ბრიტო კი — 130-ე. რობსონი/ვასტონი — დე ბრიტო/იოანა ვალე კოსტა 6:2, 6:1).

**D ჯგუფის** მეორე ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ჰოლანდია — სლოვენია 3:0 (რიჩელ ჰოგენკამპი — ტიასა სრიმპე 6:2, 6:0, არანტა რუსი — ანდრეა კლეპაჩი 4:6, 6:3, 6:4; შუუფსი/ვან დერ მიიტი — რუბერტი/სრიმპე — სლოვენიელებმა თამაშზე უარი თქვეს). ბულგარეთი — ლუქსემბურგი 3:0 (ელიტსა კოსტოვა — ლაურა კორეია 6:1, 6:3, ცვეტანა პირონკოვა — ანე კრემერი 6:1, 6:4; ევტიმოვა/შინიკოვა — კორნელიუსი/კორეია 6:2, 6:2).

ორივე ჯგუფში ნახევარფინალისტები და პირველი ლიგიდან გავარდნის კანდიდატები დღევანდელი ორთაბრძოლების შემდეგ გაირკვევიან.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა 2012-13. საუკეთესონი

# თორმეტპასიანი მეთორმეტე

სუპერლიგის მე-12 ტური სიმბოლური აღმოჩნდა მეპასეებისთვის. პირველ წრეში საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდს „შსს აკადემიას" გამთამაშებელი **დეონტა ვონი** და „სამედიცინოს" უკანახაზელი **გიორგი გაფრინდაშვილი** იყოფდნენ, რომელთა ანგარიშზე 12-12 შედეგიანი გადაცემა იყო. მე-12 ტურში კი ერთბაშად ორმა კალათბურთელმა გაიმეორა ასეთი მაჩვენებელი: რუსთაველმა **ქაქუცა აბაიშვილმა** და ქუთათურთა აზერბაიჯანელმა უკანახაზელმა **ზაურ ფაშაევმა**.

ზაურს „სამედიცინოსთან" მატჩში ერთით მეტი რომ მოეხსნა, სამმაგ დუბლს მოაგროვებდა. ამიტომ სიმბოლურ ნაკრებშიც საპატიო ადგილი დაიკავა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა თსუ-სა და „დინამოს" შორის შედგა, რომელშიც ბოლო წუთებზე დინამოელებმა მოიგეს. წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა **ფლინ კლიმენმა**, რომელიც ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ.

ტურის მწვრთნელი კი თსუ-ის დამრიგებელი **გიორგი ჩხეიძე** გახდა, რომელმაც ოთხდღიანი უქმობის შემდეგ (თსუ დაშლის პირას იყო) კალათბურთელებს ენთუზიაზმი გაუღვივა და უვარჯიშებელმა გუნდმა „დინამოსთან" ბოლო წუთებამდე ღირსეულად ითამაშა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ქართველი უკრაინაში

# 7 თებერვალს 27-ის, საჩუქარი: 27 და 7

შვიდ თებერვალს **გიორგი ცინცაძე** 27 წლისა გახდა. მეორე დღეს მისი „ბუდიველნიკი" ლვოვის „პოლიტექნიკა გალიჩინას" ეთამაშა და პირველივე ტაიმში მოუთავა საქმე - დიდი შესვენებისთვის 47:30 დაწინაურდა. კიეველებს არც მას შემდეგ შეუწყვეტიათ სტუმართა რბევა და საბოლოოდ 95:65 გაიმარჯვეს.




თუ ანგარიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, პოლიტექნიკოსები უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერები უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა ასე არ არის - „გალიჩინას" შიდა პირველობაზე ამ სეზონში ყველა მეტოქე დამარცხებული ჰყავს, გარდა „ბუდიველნიკისა", რომელთანაც მესამედ დამარცხდა. ლვოველებს 8 თებერვლამდე ზედიზედ 7 შეხვედრა ჰქონდათ მოგებული და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე იყვნენ.

მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** 27 წლის ცინცაძისთვის 27 წუთი გაიმეტა, რაც კიევურ გუნდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა. ქართველი პირველი იყო შედეგიანი გადაცემების მიხედვით - 7. ერთ შვიდიანსაც დავწერთ - მან 7 ორქულიანიდან 1 ჩააგდო, რასაც 1 სამიანი მიამატა და მატჩი 5 ქულით დაასრულა. გარდა ზემოთნახსენებისა



ცინცაძის ანგარიშზე 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა იყო.

კიდევ ერთი შვიდიანის ხსენება მოგვიწევს - „ბუდიველნიკს" 21 მოგების წილ 7 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად უდგას სათავეში.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რეგიონი

# წართმეული დაუბრუნეს

## „ბრძოლა წესების გარეშე" არც სარბიელს მილმა თაკილობდა ბრძოლას

დაახლოებით ორი წლის წინათ, ტანვარჯიშის სექციის საკუთარი დარბაზიდან გამოსახლების შემდეგ, გორის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სასპორტო სკოლა ამ სახეობის შემსწავლელი სექციის გარეშე დარჩა. დარბაზში არაოლიმპიური სახეობის, „ბრძოლა წესების გარეშე" მიმდევრები განათავსეს. მიუხედავად იმისა, რომ არა მხოლოდ ტანვარჯიშის, არამედ სასპორტო სკოლის სხვა სექციების წარმომადგენლებიც ტანვარჯიშში მეცადინეობის გაუქმების წინააღმდეგნი იყვნენ, გადაწყვეტილება არ შეცვლილა. არაფრად ჩააგდეს, რომ ტანვარჯიში სპორტის არაერთი სახეობისთვის წვრთნის გარკვეულ ეტაპზე ძალიან საჭიროა. ახალმოსახლეებმა ვარჯიშები აქტიურად დაიწყეს, შარშან ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრებაც ჩაატარეს, მაგრამ... ზაფხულში ისინი, კონფლიქტში გადაზრდილი ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრის ჩაშლისას ვიდეო და ფოტოკადრებში დაფიქსირდნენ, რამაც მასმედიის ყურადღება მაშინვე მიიქცია. არც საზოგადოების უარყოფით რეაქციას დაუყოვნებია. მედიაში ამტყდარ ხმაურს კი ჯგუფის მუშაობაზე საერთოდ არ უმოქმედია. სამაგიეროდ, ადგილობრივი ხელისუფლების შეცვლისთანავე გორის სასპორტო სკოლის ახალმა ხელმძღვანელობამ (დირექტორი **კონსტანტინე ხუბულური**), მათი სპორტსკოლის შემადგენლობაში ყოფნა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა და დაუპატიჟებელი სტუმრები შენობიდან გაუშვა, დარბაზში კი ტანვარჯიშის სექცია დააბრუნა. მწვრთნელი **გურამ კობერიძე** შეგირდების შეგროვებას ხელახლა შეუდგა.

„მიხარია, რომ ისევ მეძლევა შესაძლებლობა, პატარების სპორტული ჯგუფი შევკრიბო და ვარჯიშს შევუდგეთ. ჯერჯერობით ინვენტარიც გვაკლია, თუმცა სპორტის ზოგიერთი სახეობის წარმომადგენლებმა დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. სავარჯიშო იარაღებით სასპორტო სკოლაც მოგვამარაგებს. მოგეხსენებათ, ტანვარჯიში საქართველოს ბევრ რეგიონში არ არის განვითარებული. გორში კი იგი ტრადიციულად ნაყოფიერად ფუნქციონირებდა. მუშაობის იძულებითმა შეწყვეტამ, ბუნებრივია, ნეგატიურად იმოქმედა, თუმცა სასპორტო სკოლის და საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის მესვეურთა მხარდაჭერა იმედს მაძლევს, რომ მალე კვლავაც აქტიურად ავმუშავდებით" - გვითხრა გურამ კობერიძემ.

შევიტყვეთ აგრეთვე, რომ სასპორტო სკოლაში შოტო კან კარატე დოს სექციაც ამოქმედდა, რომელსაც ამ სახეობის ცნობილი გორელი სპეციალისტი **გელა პავლიაშვილი** უხელმძღვანელებს. მას სასპორტო სკოლის ძიუდოს დარბაზში შაბათ - კვირას ექნება საშუალება მეცადინეობები ჩაატაროს და მისი მოსწავლეები ადრინდელ მაჩვენებლებსაც ისევ გაიმეორებენ.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

## XII ტური

| | |
|---|---|
| თსუ-დინამო | 60:68 |
| სამედიცინო-ქუთაისი | 70:91 |
| სოხუმი-ოლიმპი | 69:82 |
| რუსთავი-სტუ | 112:70 |
| ბათუმი-შსს აკადემია | 56:89 |

## რეკორდები

**ქულა**

41 - ლაშა კეშელავა (ბათუმი)
2-ქულ 5/11: 3-ქულ 10/15; საჯ 1/1
19.12.12 არმია-ბათუმი

**მოხსნა**

20 - ვახტანგ ქადარია (სოხუმი)
(მეტოქ: 7; საკუთ: 13)
19.12.12 სამედიცინო-სოხუმი

**ჩაჭრა**

7 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
17.11.12 სტუ-შსს აკადემია

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ
12 - გიორგი გაფრინდაშვილი (სამედიცინო)
15.12.12 სამედიცინო-სტუ
12 - მალხაზ აბაიშვილი (რუსთავი)
04.02.13 რუსთავი-სტუ
12 - ზაურ ფაშაევი (ქუთაისი)
06.02.13 სამედიცინო-ქუთაისი

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 11 | 252 | 22.91 |
| 2 | ნეით ბოუი | რუსთავი | 11 | 225 | 20.45 |
| 3 | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 10 | 203 | 20.3 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 11 | 214 | 19.45 |
| 5 | ლამარ კარიმი | დინამო | 10 | 169 | 16.9 |
| 6 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 11 | 166 | 15.09 |
| 7 | ფლინ კლიმენი | დინამო | 11 | 166 | 15.09 |
| 8 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 11 | 165 | 15 |
| 9 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 11 | 165 | 15 |
| 10 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 11 | 165 | 15 |
| 11 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 11 | 164 | 14.91 |
| 12 | გივი ბაქრაძე | თსუ | 11 | 160 | 14.55 |
| 13 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 11 | 160 | 14.55 |
| 14 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 155 | 14.09 |
| 15 | გიორგი რევაზაშვილი | სამედიცინო | 11 | 153 | 13.91 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 10 | 46 | 81 | 127 | 12.7 |
| 2 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 11 | 43 | 95 | 138 | 12.55 |
| 3 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 48 | 83 | 131 | 11.91 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 11 | 27 | 103 | 130 | 11.82 |
| 5 | სერჟი ასელაინი | თსუ | 10 | 23 | 71 | 94 | 9.4 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 11 | 21 | 80 | 101 | 9.18 |
| 7 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 11 | 34 | 57 | 91 | 8.27 |
| 8 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 10 | 18 | 61 | 79 | 7.9 |
| 9 | გიორგი რევაზაშვილი | სამედიცინო | 11 | 33 | 53 | 86 | 7.82 |
| 10 | ლემეინ უილსონი | არმია | 9 | 13 | 57 | 70 | 7.78 |
| 11 | ფლინ კლიმენი | დინამო | 11 | 25 | 60 | 85 | 7.73 |
| 12 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 11 | 27 | 55 | 82 | 7.45 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 10 | 68 | 6.8 |
| 2 | გიორგი ბამყრელიძე | არმია | 9 | 58 | 6.44 |
| 3 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 11 | 68 | 6.18 |
| 4 | სტენ სოკი | ოლიმპი | 11 | 68 | 6.18 |
| 5 | გიორგი გაფრინდაშვილი | სამედიცინო | 11 | 59 | 5.36 |
| 6 | ლამარ კარიმი | დინამო | 10 | 52 | 5.2 |
| 7 | გივი ბაქრაძე | თსუ | 11 | 50 | 4.55 |
| 8 | ნეით ბოუი | რუსთავი | 11 | 46 | 4.18 |
| 9 | იოსებ ლეჟავა | დინამო | 7 | 29 | 4.14 |
| 10 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 11 | 45 | 4.09 |
| 11 | კურტის მილიჯი | არმია | 9 | 36 | 4 |
| 12 | რატი ბააკაშვილი | სოხუმი | 10 | 35 | 3.5 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 10 | 28 | 2.8 |
| 2 | ნეით ბოუი | რუსთავი | 11 | 29 | 2.64 |
| 3 | კურტის მილიჯი | არმია | 9 | 21 | 2.33 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 11 | 24 | 2.18 |
| 5 | მიხეილ ჟოჟუა | რუსთავი | 9 | 17 | 1.89 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 8 | 15 | 1.88 |
| 7 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 11 | 19 | 1.73 |
| 8 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 11 | 18 | 1.64 |
| 9 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 9 | 14 | 1.56 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 11 | 17 | 1.55 |
| 2 | იოაკიმ შელბოში | არმია | 10 | 13 | 1.3 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 11 | 14 | 1.27 |
| 4 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 13 | 1.18 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გაფრინდაშვილი | სამედიცინო | 11 | 45 | 4.09 |
| 2 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 11 | 40 | 3.64 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 11 | 39 | 3.55 |
| 4 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 11 | 39 | 3.55 |
| 5 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 11 | 37 | 3.36 |
| 6 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 11 | 36 | 3.27 |
| 7 | გივი ბაქრაძე | თსუ | 11 | 34 | 3.09 |
| 8 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 11 | 33 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ადვილი თამაში არავისთან გვექნება

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მეორე ტურის მატჩში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პორტუგალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნებმა" გუშინ ბოლო, კაპიტნის ვარჯიში გამართეს.**

**მილტონ ჰეიგის** სამწყსომ ტურნირი, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი შეჯიბრებაცაა, ბელგიაში ძნელი გამარჯვებით დაიწყო. ჩვენს გუნდში ამ მატჩის შემდეგ რამდენიმე ცვლილება განხორციელდა და „ბორჯღალოსნები" ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან საბრძოლველად მზად არიან.

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჯერ ქართველმა მორაგბეებმა ივარჯიშეს. წვრთნამ ერთ საათს გასტანა და მერე მწვანე მინდორი სტუმრებს დაუთმეს. პორტუგალიელებმა პირველ ტურში შინ რუმინეთის ნაკრებთან წააგეს და თუ თბილისშიც დამარცხდებიან, საგრძნობლად გაირთულებენ სატურნირო მდგომარეობას. შესაბამისად, როგორც ყოველთვის, დღევანდელი დაპირისპირებაც უშეღავათო გამოვა.

„ლობუშების" ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **ეროლ ბრაიანმა** შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება განახორციელა. „ბორჯღალოსნების" წინააღმდეგ პირველ ხაზში **ფრანსიშკუ ფერნანდესის** ნაცვლად **ანტონი ალვეში** ითამაშებს.

სანამ საქართველოს ნაკრები ბოლო კომბინაციებს ამუშავებდა, ჟურნალისტების შეკითხვებს სტუმრებმა უპასუხეს.

**ეროლ ბრაიანი**, პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„საქართველოს ნაკრები ძალიან კარგი გუნდია. მორაგბეების უმრავლესობა დიდი ხანია ერთად თამაშობს, თანაც ისინი საფრანგეთის წამყვან სარაგბო კლუბებში პროფესიულ დონეზე ასპარეზობენ. თქვენს გუნდს დიდ პატივს ვცემთ, ვიცით, რომ უმძიმესი მატჩი გველის.*

*ჩვენ კონკრეტული გეგმა გვაქვს დასახული, რომლის განხორციელებასაც ვეცდებით. შარშანდელთან შედარებით მოსამზადებელი ეტაპი უკეთესად გავიარეთ. მაშინ ბევრი ახალბედა გვყავდა გუნდში, ამჟამად უფრო გამოცდილი მოთამაშეები მოვიწვიეთ და იმედია, დასახულ მიზანს მივაღწევთ"*

**ჟოაო კორეია,** პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი:

*„რუმინეთის ნაკრებთან მატჩში თამაშის იმ ტემპისთვის, რაც მეტოქემ შემოგვთავაზა, მზად არ აღმოვჩნდით. პირველ ტაიმში ბურთი საერთოდ არ გვქონია. მეორეში გამოვცოცხლდით, მაგრამ მატჩის გადასარჩენად დრო არ გვეყო. ისე, რუმინელები, შარშანდელთან შედარებით ბევრად უფრო სოლიდურად გამოიყურებიან. მათმა მწვრთნელმა ძირითადად გამოცდილ მოთამაშეებს უხმო, რაც გუნდსაც აშკარად დაეტყო.*

*საქართველოს ნაკრებთან მატჩში ვეცდებით ბურთი შევინარჩუნოთ, მეტოქეს არ დაველოდოთ და თამამად შევუტიოთ".*

პორტუგალიელები მალე საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებმა შეცვალეს.

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„შინ დავბრუნდით და ამან გუნდის განწყობაზე დადებითად იმოქმედა. წლეულს თბილისში პირველად ვთამაშობთ. მეტოქე ისეთი გვყავს, აუცილებლად ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. გახსოვთ, ალბათ, შარშან პირველი ტაიმი 7:0 მოვუგეთ და შესვენების შემდეგ ლა შევძელით პორტუგალიელთა წინააღმდეგობის გატეხვა. ვეცდებით თამაში გავშალოთ და ჩვენი კარნახით წავიყვანოთ ის.*

*ბელგიასთან მატჩის შემდეგ, განაცხადში სამი მოთამაშე სხვადასხვა მიზეზების გამო არ შევიყვანეთ. გარემარბ ალექსანდრე თოდუას ნოემბრის ტესტებზეც და ბელგიაშიც პატარა ჩავარდნა ჰქონდა, რამდენიმე შეცდომა დაუშვა. ამასთან ერთად ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნდა ირაკლი მაჩხანელი. კიდევ ერთმა გარემარბმა, თამაზ მჭედლიძემ კარგად ითამაშა და პორტუგალიასთან ძირითადში ყოფნა დაიმსახურა.*

*ფულბეკი ბექა წიკლაური დიდი ხანი ემზადებოდა ნაკრებში სათამაშოდ. ვიცოდით, რომ მისთვის თავის გამოჩენის შანსი ბელგიის ნაკრებთან მატჩში უნდა მიგვეცა. ეს ასე მოხდა კიდეც და მივახვედრე ნია, რომ მას კიდევ ბევრი სამუშაო აქვს საკუთარ თავზე.*

*ვიქტორ კოლელიშვილი კი დაშავებულია, მან ყვრიმალი გაიტეხა. დამცავი შლემით თამაში კი შეუძლია, მაგრამ არ გვინდა გავრისკოთ და ტრავმა გაუმიზეზდეს.*

*სამწვრთნელო შტაბმა გადაწყვიტა წლეულს ნაკრებში ირაკლი აბუსერიძე აღარ გამოიძახოს. ამას შარშანაც ვაპირებდით, მაგრამ ახალი ცხრა ნომრები მაშინ მზად არ იყვნენ პასუხისმგებლობა ეტვირთათ. ირაკლის დახმარებით ახლა ისინი მზად არიან. ჩვენ რთული გზა ავირჩიეთ. აქცენტი ნაკლებად გამოცდილებზე გავაკეთეთ. აბუსერიძე შესანიშნავი ცხრა ნომერი და კაპიტანი იყო. მოხარული ვარ, რომ რაგბის კავშირმა გამონახა საშუალება და ის ნაკრების მენეჯმენტის სისტემაში იმუშავებს.*

*ნაკრების ახალი კაპიტანი, ირაკლი მაჩხანელი გუნდის ლიდერია, გამოცდილი მოთამაშეა და კარგად ესმის ის სტილი, რომლის დანერგვასაც ვცდილობთ. კიდევ ერთი დადებითი ფაქტორი ის არის, რომ მაჩხანელი საქართველოში თამაშობს და მეტი დრო მექნება მასთან, როგორც კაპიტანთან სათათბიროდ".*

**ირაკლი მაჩხანელი,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„შარშანდელთან შედარებით პორტუგალიის ნაკრები ბევრად უკეთესი გუნდია. მათთან მუდამ მძიმე თამაშები გვქონდა, ტრადიციულად უხერხული მეტოქეა. ადვილი თამაში არავისთან გვექნება, ეს ბელგიასთან მატჩმაც დაგვანახა. ყველა მოწინააღმდეგე სათანადოდ უნდა შევაფასოთ".*

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებების მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დღეს 15 საათზე დაიწყება.

### საქართველო-პორტუგალია

**საქართველო:** 15. ლაშა ხმალაძე, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. თედო ზიბზიბაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბრეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. რეზო ბელქანია, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. ირაკლი მირცხულავა, 19. ვახტანგ მაისურაძე, 20. ბექა ბიწაძე, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. დავით კაჭარავა, 23. ირაკლი ყიასაშვილი.

**პორტუგალია:** 15. ნუნო კოშტა, 14. ადერიტო ეშტევეში, 13. ფედერიკო ოლივეირა, 12. კარლ მურეი, 11. გონსალუ ფორო, 10. პედრო ლეალი, 9. ფრანსისკუ მაგალიაეში. 1.ანტონი ალვეში, 2. ჟოაო კორეია, 3. ჟუან მურე, 4. დავიდ რეისი, 5. გონსალუ უვა, 6. ვაშკუ უვა, 7. ჟულიენ ბარდი, 8. ჟუან სევერინო.

16. მიგელ ვილასა, 17. ჟორჟე სეგურადო, 18. ტონი მარტინსი, 19. ტიაგუ გირაო, 20. რაფაელ სიმოეში, 21. ლორან ბალანჟე, 22. ფრანსისკუ აპელტონი, 23. ჟოზე ლიმა.

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +6 | 4 |
| 2. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 4. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 5. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 6. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -6 | 1 |

### II ტური

საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-რუსეთი
ბელგია-ესპანეთი



მილტონ ჰეიგი ბორჯღალოსნებს მოძღვრავს

ექვსი ერი



ინგლისი-შოტლანდია

# პომები პირველობისთვის, სკოტები ღირსებისთვის

**ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურის ცენტრალური მატჩი დუბლინში, ირლანდიისა და ინგლისის ნაკრებებს შორის გაიმართება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა პირველობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი იქნება.**

ირლანდიელებმა პირველ ტურში შესანიშნავად იასპარეზეს სტუმრად, კარდიფში უელსის ეროვნულ გუნდთან. ასეთი მაღალი ხარისხის თამაში „სამყურებმა" ბოლოს 2009 წელს აჩვენეს, როცა ექვსი ერის გათამაშებაში „დიდი სლემი" შეასრულეს. ირლანდიის ნაკრები უელსელებთან მატჩში პირველ ტაიმში 30:3 დაწინაურდა, თუმცა მერე ვითარება მოედანზე რადიკალურად შეიცვალა, მაგრამ გამარჯვების მიღწევა მაინც შეძლო.

ეს ფაქტი „სამყურების" თავკაცს **დეკლან კიდნის** საგანგაშოდ მიაჩნია, მით უფრო, რომ მომავალი მეტოქე ბევრად მრისხანე და ძლიერი ინგლისის ნაკრებია. „პომებმა" პირველ ტურში დამაჯერებლად სძლიეს შოტლანდიის ეროვნულ გუნდს, თუმცა ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი **სტიუარტ ლანკასტერი** მაინც უკმაყოფილოა და მიაჩნია, რომ მის გუნდს უფრო დიდი სხვაობით უნდა მოეგო.

ინგლისელთა რიგებში დაბრუნდა ტრავმამოშუშებული შუამარბი **მანუ ტუილაგი,** რომელიც ლანკასტერმა სათადარიგოთა შორის გაამწესა. მის პოზიციაზე ისევ **ბილი თველვეტრისი** ითამაშებს, რომელმაც პირველ მატჩში შესანიშნავად იასპარეზა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

ფაქტობრივად, „ხის კოვზის" მფლობელის ვინაობა გაირკვევა ედინბურგში, სადაც შოტლანდიის ნაკრები იტალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „სკუადრა აძურამ" პირველ ტურში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა შინ ტურნირის ფავორიტთან, საფრანგეთის ნაკრებთან და შოტლანდიაში ამაღლებული განწყობით ჩავიდა. ცხადია, იტალიელებს იმედი აქვთ, რომ ისტორიაში პირველად, „ნარშავებს" სტუმრადაც დაამარცხებენ.

„სკოტები", ფაქტობრივად, დილემის წინაშე დგანან. იტალიელებთან მარცხი შოტლანდიურ რაგბიში აწეწილ მდგომარეობას კიდევ უფრო გაამძაფრებს. ცხადია, ეს კარგად ესმის გუნდის თითოეულ მორაგბეს და მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ, უწინარესად, ღირსების შესანარჩუნებლად.

### ირლანდია-ინგლისი

**ირლანდია:** 15. რობ კირნი, 14. კრეიგ გილორი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. გორდონ დარსი, 11. საიმონ ზებო, 10. ჯონათან სექსტონი, 9. კონორ მურეი. 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. მაიკ როსი, 4. მაიკ მაკკარტი, 5. დონჩა რაიანი, 6. პიტერ ომაჰონი, 7. შონ ობრაიანი, 8. ჯიმი ჰისლიპი.

16. შონ კრონინი, 17. დეივ კილკოინი, 18. დეკლან ფიცპატრიკი, 19, დონჩა ოკალაჰანი, 20. კრის ჰენრი, 21. ევან რედანი, 22. რონან ოგარა, 23. ქის ირლზი.

**ინგლისი:** 15. ალექს გუდი, 14. კრის ეშტონი, 13. ბრედ ბარიტი, 12. ბილი თველვეტრისი, 11. მაიკ ბრაუნი, 10. ოუენ ფარელი, 9. ბენ იანგზი. 1. ჯო მარლერი, 2. ტომ იანგზი, 3. დენ კოლი, 4. ჯო ლანჩბერი, 5. ჰეფ პერლინგი, 6. ჯეიმზ ჰესკელი, 7. კრის რობშო, 8. ტომ ვუდი.

16. დილან ჰართლი, 17. დევიდ ვილსონი, 18. მაკო ვუნიპოლა, 19. კორტნი ლოუ, 20. ტომას ვალდრომი, 21. დენ კერი, 22. ტობი ფლუდი, 23. მანუ ტუილაგი.

### შოტლანდია-იტალია

**შოტლანდია:** 15. სტიუარტ ჰოგი, 14. შონ მითლენდი, 13. შონ ლამონტი, 12. მეთ სკოტი, 11. ტიმ ვიზერი, 10. რუარიდ ჯექსონი, 9. გრეგ ლაიდლოუ. 1. რაიან გრანტი, 2. როს ფორდი, 3. ევან მურეი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯიმი ჰამილტონი, 6. რობ ჰერლი, 7. კელი ბრაუნი, 8. ჯონი ბითი.

16. პატ მაკარტური, 17. მურეი ლოუ, 18. ჯეფ კროსი, 19. ალისტერ კელოკი, 20. დევიდ დენტონი, 21. ჰენრი პირგოსი, 22. დანკანი ვეირი, 23. მაქს ევანსი.

**იტალია:** 15. ანდრეა მასი, 14. ჯოვანიბატისტა ვენდიტი, 13. ტომაზო ბენვენუტი, 12. გონსალო კანალე, 11. ლუკ მაკლინი, 10. ლუჩიანო ორკუერა, 9. ტობიას ბოტესი. 1. ანდრეა ლო ჩიჩერო, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. მარტინ კასტროჯოვანი, 4. ქვენტინ გელდენჰაუზი, 5. ფრანჩესკო მინტო, 6. ალესანდრო ძანი, 7. სიმონე ფავარო, 8. სერჯო პარისე.

16. დევიდ გიაზონი, 17. ალბერტო დე მარკი, 18. ლორენცო ჩიტადინი, 19. ანტონიო პავანელო, 20. პაულ დერბიშირი, 21. ედუარდო გორი, 22. კრისტოფერ ბარტონი, 23. გონსალო გარსია.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ინგლისი - 2 ქულა, 2. ირლანდია - 2, 3. იტალია - 2, 4. საფრანგეთი - 0, 5. უელსი - 0, 6. შოტლანდია - 0.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1



ფერარის პრობლემები ჰქონდა

# ხერესი დაიხურა

გუშინ, ესპანეთის ქალაქ ხერესში დასრულდა წინასასეზონო ტესტების პირველი სერია. იქ შეიკრიბა 2013 წლის ჩემპიონატში მონაწილე თერთმეტივე გუნდი და აქედან, მხოლოდ „უილიამსი" მუშაობდა შარშანდელი ბოლიდით - დანარჩენებმა ხერესში ახალი მანქანები ჩაიყვანეს. იყო არაერთი პრობლემა, მაგრამ გუნდების უმრავლესობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაგეგმილი პროგრამა სრულად შესრულდა.

მეოთხე დღეს, ხუთ გუნდში მოხდა პილოტთა ცვლილება: **პედრო დე ლა როსას** ჰქონდა დებიუტი „ფერარის" საჭესთან (მან **ფელიპე მასა** შეცვალა), **ლუის ჰემილტონმა** შეცვალა **ნიკო როსბერგი** „მერსედესში", **სერხიო პერესმა - ჯენსონ ბატონი** „მაკლარენში", **ლუის რაზიამ - მაქს ჩილტონი** „მარუსიაში", **ჟიულ ბიანკიმ - პოლ დი რესტა** „ფორს ინდიაში" დილის სესიის დროს, თუმცა დღის მეორე ნახევარში პოლი დაუბრუნდა კოკპიტს.

ტესტების დაწყებიდან ერთ საათში წითელი დროშები აფრიალეს - ერთ-ერთ წრეზე „ფერარის" ბოლიდზე მწყობრიდან გამოვიდა გადაცემათა კოლოფი. მანქანის უკანა ნაწილს ცეცხლი მოედო და საქმეში ჩარევა მოუხდათ მეხანძრეებსა და ტრასის მომსახურე პერსონალს. მანქანა ბოქსებში გადაიყვანეს და რამდენიმე საათის შემდეგ, დე ლა როსა დაუბრუნდა ტრასას.

მეორედ წითელი დროშები გამოფინეს **გუტიერესის** მანქანის გაჩერების გამო - ბოლიდში საწვავი გათავდა, მესამე პაუზა კი გამოწვეული იყო ტრასის დაზიანებით და რემონტი თითქმის ერთი საათი გაგრძელდა.

დილით, ბევრმა გუნდმა მიმართა რბოლის იმიტაციას, საღამოსთვის კი პილოტები მოკლე სერიებზე გადავიდნენ. მეოთხე დღეს საუკეთესო დრო აჩვენა **კიმი რაიკონენმა,** ყველაზე გრძელი დისტანცია კი ლუის ჰემილტონმა გაიარა - 145 წრე.

ფორმულა 1 ეთხოვება ხერესს, 11 დღეში კი გუნდები შეიკრიბებიან ბარსელონაში, სადაც 19 თებერვალს სტარტს იღებს ზამთრის ტესტების მეორე სერია.

| IV დღე | |
|---|---|
| 1. რაიკონენი (ლოტუსი) | 1:18.148 (82 წრე) |
| 2. ბიანკი (ფორს ინდია) | +0.027 (56) |
| 3. ფეტელი (რედ ბული) | +0.417 (96) |
| 4. გუტიერესი (ზაუბერი) | +0.521 (142) |
| 5. ვერნი (ტორო როსო) | +0.612 (92) |
| 6. ჰემილტონი (მერსედესი) | +0.757 (145) |
| 7. პერესი (მაკლარენი) | +0.796 (97) |
| 8. ბოტასი (უილიამსი) | +1.703 (91) |
| 9. დე ლა როსა (ფერარი) | +2.168 (50) |
| 10. პიკი (კატერჰემი) | +2.957 (109) |
| 11. რაზია (მარუსია) | +3.078 (81) |
| 12. დი რესტა (ფორს ინდია) | +5"287 (49) |

# რაიკონენი ცოლს გაშორდა

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ფინელი **კიმი რაიკონენი** მეუღლეს - **ჯენი დალმანს** დაშორდა, - იტყობინება ფინური გამოცემა 7 Paivaa. ეს ინფორმაცია დაადასტურა რაიკონენის პირადმა დამხმარემ **რიდუ კუვაიამ.** *„მათი გზები მართლაც გაიყო"*, - ამბობს ფინელი პილოტის წარმომადგენელი.

წყვილმა 12-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ შეწყვიტა ურთიერთობა. გამოცემის ინფორმაციით, ჯენიმ დატოვა მათი სახლი შვეიცარიაში, რომელიც 30 მილიონ ევროდ არის შეფასებული. განქორწინება, შესაძლოა, საკმაოდ ძვირი დაუჯდეს რაიკონენს, რომლის ქონება 120 მილიონ ევროდ არის შეფასებული. უნდა აღინიშნოს, რომ დალმანი ცნობილი ფინელი ფოტომოდელი და მის სკანდინავია 2001 გახლავთ. ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება მათი დაშორების მიზეზი.

სახელოვანი სპორტსმენისა და ფოტომოდელის ქორწილი 2004 წლის ივლისში გაიმართა. ცერემონია ჰელსინკიდან 100 კილომეტრის მოშორებით, ძველ ტაძარში შედგა. ჯენი ყოველთვის მხარს უჭერდა მეუღლეს, იტანდა მის მიდრეკილებას ალკოჰოლის მიმართ და თან დაყვებოდა რბოლებზე, რის გამოც მოდელის კარიერის დასრულებამ მოუწია.



კიმი და ჯენი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვინ ჩატენის ოლ სტარზე?

მოახლოვდა „ყველა ვარსკვლავის უქმეები" და ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ დაასახელა ტრადიციული კონკურსების მონაწილეები.

ყველაზე სანახაობრივ „ჩატენვების" კონკურსში ისევ შეიცვალა ფორმატი. აქ პირველობისთვის იბრძოლებს ექვსი შემსრულებელი - სამ-სამი დასავლეთი და აღმოსავლეთი კონფერენციებიდან. პირველ რაუნდში თითოეული ტრიოდან ჟიური აირჩევს ერთ ფინალისტს, გადამწყვეტ დუელში კი, ისევე როგორც გასულ წელს, უძლიერესს განსაზღვრავს მაყურებელთა ხმები.

შემადგენლობა საკმაოდ საინტერესოა. დასავლეთს წარმოადგენს შარშანდელი გამარჯვებული **ჯერემი ევანსი** („იუტა"), **ერიკ ბლედსოუ** („კლიპერსი") და **კენეტ ფარიდი** („დენვერი"). აღმოსავლეთის გუნდში იქნებიან: **ჯერალდ გრინი** („ინდიანა"), **ტერენს როსი** („ტორონტო") და **ჯეიმს უაიტი** („ნიუ იორკი").

სხვათა შორის, გრინი ამ კონკურსის გამარჯვებულია 2007 წელს. მას და ევანსს აქვთ შანსი შევიდნენ ისტორიაში და შეუერთდნენ იმ მოთამაშეებს, რომლებსაც ეს კონკურსი მინიმუმ ორჯერ აქვთ მოგებული. ორ-ორჯერ გაუმარჯვიათ **მაიკლ ჯორდანს** (1987, 1988), **დომინიკ უილკინსს** (1985, 1990), **ჰაროლდ მაინერს** (1993, 1995), **ჯეისონ რიჩარდსონს** (2002, 2003) და სამჯერ - **ნეით რობინსონს** (2006, 2009, 2010).

■ ■ ■

სამქულიანების კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებენ არც შარშანდელი გამარჯვებული **კევინ ლავი**, რომელიც ტრავმირებულია და არც ფინალისტი **კევინ დურანტი.** გასულ წელს წაგებისთვის რეაბილიტაციის საშუალება ექნება **რაიან ანდერსონს** („ნიუ ორლეანი"), ხოლო მისი კონკურენტები იქნებიან: **პოლ ჯორჯი** („ინდიანა"), **კაირი ირვინგი** („კლივლენდი"), **სტივენ კარი** („გოლდენ სტეიტი"), **სტივ ნოვაკი** („ნიუ იორკი") და **მეტ ბონერი** („სან ანტონიო").

■ ■ ■

სამაგიეროდ, ტიტულის დაცვას შეეცდება Skills Challenge-ის შარშანდელი გამარჯვებული **ტონი პარკერი.** ფრანგს აქვს შანსი მეორედ მოიგოს ეს კონკურსი და ამით გაუთანაბრდეს **სტივ ნეშსა** და **დუეინ უეიდს.**

„სან ანტონიოს" გამთამაშებელს კონკურენციას გაუწევენ ახალგაზრდა შემსრულებლები: **ჯრიუ ჰოლიდეი** („ფილადელფია"), **ბრენდონ ნაითი** („დეტროიტი"), **დემიენ ლილარდი** („პორტლენდი"), **ჯერემი ლინი** („ჰიუსტონი") და **ჯეფ ტიგი** („ატლანტა").

■ ■ ■

კონკურსების მონაწილეთა დასახელების პარალელურად, **შაკილ ო'ნილმა** და **ჩარლზ ბარკლიმ** დრაფტი ჩაატარეს და თავისი გუნდების შემადგენლობები დააკომპლექტეს. ლაპარაკია შეხვედრაზე, რომელშიც დებიუტანტები და „მეორეწლიანები" ითამაშებენ.

**ო'ნილის გუნდი:** დამიენ ლილარდი („პორტლენდი"), კაირი ირვინგი, დიონ უეიტერსი, ტაილერ ზელერი (ყველა - „კლივლენდი"), ანდრე დრუმონდი („დეტროიტი"), ჰარისონ ბარნსი, კლეი ტომპსონი (ორივე - „გოლდენ სტეიტი"), ჩენდლერ პარსონსი („ჰიუსტონი"), მაიკლ კიდ-გილკრისტი, კემბა უოკერი (ორივე - „შარლოტი").

**ბარკლის გუნდი:** ალექსეი შვედი („მინესოტა"), ენტონი დევისი („ნიუ ორლეანი"), რიკი რუბიო („მინესოტა"), აიზია ტომასი („საკრამენტო"), კენეტ ფარიდი („დენვერი"), კაუი ლეონარდი („სან ანტონიო"), ბრედლი ბილი („ვაშინგტონი"), ტრისტან ტომპსონი („კლივლენდი"), ნიკოლა ვუჩევიჩი („ორლანდო"), ბრენდონ ნაითი („დეტროიტი").




ჩატენვების კონკურსის მონაწილეები

# გარნეტის 25 ათასი



გარნეტი მილოცვებს იღებს

გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ, „ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდმა კევინ გარნეტმა კარიერაში 25000-ქულიან ზღვარს გადააჭარბა. ის გახდა მე-16 კალათბურთელი ლიგის ისტორიაში, რომელმაც ამ მაჩვენებელს მიაღწია.

*„როცა ამდენი ხანი თამაშობ, რა თქმა უნდა, გიჩნდება ისტორიაში შესვლის სურვილი, - აღნიშნა გარნეტმა. - საერთო ჯამში, ჩემთვის ეს მიღწევა ბევრს არაფერს ნიშნავს. ოდესღაც, როცა კარიერას დავასრულებ, ის უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს. თუმცა, რა თქმა უნდა, მოხარული ვარ, რომ შევძელი ასეთი შედეგის მიღწევა".*

| ბოსტონი-ლეიკერსი | 116:95 |
|---|---|

**27:23, 31:21, 37:25, 21:26**

**ბ:** პირსი (24+7 მოხსნა+6 პასი), გრინი (19), გარნეტი (15+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტერი (15), ლი (13+5 მოხსნა), ბრედლი (10+5 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (27+7 მოხსნა), მიქსი (13), ჯეიმისონი (11).

| დენვერი-ჩიკაგო | 128:96 |
|---|---|

**33:25, 30:33, 37:16, 28:22**

**დ:** ფარიდი (21+12 მოხსნა), ლოუსონი (16+12 პასი), გალინარი (15), იგუოდალა (14), მაკგი (10+5 მოხსნა).

**ჩ:** კუკი (19), ბუზერი (18), რობინსონი (14+6 პასი), დენგი (11+8 მოხსნა), ტიგი (10).

ამბები

## გრანტ ჰილი ფინიშის სწორზე

წლევანდელი სეზონი, შესაძლოა, ბოლო აღმოჩნდეს „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ვეტერანისთვის **გრანტ ჰილისთვის**, რომელმაც მიმდინარე რეგულარულის დიდი ნაწილი გამოტოვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. კალათბურთელმა ჟურნალისტებთან საუბარში მიანიშნა, რომ ამ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, შესაძლოა, დაემშვიდობოს დიდ სპორტს.

*„40 წლის ვარ - უფრო შორს სად უნდა წავიდე? მნიშვნელობა არ აქვს ჩემს სურვილს: ასაკი ყველაფერზე დაპარაკობს"*, - განაცხადა ჰილმა.

ვეტერანმა ამ სეზონში მხოლოდ 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 4.3 ქულა და 2.1 მოხსნა დააგროვა.

## ბარნიანი ბუზერში იცვლება?

„ჩიკაგო" და „ტორონტო" გაცვლის შესაძლებლობას განიხილავენ, რომლის მიხედვითაც, ფორვარდი **ანდრეა ბარნიანი** „ბულზში" გადავა, ხოლო „ჩიკაგოდან" საპირისპირო მიმართულებით გაემართება იმავე ამპლუის **კარლოს ბუზერი.**

„ხარებისთვის" ეს გაცვლა სასარგებლოა იმის გამო, რომ კლუბი გადაწყვეტს შემადგენლობაში სამქულიანების სპეციალისტის დეფიციტის პრობლემას, აგრეთვე განტვირთავს სახელფასო ბიუჯეტს, რადგან ბუზერს ბარნიანიზე 5 მილიონით მაღალი ხელფასი აქვს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

სამთო თხილამურები. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მარიამ თავი შეგვახსენა



მარია რიში

ერთდღიანი შესვენების შემდეგ, ავსტრიის ქალაქ შლადმინგში განახლდა მსოფლიოს ჩემპიონატი. მედლების მესამე კომპლექტი ქალებმა სუპერკომბინაციაში გაითამაშეს.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონატის პირველ დღეს სლოვენიელმა **ტინა მაზემ** სუპერგიგანტში მოიპოვა ოქრო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ამ სეზონში თავისი ბრწყინვალე ფორმა, ის უდავო ფავორიტი იყო კომბინაციაში, რომელიც სწრაფდაშვებისგან და სლალომისგან შედგებოდა. მისი აქციები კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც შლადმინგში ტრავმა მიიღო ამერიკელმა **ლინდსი ვონმა** და სეზონის ბოლომდე გამოვიდა მწყობრიდან.

მაზეს ყველაზე რეალურ კონკურენტად მიიჩნეოდა ავსტრიელი **ანა ფენინგერი**, რომელიც ამ დისციპლინაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გახლდათ. სწორედ ეს ორი მოთხილამურე ჩაუდგა სათავეში ოქმს პირველი სახეობის - სწრაფდაშვების შემდეგ. მაგრამ მეორე სახეობის - სლალომის დროს სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. აქ თავი შეგვახსენა ცნობილმა გერმანელმა **მარია რიშმა**, რომელსაც ფავორიტებს შორის არ მოიხსენიებდნენ წლევანდელი სუსტი სეზონის გამო. ისე კი, რიში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ სუპერკომბინაციასა და სპეციალურ სლალომში. უბრალოდ, წელს გერმანელს ბევრი არაფერი გამოსდიოდა და მსოფლიოს ჩემპიონატამდე მხოლოდ ერთი სლალომი ჰქონდა მოგებული მსოფლიოს თასზე.

მაგრამ გუშინ, რიშმა შეძლო პრაქტიკულად ჩავარდნილი სეზონის გადარჩენა. სწრაფდაშვების შემდეგ ის მეოთხე ადგილზე იყო, სლალომში კი წელს თავისთვის საუკეთესო გამოსვლა აჩვენა და მინი-სენსაცია შემოგვთავაზა - სწორედ ასე უნდა შევაფასოთ უძლეველი ტინა მაზეს დამარცხება. სლოვენიელს ცუდი სლალომი გამოუვიდა და რიშს 2 მეათედი წამის „ამოქაჩვისა" და 46 მეასედი წამით მოგების საშუალება მისცა. ამიტომაც მაზეს ვერცხლის მედლით დაკმაყოფილებამ მოუწია, რაც მისთვის ნამდვილად დიდი იმედგაცრუება იყო.

რაც შეეხება ანა ფენინგერს, ის რიშისა და მაზეს კონკურენტი არ ყოფილა, რადგან სლალომისას ერთი კარი ვერ გაიარა და ფინიშამდე ვერ მიაღწია.

გუშინ, გაიხარა ადგილობრივმა პუბლიკამ, რადგან ავსტრიის ნაკრებმა პირველი მედალი მოიპოვა ამ ჩემპიონატზე. მისი მფლობელი გახდა ვეტერანი **ნიკოლ ჰოსპი**, რომელმაც პლანეტის პირველობაზე პირველი პოდიუმი მოიპოვა 10-წლიანი შესვენების შემდეგ, სულ კი ჰოსპისთვის ეს გახლდათ მეშვიდე მედალი მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე.

**სუპერკომბინაცია**

**ქალები**

1. **მარია რიში** (გერმანია) - 2:39.92 (1:49.87+50.05); 2. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 2:40.38 (1:49.67+50.71); 3. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 2:40.92 (1:50.99+49.93); 4. **მიხაელა კირხგასერი** (ავსტრია) - 2:41.56 (1:51.36+50.20); 5. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 2:41.71 (1:51.28+50.43); 6. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 2:42.24 (1:49.72+52.52)...

დოპინგი

# რუსს ძველი ცოდვები გაუხსენეს

ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი, რუსი სიგრძეზე მხტომელი **ტატიანა კოტოვა** ჩამოაშორეს ვარჯიშებსა და ტურნირებს იმის გამო, რომ ეჭვმიტანილია დოპინგის გამოყენებაში. ამის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტო.

ლოზანაში მდებარე მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს ლაბორატორიაში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს დოპინგსინჯში, რომელიც რუს სპორტსმენს 2005 წლის 10 აგვისტოს, ჰელსინკიში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატში ჩამოართვეს. იმ ტურნირზე კოტოვამ ვერცხლის მედალი აიღო.

რუსი მძლეოსნის კოლექციაშია ორი ბრინჯაო 2000 და 2004 წლების ოლიმპიადებზე. ამასთან, სიდნეის თამაშებისთვის მედალი მან 2007 წელს მიიღო, როცა ამერიკელმა **მერიონ ჯონსმა** აღიარა დოპინგის მიღება და მას ოქროს მედალი ჩამოართვეს. სწორედ ამის წყალობით შეაღწია სამეულში კოტოვამ.

გარდა ამისა, რუსს სამჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატი დარბაზებისთვის (1999, 2003, 2006). 2002 წელს, კოტოვამ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატზე.



ტატიანა კოტოვა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# რინე, კეინი და კროსბი

გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ პირველ ვარსკვლავად დაასახელა „ნეშვილის" მეკარე **პეკა რინე**. მან „ლოს ანჯელესის" წინააღმდეგ 32 დარტყმა მოიგერია და „შათაუტი" შეასრულა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო „ჩიკაგოს" ფორვარდმა **პატრიკ კეინმა**, რომელმაც ორი გოლი გაუტანა „ფინიქსს" და ერთი საგოლე პასი შეასრულა.

მესამე ვარსკვლავია „პიტსბურგის" ფორვარდი **სიდნი კროსბი** - მან სამი ქულა (1+2) ჩაიწერა „ვაშინგტონთან" შეხვედრაში.



პეკა რინე

**პიტსბურგი-ვაშინგტონი 5:2**

0:1, 5:0, 0:1

**გოლები:** 0:1 რიბეირო-4 (კონდრატეკი-2, ოვეჩკინი-4), 1:1 მალკინი-3 (კროსბი-11, მარტინი-5), 2:1 დუპუი-4 (კროსბი-12, კუნიტცი-7), 3:1 ჯ. ნილი-7 (კუნიტცი-8, მალკინი-11), 4:1 კუკი-2 (ბ. სატერი-3), 5:1 კროსბი-5 (მალკინი-12, ჯ. ნილი-2), 5:2 ოვეჩკინი-3 (რიბეირო-9, მაიკ გრინი-4).

**რეინჯერსი-აილენდერსი 4:1**

2:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ-თ. მილერი-1 (კრაიდერი-1, მ. სტაალი-4), 2:0 გაბორიკი-6 (მ. სტაალი-5, ბ. რიჩარდსი-7), 2:1 ტავარესი-5 (მოულსონი-6, ფინლი-1), 3:1 ჯ-თ. მილერი-2 (მაკდონაჰი-1), 4:1 მაკდონაჰი-1.

**სტ. ლუისი-დეტროიტი 1:5**

0:2, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ქლირი-1 (ტატარი-1, აბდელკადერი-1), 0:2 კინდლი-1 (ემერტონი-1, დ. მილერი-1), 1:2 პიეტრანჯელო-3 (სტინი-7, შატენკირკი-9), 1:3 ემერტონი-1 (ტუტუ-1, დ. მილერი-2), 1:4 ბრუნერი-5 (ჯ. ერიქსონი-3, ზეტერბერგი-9), 1:5 ფილპულა-3.

**ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი 4:2**

0:0, 2:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ენრიკე-3 (ვოლჩენკოვი-1, ელიაში-9), 1:1 ტომპსონი-2 (სან ლუი-12), 2:1 კოვალჩუკი-3, 3:1 ე. გრინი-2 (კლარკსონი-6, ელიაში-10), 4:1 ელიაში-3 (კოვალჩუკი-4, ე. გრინი-4), 4:2 მ. კარლი-2 (სან ლუი-13, სტემკოსი-10).

**კოლამბუსი-კალგარი 3:4 (ო)**

2:1, 0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ჩერვენკა-1 (ვიდემანი-5, ჰუდლერი-4), 1:1 კალვერტი-1 (პროსპალი-2, ერიქსონი-2), 1:2 ლეტესტუ-4 (ბრასარი-4, ჯ. ჯონსონი-3), 2:2 ბეკლუნდი-3 (ბროდი-2, ჰუდლერი-5), 2:3 სტემპნიაკი-4 (ბოუმისტერი-3, ირვინგი-1), 3:3 პროსპალი-3 (ლეტესტუ-2), 3:4 ტანგეი-4 (იგინლა-5, ბროდი-3).

**ფილადელფია-ფლორიდა 2:3 (ბ)**

1:1, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 სკილი-1 (კულიკოვი-2, ვივერი-2), 1:1 ვორაჩეკი-2 (ტიმონენი-5, კ. ჟირუ-4), 2:1 რიდი-4 (ნუბლი-2, კუტურიე-3), 2:2 ვაისი-1 (ფლიშმანი-6, კულიკოვი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰაბერდო (ფლორიდა), მიულერი (ფლორიდა).

**ბაფალო-მონრეალი 5:4 (ბ)**

1:1, 1:2, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პლეკანეცი-5 (რ. ბურკი-3, ემელინი-2), 1:1 ოტი-2 (ჰეხტი-3), 1:2 გალაჰერი-4 (პრუსტი-2, დიასი-9), 2:2 ენისი-4 (ფოლინო-5), 2:3 სუბანი-2 (მარკოვი-6, პასიორეტი-6), 2:4 პლეკანეცი-6 (ბ. ჯონტა-3, რ. ბურკი-4), 3:4 ვანეკი-9 (ენისი-4, ფოლინო-6), 4:4 ვანეკი-10 (ოტი-3, ენისი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ვანეკი (ბაფალო), გალჩენიუკი (მონრეალი), პომინვილი (ბაფალო).

**ოტავა-კაროლინა 2:3 (ო)**

1:0, 1:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ე. კარლსონი-5 (სილფვერბერგი-1, ზ. სმიტი-5), 1:1 ლაროუზი-1 (ბოუმანი-1, ჰარისონი-2), 2:1 ალფრედსონი-3 (ტარისი-6, გონჩარი-4), 2:2 სიომინი-2 (ე. სტაალი-4, ბრენტი-2), 2:3 ჰარისონი-2 (ჯ. სტაალი-8, სკინერი-5).

**ვინიპეგი-ტორონტო 2:3**

0:0, 1:1, 1:2

**გოლები:** 1:0 რედმონდი-1 (ლიტლი-4, ენსტრიომი-11), 1:1 ბოჟაკი-3, 2:1 ლედი-4 (კლიტსომი-1, ლიტლი-5), 2:2 ფრატინი-6 (ფრანსონი-4, კადრი-6), 2:3 კესელი-1 (ბოჟაკი-4).

**მინესოტა-ვანკუვერი 1:4**

0:2, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-3 (ბაროუზი-2, ჰამჰუისი-5), 0:2 ჰიგინსი-1 (ლაპიერი-1, გარისონი-1), 0:3 რეიმონდი-4, 0:4 ჰანსენი-2 (რეიმონდი-2, ედლერი-5), 1:4 გილბერტი-3 (ბროდინი-3, კულენი-3).

**ნეშვილი-ლოს ანჯელესი 3:0**

**გოლები:** 1:0 გ. ბურკი-2 (ლეგუანდი-2, კლაინი-3), 2:0 კ. უილსონი-2 (კლაინი-4, იიპი-3), 3:0 კ. უილსონი-3 (შ. უებერი-1, ფიშერი-2).

**ფინიქსი-ჩიკაგო 2:6**

0:4, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 სტალბერგი-3 (შოუ-3, ბიკელი-5), 0:2 პ. კეინი-7 (ტეივზი-6, შარპი-7), 0:3 ბოლანდი-4 (პ. კეინი-10, შარპი-8), 0:4 პ. კეინი-8 (შარპი-9, კიტი-3), 1:4 ჰანზალი-5 (ვრბატა-8, ბოდკერი-6), 1:5 ტეივზი-5 (მარიან ჰოსა-5), 1:6 ბიკელი-2 (სტალბერგი-3), 2:6 ტორესი-1 (ჩიპჩურა-1).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰიოდი-კრისტიანსუნდი | 0:2 |
| ოლბორგი-ვიბორგი | 1:1 |
| სტ. პოლტენი-იასი | 0:2 |
| უიპეშტი-გაზ მეთანი | 1:2 |
| პელეტსი-ჟალგირისი | 3:1 |
| სარპსბორგი-ჰიონეფოსი | 1:0 |
| ბრანი-მიოლდე | 2:2 |
| იურგორდენი-ერებრუ | 0:2 |
| ვასლუი-სლავია | 0:0 |
| მარიბორი-პეტროლული | გადაიდო |
| გაის-იონჩოპინგი | 3:0 |
| დანდალკი-ფინ ჰარპსი | 0:2 |
| უნივერსიტი-მერვუ | 0:1 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| უოტფორდი-კრ. პალასი | 2:2 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ჩეზენა-ტერნანა | 1:0 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-საბადელი | 5:1 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-აალენი | 1:1 |
| აუე-ფრანქფურტი | 0:2 |
| კაიზერი-დინამო | 3:0 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვეენი-ხემნიცი | 0:0 |
| ალემანია-კარლსრუე | 0:4 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ლიუბეკი-ვილჰელმშავენი | გადაიდო |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პსჟ-ბასტია | 3:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსერი-ტური | 3:2 |
| კაენი-სედანი | 2:0 |
| შატორუ-გინგამი | 3:1 |
| კლერმონი-ლე მანი | 1:1 |
| გფკო აიაჩო-დიჟონი | 0:2 |
| მონაკო-ჰავრი | 2:1 |
| ნიმი-ლავალი | 3:0 |
| ნიორი-ისტრი | 0:0 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ორლეანი-ფრეჟუსი | 4:1 |
| პარიზი-კარკეფუ | 0:0 |
| ვანი-კრეტეი | 2:2 |
| მეცი-კევილი | 2:0 |

**ჰოლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერი-სპარტა | 0:3 |
| კამბური-ვეენდამი | გადაიდო |
| გრააფსხაპი-ეინდჰოვენი | 2:2 |
| ემენი-დენ ბოში | 1:2 |
| ექსელსიორი-მაასტრიხტი | 1:2 |
| დორდრეხტი-ჰელმონდი | 2:4 |
| იგლზი-ფორტუნა | 4:1 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აალსტი-ვოლუვე | 0:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| დანდი-როსი | 0:2 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| იუვიასკიულა-ტურკუ | 0:1 |
| ჰიკ-ჰონკა | 4:0 |
| კუოპიო-როვანიემი | 2:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბალა-ნიუთაუნი | 3:1 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ადელაიდა-მელბურნ ვ. | 1:0 |

**კალათბურთი**

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| ვალენსია-ესტუდიანტესი | 77:59 |

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| სასარი-ბრინდიზი | 98:96 |
| მონტეპასკი-რეჯო ემილია | 82:73 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე | 66:75 |
| ბანვითი-გალათასარაი | 68:81 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შოლე-გრაველენი | 83:85 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მონპელიე**

| | |
|---|---|
| ლოდრა-ჰაიეკი | 7:6, 6:1 |
| ნიემინენი-სტახოვსკი | 4:6, 6:3, 7:6 |
| სიმონი-პერი | 5:7, 6:7 |
| გასკე-ბენეტო | 6:1, 4:6, 6:1 |

**ATP. ვინა დე მარი**

| | |
|---|---|
| რამოსი-სებალიოსი | 1:6, 7:5, 6:7 |

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| როსოლი-მელცერი | 4:6, 4:6 |
| ჰაასე-პეტცშნერი | 6:4, 3:6, 6:0 |
| იუჟნი-დოდიგი | 6:3, 6:2 |
| ჩილიჩი-კავჩიჩი | 6:3, 7:6 |

TV პროგრამა

**9 თებერვალი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი - ველეს სარსფილდი.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. I ტური. არგენტინოს ხუნიორსი-ველეს სარსფილდი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტურის წინ.
16:45 ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. ტოტენჰემი-ნიუკასლი (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. ჩელსი-უიგანი (LIVE).
21:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. ბაიერნი-შალკე (LIVE).
23:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. ვიტესი-ეინდჰოვენი (LIVE).
01:45 ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. საუთჰემპტონი-მანჩესტერ სიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-კლიპერსი.
14:30 NBA ACTION.
15:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
16:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-რასინგი.
18:30 გუდაური.
19:00 ძიუდო. გრანდსლემი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. საუთჰემპტონი -მანჩესტერ სიტი (LIVE).
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი
16:00 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. დორტმუნდი-ჰამბურგი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.

**10 თებერვალი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. ვიტესი-ეინდჰოვენი
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. V ტურის მიმოხილვა.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
15:30 არგენტინის ჩემპიონატი. I ტური. ბოკა ხუნიორსი-კილმესი.
17:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. აიაქსი-როდა (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. მანჩესტერ იუნ-ევერტონი (LIVE).
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
22:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. V ტური. სანტოსი-პაულისტა (LIVE).
01:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. ფრაიბურგი-ფორტუნა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. ბაიერნი-შალკე.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლივლენდი-დენვერი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
16:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლესტერი-ტულუზა.
19:00 ძიუდო. გრანდსლემი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. ფრაიბურგი-ფორტუნა (LIVE).
22:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლივლენდი-დენვერი.
00:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ლეიკერსი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ბრაიანტი+ჯეიმსი: 115 მილიონი

## წარმოგიდგენთ NBA-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეების სიას

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციასა და მოთამაშეთა პროფკავშირებს შორის ახალი ხელშეკრულება, რომელიც 2011 წლის დეკემბერში გაფორმდა, საერთო მოგებიდან კალათბურთელთა წილის მნიშვნელოვნად შემცირებას ითვალისწინებს. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის ლიგის ვარსკვლავებს, კვლავაც დარჩნენ მსოფლიოს ყველაზე მდიდარ სპორტსმენებს შორის. 2012-13 წლების სეზონში NBA-ის ათი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელის ჯამური მონაგარი 340 მილიონი დოლარი იქნება. აქ გათვალისწინებულია მათი ხელფასები და სპონსორული კონტრაქტები.

ფინანსურად ყველაზე წარმატებული კალათბურთელების რეიტინგს სათავეში უდგას „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი,** რომლის წლიური ხელფასი 27.8 მილიონ დოლარს უდრის. ახალი წესების თანახმად, ცალკეული მოთამაშის ხელფასი არ უნდა იყოს საერთო გუნდური ბიუჯეტის (რომელიც 58 მილიონს შეადგენს) 35 პროცენტზე მეტი: მაგრამ კალათბურთელსაც აქვს უფლება ხელი მოაწეროს კონტრაქტს თანხაზე, რომელიც წინა ხელშეკრულების 105 პროცენტს უდრის. „ლეიკერსი" არ ზოგავს ფულს, როცა საქმე ბრაიანტს ეხება. თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კალათბურთელი მე-17 სეზონს თამაშობს NBA-ში და მალე მეთხუთმეტედ გამოვა „ყველა ვარსკვლავის მატჩში".

ბრაიანტის სასპონსორო შემოსავლებში ყველაზე მაღალი წილი აქვს კომპანია Nike-ს. გარდა ამისა, კობის მრავალწლიანი კონტრაქტები აკავშირებს Coca-Cola-სთან (რეკლამას უწევს Sprite-ს), Turkish Airlines-თან, Mercedes-Benz-თან და Panini-თან. მოედნის მიღმა შემოსავლებით, 34 წლის მცველი მხოლოდ „მაიამის" ვარსკვლავს **ლებრონ ჯეიმსს** ჩამორჩება.



კობი ბრაიანტი

ჯეიმსი 2012-13 წლების სეზონში 57.6 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, საიდანაც 40 მილიონი სპონსორებზე მოდის. მათგან ყველაზე მსხვილი კომპანებია - Nike, Coca-Cola, Samsung და McDonald's. ასევე, 28 წლის კალათბურთელის პარტნიორები არიან კომპანიები - Audemars Piguet, Dunkin' Donuts, State Farm და Upper Deck. 2012 წელს, ლებრონი გახდა მეორე კალათბურთელი ისტორიაში, რომელმაც ერთ წელს მოიგო NBA-ის ჩემპიონის ტიტული, გახდა სეზონის MVP, ფინალური სერიის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე და ოლიმპიადის გამარჯვებული. ადრე ასეთი მიღწევა მხოლოდ ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანს** ჰქონდა.

შემოსავლების მიხედვით მესამე გახდა „ჩიკაგოს" გამთამაშებელი დერიკ როუზი, რომელიც ამ სეზონში ჯერ არ გასულა მოედანზე მუხლის ტრავმის გამო. 2011 წლის დეკემბერში, დერიკმა „ბულზთან" ახალ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის ღირებულება 94.8 მილიონ დოლარს შეადგენს, 2012 წლის თებერვალში კი Adidas-თან დადო 13-წლიანი გარიგება, რაც 185 მილიონ დოლარს მოუტანს. Adidas ცდილობს გაამყაროს თავისი პოზიციები სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ბაზარზე, რადგან ამ მომენტისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი წილი 5.5 პროცენტს უდრის, Nike-ის - 92.2 პროცენტს.

მსხვილი კონცერნები აქტიურად იყენებენ აზიაში კალათბურთის პოპულარობის ზრდას ამ რეგიონში სამომხმარებლო აუდიტორიის დასაპყრობად. ამისთვის ისინი სარეკლამო კამპანიაში იწვევენ მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგის ვარსკვლავებს. NBA-ის ორგზის ჩემპიონმა **დუეინ უეიდმა,** რომელიც მეოთხე ადგილს იკავებს ყველაზე მაღალანაზღაურებად კალათბურთელებს შორის, 2012 წლის სექტემბერში გააფორმა მრავალწლიანი კონტრაქტი სპორტული ეკიპირების მწარმოებელ ჩინურ კომპანია Li-Ning-თან. ვარაუდობენ, რომ მცველი ახალი პარტნიორისგან წელიწადში 10 მილიონს მიიღებს.

საუკეთესო ათეულში ვხედავთ ბრაიანტის ორ თანაგუნდელს - **დუაიტ ჰოვარდი** მერვე ადგილზეა, **პაუ გასოლი** - მეათეზე. „ორლანდოდან" წასვლამდე, ჰოვარდი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი კალათბურთელი იყო სპონსორებისთვის, მაგრამ სეზონებს შორის შესვენებისას „სუპერმენის" არაერთგვაროვანმა გადაწყვეტილებამ დაადაბლა მისი კომერციული პოტენციალი. უფროსი გასოლი კი ყველაზე მაღალანაზღაურებადია ევროპელებს შორის, თანაც მისი საერთო შემოსავლის (21.5 მილიონი) დიდ წილი (19.5 მილიონი) „ლეიკერსთან" კონტრაქტით მიღებული ფულია.

გარდა ამისა, ათეულში მოხვდნენ **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **კარმელო ენტონი** და **ამარე სტაუდმაიერი** („ნიუ იორკი"), აგრეთვე „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ვარსკვლავური მცველი **კრის პოლი.** საინტერესოა, რომ ათიდან შვიდი მოთამაშე ამ რეიტინგში წარმოადგენს კლუბებს აშშ-ის სამი უმსხვილესი ქალაქიდან - ნიუ იორკიდან, ლოს ანჯელესიდან და ჩიკაგოდან.

**TOP10**

1. კობი ბრაიანტი („ლეიკერსი") - $59,8 მლნ ($27,8 ხელფასი+$32 მოედნის მიღმა)
2. ლებრონ ჯეიმსი („მაიამი") - $57,6 მლნ ($17,6+$40)
3. დერიკ როუზი („ჩიკაგო") - $32,4 მლნ ($16,4+$16)
4. დუეინ უეიდი („მაიამი") - $30,2 მლნ ($17,2+$13)
5. კევინ დურანტი („ოკლაჰომა") - $29,7 მლნ ($16,7+$13)
6. კარმელო ენტონი („ნიუ იორკი") - $28,4 მლნ ($19,4+$9)
7. ამარე სტაუდმაიერი („ნიუ იორკი") - $27,9 მლნ ($19,9 +$8)
8. დუაიტ ჰოვარდი („ლეიკერსი") - $26,5 მლნ ($19,5+$7)
9. კრის პოლი („კლიპერსი") - $24,8 მლნ ($17,8+$7)
10. პაუ გასოლი („ლეიკერსი") - $21,5 მლნ ($19+$2,5)






# ოლ სტარზე ბოლტიც ითამაშებს

„ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" სპრინტში ექვსგზის ოლიმპიურ ჩემპიონს **უსაინ ბოლტსაც** ვიხილავთ - იამაიკელი მძლეოსანი მონაწილეობას მიიღებს „ცნობილი სახეების მატჩში". ეს შეხვედრა უქმეების პირველ დღეს გაიმართება.

ბოლტის გარდა, საგამოფენო შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ წარსულში ცნობილი კალათბურთელები, მაგალითად, **დიკემბე მუტომბო** და **კლაიდ დრექსლერი,** ქალთა NBA-ის წარმომადგენლები, მუსიკოსები, მსახიობები და ჟურნალისტები. ასევე გავა მოედანზე ამერიკის შეერთებული შტატების განათლების მინისტრი **არნე დუნკანი.**

გუნდების მწვრთნელები იქნებიან 2013 წლის „ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილეები - **ჯეიმს ჰარდენი** („ჰიუსტონი") და **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა"). მათ დაეხმარებიან მომღერალი **ქუინ ლატიფა** და ტელეწამყვანი **სამანტა ჰარისი.**

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ბოლტი ყველაფერში ნიჭიერია


დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:52

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**